# საქართველოს ქალი



2005
№7-8

645/2
2005

ეროვნული ბიბლიოთეკა


ქართული მიმოდრამის
თეატრი არნახული
პოპულარობით
სარგებლობს მთელს
დასავლეთში

## ნომერში:


პოლიტიკოსი ქალი

**ნანა ჰაღარჯაციშვილი**

გვ. 2



**ვახუშტი აუცილებლად შეგიყვარდებათ**

გვ. 22





**მიმოდრამის თეატრში**

გვ. 6



რედაქციის სტუმარი

**მარიანა ნინიაშვილი**

გვ. 28

**ნინო ლეჟავა**

სცენის მიღმა

გვ. 10





პოეზია

**ქეთი ბამბაბელი**

გვ. 13

**ედიტ პიაფი**

გვ. 38





ჟურნალი ქალებისათვის

მთავარი რედაქტორი
მარინე ნაკაიძე

სარედაქციო კოლეგია: მარიკა ბარათაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი, ნანული ბუკია, ნაზი თარგამაძე, მანანა იმესაშვილი, ლია კაკაბაძე, ცინარა ტერელაძე (მხატვარი რედაქტორი), ირმა ჩოფიკაშვილი.

ნინო არჩვაძე (ტექნიკური რედაქტორი) პაატა მამფორია (კომპიუტერული უზრუნველყოფა)

გარეკანის პირველ გვერდზე მსახიობი ნინო ლეჟავა;
მეოთხეზე – მიმოდრამის თეატრის მსახიობი ეკა რობაქიძე კარმენის როლში

რედაქციის მისამართი: 0108, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ.№14. Vსართ. ტელეფონი: 99-98-71

რეგისტრაციის №06/4 – 897 ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

# სიკეთე სიკეთეს შობს, ბოროტება კი ბერწია...

**პირდაპირ ვიტყვი, ოჯახი, რომლის ერთი წევრიც დღეს ჩვენი ნომრის სტუმარია, არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს საზოგადოებაში: ხალხში დიდი მადლიერების გრძნობას ტალღისებურად დიდი გაღიზიანება ენაცვლება, თუმცა აქვე მინდა დავამატო, რომ აქებენ ისინი, ვინც იცნობს მათ. ათასგვარი ჭორი და მითქმა-მოთქმა კი იმათგან მოდის, ვისაც შეხება არ ჰქონია ამ ოჯახთან.**

**უდიდეს ფუფუნებას, ისევე როგორც უკიდურეს სიღატაკეს, უფალი ერთგვარ განსაცდელად მოგვივლენს. ამდენად ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, ისღა დაგვრჩენია, ვეცადოთ ნებისმიერი გამოცდა ღვთის წინაშე ღირსეულად ჩავაბაროთ, სხვათა განსჯისაგან კი თავი შევიკავოთ, მით უფრო, თუ არ გვინდა, რომ შემდეგ თავად განგვსაჯონ...**

**მაშ ასე, წარმოგიდგენთ ქალბატონ ნანა პატარკაციშვილს!**



**– უპირველეს ყოვლისა, თქვენს შესახებ, ანუ თქვენი ცხოვრება პარლამენტში მოსვლამდე.**

– მანამდე, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი, სხვათაგან არაფრით გამორჩეული ცხოვრებით ვცხოვრობდი: ოჯახი, შვილი, მეგობრები, სამსახური. თუმცა არ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე უკმარისობის გრძნობა არ მასვენებდა, რადგან ვგრძნობდი, რომ გაცილებით მეტის გაკეთება შემეძლო. ბევრს ვფიქრობდი ქვეყნის და საზოგადოების წინაშე საკუთარი დანიშნულების შესახებ. დიდი სურვილი მქონდა დავხმარებოდი ადამიანებს და, თამამ განცხადებაში ნუ ჩამითვლით, მონაწილეობა მიმეღო საქართველოში უკეთესი ცხოვრების, უკეთესი მომავლის შექმნაში. ამიტომ სისტემატურად ვმუშაობდი სხვადასხვა პროექტებზე, აქტიურად ვთანამშრომლობდი ბადრი პატარკაციშვილის ფონდთან. მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვიტე დეპუტატი გავმხდარიყავი და კენჭი მეყარა ყვარელში, სადაც ბავშვობაში ყოველ ზაფხულს დავდიოდით ბიძასთან. მინდოდა ჩემი საქმიანობა უფრო გეგმაზომიერი და პროდუქტიული ყოფილიყო.

ვფიქრობ, რომ ნებისმიერ ადამიანს, თუ მოინდომებს, დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია საკუთარი ქვეყნისათვის, მით უმეტეს, როცა მას შესაბამისი საზოგადოებრივი თუ მატერიალური შესაძლებლობა აქვს. ამ შემთხვევაში პარლამენტარობას ვგულისხმობ, რადგან ჩემმა ოფიციალურმა სტატუსმა ადამიანების გულებამდე თითქმის ყველა სავალი გზა გამიხსნა და შესაძლებლობა მომეცა ბევრი სასარგებლო საქმე გამეკეთებინა. რაც იყო კიდეც ჩემი, როგორც ქალის, დედის და მოქალაქის მიზანი და უფლებამოსილება.

დამერწმუნეთ, იმ გრძნობაზე უკეთესი არაფერია, როდესაც იცი, რომ ერთ ადამიანს მაინც დაეხმარე და შეუმსუბუქე მძიმე ყოფა, როცა თუნდაც ერთი სიცოცხლის გადარჩენა შეძელი და ერთი აგური შეჰმატე ქვეყნის აღმშენებლობას.

**– ცნობილი ოჯახის წევრი ბრძანდებით, რაც, ჩემი აზრით, კიდევ უფრო ზრდის თქვენს პასუხისმგებლობას და ალბათ, ერთგვარ უხერხულობასაც გიქმნით.**

– ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, როგორი ოჯახიდანაა ადამიანი, რადგან ნებისმიერ ადამიანს თავისი წილი პასუხისმგებლობა და ვალდებულება აქვს საზოგადოების, ახლობლების თუ მეგობრების წინაშე. რა თქმა უნდა, უფრო რთულია, როცა ცნობილი ოჯახიდან ხარ, რადგან გამუდმებით გიწევს ყურადღების ცენტრში ყოფნა, რაც, დამეთანხმებით, დამღლელიც არის და საპასუხისმგებლოც. რადგან ამ დროს გარშემო ადამიანები თითქოს უფრო კრიტიკულები არიან, ცდილობენ რაღაც ნაკლი აღმოგიჩინონ და არცთუ იშვიათად, ათასგვარ ჭორსაც იგონებენ. თუმცა არ დავმალავ, ძალიან სასიამოვნოა ის გამორჩეული ყურადღება, რაც ბევრჯერ მიგრძნია სრულიად უცხო ადამიანებისაგან. ჩვენი ხალხი თბილია, გახსნილი, უშუალო და იუმორის გრძნობით უხვად დაჯილდოებული. ამას წინათ ასეთი რამ შემემთხვა: გორის გზაზე ატმის ყიდვა გადავწყვიტე. გამყიდველებმა მიცნეს და გარს შემომეხვივნენ, თქვენ ნანა არა ხართ, პატარკაციშვილიო? იმდენად დადებითი განწყობა მოდიოდა მათგან, რომ დავიბენი. ფული გადავიხადე, ატმის წამოღება კი კინაღამ დამავიწყდა.

**– ქალი პოლიტიკაში... დადებითი და უარყოფითი მხარეები.**

– პოლიტიკა ქალის გარეშე წარმოუდგენელია. ქალის როლი პოლიტიკური პროცესების წარმართვაში პერსპექტიული და, ამავე დროს, აუცილებელიც არის. ახლახანს ამერიკელ პოლიტოლოგთა ერთმა ჯგუფმა ასეთი დასკვნაც კი გამოაქვეყნა: 21-ე საუკუნე პოლიტიკაში ქალების მასიურად მოსვლის საუკუნე იქნება. ამას, ჩემი აზრით, ორი ფაქტორი განაპირობებს: პირველ რიგში, ქალის ფენომენი პოლიტიკაში იძლევა დაძაბული და რადიკალური სიტუაციების განმუხტვის შესაძლებლობას და მეორე, ქალისთვის დამახასიათებელი თვისებები, როგორიცაა, პოლიტიკური სიფრთხილე, რისკისადმი ნაკლები მისწრაფება და თანდაყოლილი ინტუიცია თითქმის ყოველთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ შედეგებს იძლევა. ქალი დედაა, დასაბამს აძლევს სიცოცხლეს, ამდენად ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც კი, როგორც წესი, მიმართულია სიცოცხლის გადარჩენის და უსაფრთხო გარემოს შექმნისკენ. სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვარ, რომ ქალის როლი პოლიტიკურ პროცესებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება მომავალში. რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, ეს ალბათ ინდივიდუალურია, ანუ პოლიტიკოსის პიროვნებიდან გამომდინარე და არა აქვს მნიშვნელობა, ის ქალია თუ მამაკაცი.

23780

**– ტრადიციებს ნელ-ნელა შლის დრო. ჩვენი შვილები ბევრ რამეს სხვა თვალით უყურებენ. თავად როგორ ახერხებთ ოჯახური ტრადიციების შენარჩუნებას?**

– მართლაც ძალიან ტრადიციული ოჯახი გვაქვს, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ამისთვის საგანგებოდ ვაკეთებ რამეს, რომ ჩემს შვილს საათობით ვუყვები ან ვასწავლი ჩვენი ტრადიციების შესახებ. ამაზე ძირითადად, დედაჩემი ზრუნავს, რადგან ის ყველაზე კარგად ახერხებს მამა-პაპური წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას. კვირაში ერთხელ მთელი ოჯახი ერთად ვიკრიბებით, ვიხსენებთ მამას, ბებიას და ამდენად, სრულიად ბუნებრივად, თავისთავად ხდება, რომ ჩემი შვილიც ისევე სწავლობს და ეზიარება ოჯახურ ტრადიციებს, როგორც მე ბავშვობაში.

**– ოჯახი ციხე-სიმაგრეა, საიმედო ნავსაყუდელია, ქვეყნის სიძლიერეა. თქვენთვის რა არის?**

– ჩემთვის ოჯახი ყველაფერია. მერწმუნეთ, ძლიერი ოჯახი სრულიადაც არ ნიშნავს მდიდარ ოჯახს, რადგან სულიერ სიმდიდრეს არანაირი მატერიალური კეთილდღეობა არ შეედრება. პირველ რიგში, მთავარია, ოჯახის წევრებს ერთმანეთი უყვარდეთ, პატივს სცემდნენ და იზიარებდნენ ერთმანეთის აზრს, გადაწყვეტილებას. ყოველთვის გვერდში edgნენ ერთმანეთს, ჭირშიც და ლხინშიც. გეთანხმებით, ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყნის საფუძველია. ჯანსაღ ოჯახში ბავშვებიც სულიერად და ფიზიკურად ჯანმრთელები იზრდებიან, რაც თავისთავად განაპირობებს ქვეყნის სიმტკიცეს.

**– ქალის გაჩენაში ღმერთი არ ურევიაო, ამბობენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– გაცვეთილ ფრაზებში ყოველთვის ბევრი სიბრძნეა, მაგრამ ეს ის შემთხვევა ნამდვილად არ არის. ალბათ, უფრო ემოციური გამონათქვამია, რასაც გულგატეხილი ან მოტყუებული კაცის გარდა არავინ იტყოდა (იცინის).

**– კიდევ იმასაც ამბობენ, ქალის ფარ-ხმალი ცრემლიაო.**

– ძალიან გთხოვთ, ცრემლებზე ნუ ვისაუბრებთ... თუმცა არ დაგიმალავთ, მეც მიტირია, მაგრამ ჩემი ცრემლები არავის უნახავს. ყოველთვის ვერიდები ჩემი ემოციების დემონსტრირებას, მით უმეტეს იარაღად გამოყენებას. თუმცა ცრემლები შეიძლება ბედნიერებამ და სიხარულმაც დაგვადღვრევინოს. ადამიანი ტირილით იბადება და იმ წუთიდან ცრემლები, შეიძლება ითქვას, მისი თანმდევია. რა თქმა უნდა, კარგია თუ იშვიათად დავღვრით სასოწარკვეთისა და უსუსურობის ცრემლებს, რაც ისევ და ისევ ჩვენი ცხოვრების წესზე და მორალზეა დამოკიდებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**– თქვენი აზრით, როგორი უნდა იყოს ქალი?**

– უპირველესად უნდა იყოს სულიერად ძლიერი და ზნეობრივი. მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს იყოს კარგი დედა, კარგი მეუღლე და კარგი მეგობარი. ამას გარდა, ქალი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პოლიტიკაში, რადგან კაცების პოლიტიკამ (მთელ მსოფლიოს ვგულისხმობ) ომებისა და ტერორიზმის მეტი არაფერი მოგვიტანა. ფემინისტი ნამდვილად არა ვარ (კვლავ გულწრფელი სიცილი), მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ პოლიტიკაში ქალების ჩარევა ქვეყნიერებას გადაარჩენს.

**– თვალნათლივ ვხედავ მამაკაცების უკმაყოფილო გამომეტყველებას. ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა... ქ-ნო ნანა, კახეთის რეგიონი უმდიდრესი და, ამავე დროს, უკიდურესად გაჭირვებულია, ამდენად ბევრის გაკეთება შეიძლება და ბევრის გაკეთება აუცილებელია. რეზერვების ამოქმედება უდიდეს ძალისხმევასთან და დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. რის გაკეთებას აპირებდით და რა შეძელით დღემდე?**

– შეძლებისდაგვარად ვეხმარები ჩემს რაიონს, მაგრამ ბევრი რამ ჩემს ძალებს აღემატება. როცა სტიქია ანგრევს და ანადგურებს ირგვლივ ყოველივეს, კიდევ უფრო ვრწმუნდები, მართლაც რა უმწეონი ვართ ადამიანები და რა დიდი და ყოვლისშემძლეა ღმერთი. თუმცა, ისევ და ისევ ღვთის ნებითა და შეწევნით, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა ვაკეთებ გასაკეთებელს. რაიონში მართლაც უამრავი პრობლემა დამხვდა. თავის ქებაში ნუ ჩამითვლით და მართლაც ბევრი რამ შევძელით, თუმცა ასჯერ მეტი კიდევ გასაკეთებელია. რაც შეეხება იმას, კონკრეტულად რა გავაკეთე, მეუხერხულება ამაზე საუბარი. მხოლოდ ერთს ვიტყვი, ყვარლის მოსახლეობას რასაც შევპირდი, მაქსიმალურად შევეცდები, აუცილებლად გავაკეთო.

**– სიკეთე უკვალოდ არ ქრება, მაგრამ ხშირად სიკეთეზე ბოროტებით პასუხობენ, ანუ კეთილი საქმე არც თუ იშვიათად ბოროტების სათავედ ქცეულა. თქვენ როგორ იქცევით ასეთ დროს?**

– ამის მაგალითები მართლაც ბევრია, მაგრამ, ჩემი აზრით, ბოროტებამ ვერ უნდა გაიძულოს სიკეთის კეთებაზე უარის თქმა. პირადად მე, როცა ასეთი, მართლაც უსიამოვნო რეალობის წინაშე აღმოვჩნდები, დავფიქრდები და მიზეზს ისევ ჩემს თავში ვეძებ: მე ხომ არ შემეშალა რამე!.. ძალიან მომწონს და მუდამ მახსოვს ერთი ასეთი გამოთქმა: სიკეთე სიკეთეს შობს, ბოროტება კი ბერწია.

**– ისღა დაგვრჩენია, ყველას სიკეთის გზით სიარული ვუსურვოთ!**

ესაუბრა **მარინე ნაკაიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულ ენას ჩვენვე ნუ გამოვუყვანთ წირვას!

„ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას, რა გინდა რა ენით. აზრი არ მოიპოვება არცერთ ენაზე, რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართველმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში ვერ ჩამოასხას. ქართული ენა მაღალმხატვრულად გამოსახავს ყოველ აზრს და დაუმახინჯებლად და შეურყვნელად გადმოსცემს, ისე მდიდარია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებით იგი მსოფლიო ენაა“. ასე შეაფასა ჩვენი მშობლიური ენა დიდმა მეცნიერმა – აკადემიკოსმა ნიკო მარმა დაახლოებით ერთი საუკუნის წინ. და რაოდენ დასაფასებელია უამრავი ენის მცოდნე მეცნიერისაგან, ამგვარი შეფასება ქართული ენისა, თავად განსაჯეთ!

რა მდგომარეობაშია ქართული ენა ამ შეფასებიდან ერთი საუკუნის შემდეგ? ვერ ვიტყვი ცუდ მდგომარეობაში-მეთქი, რადგან სავალალო უფრო ეთქმის იმ მდგომარეობას, რუსთაველისა და ილიას ენა რომ იმყოფება დღეს.

შეძლებისდაგვარად, ქართულ ენას ყველა ამახინჯებს, მაგრამ მის დამახინჯებაში მთავარი როლი (ანუ როგორც თავად ჟურნალისტები იტყვიან **პრიორიტეტი**) მაინც ჟურნალისტებს მიეკუთვნებათ. სწორედ მათი ნაწერებიდან თუ ნაუბრიდან ჩავიწერე ყველა ის ჩიქორთული გამოთქმა თუ წინადადება, რომელიც მინდა გაგაცნოთ, როგორც ნიმუში, როგორ არ შეიძლება მოეპყრო მშობლიურ ენას.

გადავწყვიტე, არცერთი ჟურნალისტი არ დავასახელო, მაგრამ თითოეულმა მათგანმა კარგად უნდა გაისიგრძეგანოს თავისივე შეცდომები, აღმოფხვრას ისინი, რათა მომავალი თაობაც არ დაავადდეს და არ გაითავისოს წინა თაობის არაქართული მეტყველება.

კანონი **შესაბამისობაში** უნდა **მოვიდეს,** ხშირად ისმის ტელეეკრანებიდან. ეს წინადადება სწორად და ქართულად იქნება: კანონი უნდა შეესაბამებოდეს.

არაკანონიერ **ქმედებებს ჩადიან.** უნდა იყოს: უკანონოდ იქცევიან. ჩვენ **გავაკეთოთ** ამერიკული მუსიკის **ნაზავი...** მუსიკას ქმნიან და არკი აკეთებენ, ძვირფასო მეგობარო. ეს ერთი და, მეორეც: რა გიჭირდათ საამისო, ამერიკულის ნაზავი რომ არ **გაგეკეთებინათ?** მახსენდება უკვდავი და ყოველდღიურად გასახსენებელი: თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო.

როგორ აჯერხებ, რომ **შენი კბილები** ასეთი ქათქათა **იყოს?** – ეს „წინადადება“, მოგეხსენებათ, რეკლამისეულია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ქართულად ხომ უნდა ჟღერდეს? ქართულად და სწორად კი ასე უნდა იყოს: რითი და როგორ იქათქათებ კბილებს? ნახეთ, როგორი გაუმართლებელი მრავალსიტყვაობაა რეკლამისეულ წინადადებაში, რომელიც აგრერიგად მიუღებელია ქართული ენისათვის!

რეკლამისაა ყოვლად მიუღებელი – **„ჩემი თმის მოცულობაც“.** აღტაცებას გამოთქვამს ქალი, რომ მისი თმის „მოცულობა“ გაზრდილია. მაშინ, როდესაც თმა შეიძლება იყოს ხშირი ან თხელი. რა შუაშია აქ „მოცულობა?“ სად მოცულობა და სად – სიხშირე!

**ოთხ ნაწილად დაანაწილა** კი არა, ოთხად დაყო, თუნდაც: ოთხად დაანაწილა.

თბილისიდან **ვიდრე** ქუთაისამდე, – რა საჭიროა ეს **ვიდრე?**

რვანი **დააკავეს.** „დააკავეს“ არ გამოხატავს იმ მცნებას, რასაც ამ სიტყვაში გულისხმობენ. „დააკავეს“ რუსულის გავლენითაა გაჩენილი (ზადერჟალი), ქართულად ითქმის: რვანი დაიჭირეს. ან რვანივე, როგორც წინადადება მოითხოვს.

ჟურნალ-გაზეთები **წერენ** კი არა, ჟურნალ-გაზეთები წერს. წერენ მაშინ იქნებოდა საჭირო რომ ყოფილიყო: ჟურნალ-გაზეთების ჟურნალისტები წერენ.

მობილიზებულია სამხედრო ტექნიკა კი არა, მობილიზებულია. მობილიზირებაც რუსული ენის გავლენაა.

როცა მამაკაცს **ოჯახის გარეთაც აქვს სქესობრივი ურთიერთობა.** ეს აზრი სწორად და ქართულად იქნება: როცა მამაკაცს საყვარელიც ჰყავს. აბა, საყვარელი „ოჯახის შიგნით“ ხომ არ ეყოლება? სირცხვილია ასეთი არაქართული, სხვა რომ არა იყოს რა, არატრადიციული მსჯელობა – სქესობრივი ურთიერთობა აქვსო.

ღალატის **მექანიზმი** ქალშიც და კაცშიც ერთნაირად **მუშაობს.** რატომ იღვლარჭნება წინადადებები ასე? რა შუაშია აქ „მექანიზმი“? ეს „წინადადება“ ასე შეიძლებოდა დაგვეწერა ან გვეთქვა: ქალსაც და კაცსაც ერთნაირად შეუძლიათ ღალატი.

სანამ ნახევარ დედამიწას **წრეს არ დაარტყამ** კი არა, სანამ ნახევარ დედამიწას არ შემოივლი. ეს იგივეა, „კრუგს ვარტყამო“, წარმარა რომ ისმის მავანთა საუბარში, რაც ყოვლად შეუწყნარებელია.

იარაღი **ამოიღეს** კი არა, ჩამოართვეს, ან სულაც აღმოუჩინეს. მრავალგზის იქნა ეს ფრაზა გაკრიტიკებული, მაგრამ საშველი მაინც დღემდე არ ჩანს.

ეს ქუჩა რუსთაველის სახელს **ატარებს** რაღა უბედურებაა. რა, რუსთაველს წამოუკიდია და დაატარებს? უნდა იყოს: რუსთაველის სახელობისაა.

პოლიციასთან **კონფლიქტში** არ შევიდნენ. ძალიან მიკვირს, კონფლიქტიდან გამოვიდნენ – რომ არ გვესმის. თუკი შევიდნენ არის, მისი ანალოგიით რატომ არ შეიძლება იყოს გამოვიდნენ? სამარცხვინოა სწორედაც. ქართულად კი იტყვიან: პოლიციას არ შეეწინააღმდეგნენო, ან სულაც – პოლიციას წინააღმდეგობა არ გაუწიესო.

პირველი **ადგილი აიღო.** გამოდის, რომ ეს **პირველი ადგილი** სადღაც დებულა და აუღია. უნდა თქმულიყო: პირველი ადგილი მოიპოვა.

მალამო მხოლოდ სხეულის **ზედაპირულ პრობლემებს** კურნავს. არ მესმის, რისი თქმა სურთ ამ წინადადებით. გინდათ გვითხრათ, რომ წამალი ანუ მალამო სუსტია? აბა, რას ნიშნავს **ზედაპირულ პრობლემებს** კურნავს? იქნებ იმას ნიშნავს, რომ კანის რაღაც გამონაყარს შველის? ამ წინადადების აზრი მე არ მესმის და თქვენი – არ ვიცი!

**ეს ის ადამიანებია!** მძიმე და არსებითი შეცდომაა ამ ე.წ. წინადადებაში, ნამდვილად მძიმე! ადამიანი უსულო საგნადაა გამოყვანილი. შეიძლება გვეთქვა: ეს ის ხეებია, ეს ის ტომრებია, ეს ის ქვებია, მაგრამ არამცდაარამც – **ეს ის ადამიანებია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სწორად და ქართულად ვიტყვით: ესენი ის ადამიანები არიან...

მტკიცე **პრინციპულობის არ არსებობა** – ვაი, ჩემო გაწვალებულო დედაო, ჩემო ლალო ენავ, რა დღეში ხარ, მავანთა უვიცობისაგან. მიკვირს, მართლა მიკვირს, ამ სისაძაგლეების მოგონება რა გონებით, რა ჭკუით ხერხდება, რა გონებით კი არა, რა უგუნურებით! რა უნდოდა იმის თქმას, რომ უბრალოდ გამოგვეხატა აზრი: ამ უპრინციპობასო, ან მერყევი ხასიათისააო და მისთანანი.

პრობლემის სიმწვავე **ამაში რომ იყოს** კი არა, მარტო ეს გასაჭირი (ან თუნდაც პრობლემა) რომ გვქონდეს, რაღა სჯობდა, ან სხვანაირად: ეჰ, ათასი გასაჭირი გვაქვს და ა.შ.

სპექტაკლში **ვარ დაკავებული.** ასე ირჯება ყველა მსახიობი იმის ნაცვლად, რომ თქვას ვთამაშობო. არადა, დღევანდელი ,,ქართულით" ,,დაკავება" ხომ დაჭერა-დაპატიმრებასაც ნიშნავს. ჰოდა, ეს ჩვენი ძვირფასი მსახიობები თურმე სპექტაკლში ყოფილან დაპატიმრებულნი. ძვირფასო მსახიობებო! ,,სპექტაკლში კი არ ხართ დაკავებულნი", არამედ – სპექტაკლში თამაშობთ.

გათავისუფლებულია **დაკავებული** თანამდებობიდან, – აქაც ეს ,,დაკავებული", ჭკუიდან შეცდები ადამიანი... სწორია: გათავისუფლებულია თანამდებობიდან.

გაკეთება-დაკავება ძალზე პოპულარული გამოთქმაა დღეს: აღმოჩენა **გააკეთა** (აღმოაჩინა), საჩუქარი **გაუკეთა** (დაასაჩუქრა), ჩემი საქმით **ვარ დაკავებული** (ჩემს საქმეს ვაკეთებ), **კომპრომატების ენით** დაელაპარაკა (შეურაცხყოფა მიაყენა), შეცდომაში შეიყვანა (შეაცდინა), ამის საპირისპიროდ და მისივე ანალოგიით, მიკვირს, რომ არ არსებობს აგრეთვე საძაგელი ფორმა – შეცდომიდან **გამოიყვანა ხსნის** დაღლილობას (დაღლილობას ანელებს ან აქრობს), **საყვედურებს ვეუბნები** (ვსაყვედურობ). ხშირად იხმარება **არაადეკვატურია.** მაშინ, როდესაც უბრალოდ და სადად შეიძლება თქმა – არ ემსგავსება, ან არ ჰგავს. ყოველდღიურად, ათასობით ეს თუ ამგვარი უმსგავსი არაქართული წინადადება ისმის ტელეეკრანებიდან და, დიდი გაძლება უნდა ადამიანს, ამგვარი დამახინჯებული საუბრები რომ ისმინოს.

**ყოვლად შეუწყნარებელია ქართულისათვის ის ტერმინოლოგია, ჩვენში ფეხის მოკიდებას რომ ცდილობს თუ ფეხმოკიდებულიცაა. შოუ, ფანი, თინეიჯერი, მენეჯერი, მენეჯმენტი, მესიჯი, დამესიჯება, ბოიფრენდი, მენტალიტეტი, პრეზენტაცია, დისკომფორტი, ჰედლაინები, მეილბოქსები, ტუსოვკა, ბოსი, ინფრასტრუქტურა...**

არც ერთი ამ სიტყვათაგანი ჩემს გულსა და გონებას არაფერს ეუბნება. მათი მნიშვნელობა არც ვიცი და არც მჭირდება, რადგან არ არსებობს რაიმე ტერმინი, რომელსაც ქართულში შესატყვისი არ მოეძებნება. ვის და რაში ესაჭიროება გარედან თავსმოხვეული ეს და ასობით ამგვარი ტერმინოლოგია, იქნებ არ გვიმხელენ და, საერთოდ სურთ ქართული ენის ამოძირკვა? ვინ იცის, გასაკვირიც აღარაფერი მგონია ამქვეყნად.

ბოლო ხანს, ფეხმოკიდებულია აგრეთვე, ადამიანთა სახელების ე.წ. მოფერებითი ფორმები, რაც მოფერებითი კი არა, პირადად მე, დამამცირებელ-დამამცრობელი მგონია: რუსა, რუსკა, ირინა, მარინა, ქეთი, ქეთათო, ქეთუჩა, ქეთა, ნინუცა, ნუნუკა, ნუკა, ნანიკო, ნანუკა, ნინაკა, ნანკა, გიკა, გუკა, გოკა, გოგა, თაკო, მაკო, თიკა, ზუკა, ნეკა, ზურა, ვიკა, იკა, იკო, ბუკა, ვატო, ვაკო, შაკო, ბაკო, აჩიკო, ბაჩიკო, დათუნა, დათო, დათა, ნოდიკო, შოთიკო, სოფო, თათა, მიკა, ლიკა, იაკო და სხვა ამგვარი დამაკნინებელ-დამამცრობელი სახელი, ანუ ვითომ სახელი.

მოდით, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, დავით აღმაშენებელი დათიკო აღმაშენებლად, თამარ მეფე – თამრიკო მეფედ, დემეტრე თავდადებული – დიტო და მიტო თავდადებულად, გიორგი ბრწყინვალე – გოგა ბრწყინვალედ, ღმერთმა მაპატიოს და, როგორი დამცირებული იქნებიან ისინი ყველას თვალში!

გვეყო ამდენი იწილობიწილო, ყველაფერი სულელური ჩვენ როგორ მოვიხვიოთ თავს, აბა, ნახეთ და გაეცანით, – ფრანგები, გერმანელები, ინგლისელები როგორ თავს დაჰკანკალებენ თავიანთ ენას, როგორ ახლოს არ იკარებენ თავს მოხვეულ უცხო ტერმინოლოგიას, ბარბარიზმებსა თუ ათასგვარ სიმახინჯეს, ჩვენ რაღა გვემართება, ხალხო!

მოდაში შემოსულია აგრეთვე ქუჩური მეტყველება თუ ჟარგონები: **მაგარი** გოგო ხარ, **მაგარი ვინმეა** და ა.შ. ტელეჟურნალისტები საუბრისას, რატომღაც მახვილს სვამენ ამა თუ იმ სიტყვაზე, რაღაცნაირად, აღმოსავლურად (სპარსულ-არაბულ-თურქულ ყაიდაზე), წინადადების ბოლო სიტყვებს უმართებულოდ აგრძელებენ, გახშირდა ნაცვალსახელების გამოყენება, როცა ქართული ზმნის სიმდიდრის გამო, იშვიათად, ან სულაც არ სჭირდება საუბარში ადამიანს ეს ნაცვალსახელები.

ასიც რომ ვთქვა, ათასი უთქმელი დამრჩება. დავუკვირდეთ, რას და როგორ ვამბობთ, მეგობრებო! დიდი ნიკო მარის ,,მსოფლიო ენად" გამოცხადებულ ჩვენს ენას ჩვენვე ნუ გამოვუყვანთ წირვას!

**ბელა შალვაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



● მიმები ხოსე კარერასთან ერთად

# ქართველი მსახიობები გერმანიიდან

უკანასკნელ ხანებში თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში რამდენიმე არაჩვეულებრივად მაღალი დონის საოპერო და საბალეტო სპექტაკლი დაიდგა, რითაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი იმ ფაქტს, რომ კულტურის ამ საბრძანებელში მხოლოდ გამორჩეულ ხელოვნებას ემსახურებიან. ალბათ, ამიტომაც არავის გაკვირვებია, რომ ამ რამდენიმე ხნის წინ გერმანიიდან საქართველოში სტუმრად მყოფ ქართული მიმოდრამის თეატრსაც სწორედ მან უმასპინძლა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქართული მიმოდრამის თეატრს, რომელიც გერმანიაში, საარბრიუკენში უკვე ცამეტი წელია არსებობს და არნახული პოპულარობით სარგებლობს მთელ დასავლეთში, სამშობლოზე მეტად უცხოეთში იცნობენ. თეატრის დამფუძნებლები ქართველი მსახიობები არიან. დღეისათვის ძველი თაობიდან თეატრს მხოლოდ ლაშა ონიანი შემორჩა, დანარჩენები კი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მიმოიფანტნენ და იქ აგრძელებენ მოღვაწეობას. ამჟამად დასში ექვსი მსახიობია – ქორეოგრაფი, რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლაშა ონიანი, მსახიობები:ზვიად ჯაოშვილი, ეკა რობაქიძე, უჩა ბირკაძე, ალექსანდრე ჭუმბურიძე და ვახტანგ ჩაჩანიძე. მენეჯერი თინათინ ებიაშვილი გახლავთ. რეპერტუარშია შექსპირის „ჰამლეტი", მერიმეს „კარმენი", მოლიერის „დონ ჟუანი", გოეთეს „ფაუსტი" და „ლაბირინთი". ქართველი მსახიობები მუშაობენ საკუთარ სპექტაკლებზე და პარალელურად თანამშრომლობენ ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების გახსნით და დახურვით შოუებზე, სხვადასხვა ფირმების პრეზენტაციებზე და ბევრ კო-პროდუქციებზე.

მიმოდრამის თეატრმა თბილისში მერიმეს „კარმენი" ჩამოიტანა და კიდევ ერთხელ სასიამოვნოდ გააოცა ისედაც ბევრისმნახველი, გემოვნებიანი და კრიტიკული ქართველი მაყურებელი. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დასის ორ წევრს – უჩა ბირკაძესა და ზვიად ჯაოშვილს გავესაუბრეთ და ვთხოვეთ, რამდენიმე სიტყვით მოეთხროთ გერმანიაში მათი მოღვაწეობის შესახებ.

**– რა იყო საქართველოდან თქვენი გამგზავრების მიზეზი, შიდაკონფლიქტი, ქვეყანაში არსებული მძიმე სიტუაცია თუ სხვა რამ?**

– არანაირი კონფლიქტი, უბრალოდ, სადაც უკეთესია და პერსპექტივას ვხედავთ, იქ ვიმყოფებით. ნებისმიერი მსახიობი უნდა ცდილობდეს, შემოქმედებითად გაიზარდოს, ამის პირობები კი დღეს გერმანიაში უფროა, ვიდრე საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პეფოს პრეზენტაცია



მარბურგი. ,,ჰამლეტის'' წინ

**– როგორ დამკვიდრდნენ ქართველი მსახიობები საზღვარგარეთ. ხომ არ გაუჭირდათ უცხო მიწაზე ფეხის მოკიდება?**

– თქვენ წამოიდგინეთ, არა. გერმანელმა მაყურებელმა თავიდანვე შეიყვარა ქართველი მსახიობები და პირველივე საგასტროლო ტურნეს შემდეგ უკან აღარ გამოუშვია.

**– მართალი გითხრათ, ჩემნაირი დილეტანტისთვის არსებითი სხვაობა არ არსებობს პანტომიმასა და მიმოდრამას შორის, მაგრამ განსხვავება ალბათ არის.**

– პანტომიმა კონკრეტული მცნებაა, უფრო შეზღუდულია, ჩარჩოში ჩასმული და, დიდი-დიდი ერთი-ორი მსახიობისგან შედგება. მიმოდრამის თეატრი კი გახსნილია და თავისუფალი. ეს არის მოძრაობის თეატრი, რომელიც პანტომიმის ელემენტებსაც მოიცავს და მის დასში რამდენიმე მსახიობია.

**– რამდენად პოპულარულია თქვენი თეატრი ევროპაში?**

– მიმოდრამის თეატრი დიდი მოწონებით სარგებლობს არა მარტო გერმანიაში, არამედ საფრანგეთში, შვეიცარიაში, ჰოლანდიაში, ინგლისში, პოლონეთში, იტალიასა და ლუქსემბურგში. ყოველ სამ წელიწადში ერთხელ კოლუმბიაში ,,მოძრაობის თეატრების ფესტივალზე'' გვიწევს ჩასვლა. დიდი პოპულარობით ვსარგებლობთ იქაურ მაყურებელში, რომელიც ქართველი მაყურებელივით ემოციური და ტემპერამენტიანია.

**– ,,კარმენმა'' დიდად მოხიბლა და გააოცა ოპერის თეატრში თავმოყრილი საზოგადოება. რამდენად ხშირად ჩამოდიხართ სამშობლოში?**

– პირადად ჩვენთვის ,,კარმენი'' აქ ჩატარებული პირველი სპექტაკლია, დასისთვის კი, თუ არ ვცდებით, მესამე. ბოლო სპექტაკლი მიმოდრამის თეატრმა საქართველოში 1998 წელს ჩამოიტანა. ოპერის თეატრში არაჩვეულებრივად თბილი გარემო დაგვხვდა. დიდი სიხარულითა და სიყვარულით მიგვიღეს. საოცრად მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული ყველაფერი. ქართველი მაყურებელი ძალიან კრიტიკულია და ჩვენც სათანადოდ მოვემზადეთ, გამოვიყენეთ სათადარიგო ძალები, რომელიც ყოველი შემთხვევისათვის გვქონდა გადანახული. მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდით.

**– საარბრიუკენში საკუთარი შენობა გაქვთ თუ ნებისმიერ ადგილას დგამთ სპექტაკლებს?**

– პრემიერებს საარბრიუკენის სახელმწიფო თეატრში ვთამაშობთ, რისი საშუალებაც სხვა თეატრებს არა აქვთ. ჩვენი დასი ერთადერთია, ვინც ამ პრივილეგიით სარგებლობს. დარბაზი საკმაოდ დიდია და მუ-



სპორტული პრესის საღამო

დამ ხალხითაა სავსე. რეკლამას დიდი ხნით ადრე გვიწვევენ ტელევიზიითა და პრესით.

**– ძალიან ბევრს მოგზაურობთ და ალბათ უამრავი კურიოზიც შეგმთხვევიათ, რაიმეს ხომ ვერ გაიხსენებდით?**

– მაინცის ფესტივალზე „კარმენი" წარვადგინეთ. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მთელი დასი – ხუთი ბიჭი და ერთი გოგო კულისებში ვიდექით, როცა ერთი ქალბატონი მოგვიახლოვდა, ყველას მოგვეფერა და გვითხრა – ძალიან კარგები, საყვარლები და ნიჭიერები ხართ, სპექტაკლიც მომეწონა, მაგრამ მაინც ვერაფრით გავიგე, რომელი იყო თქვენს შორის კარმენიო.

კოლუმბიაში კიდევ უფრო სახალისო რამ შეგვემთხვა – ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ, გამორჩეული პატივისცემის ნიშნად, უგემრიელესი ნამცხვარი მოგვართვეს. რა თქმა უნდა, მაშინვე შევესიეთ. ცოტა ხნის შემდეგ კი ყველანი კარგ ხასიათზე დავდექით და უაზრო სიცილი აგვიტყდა. ისეთ დღეში ჩავცვივდით, ნაბიჯს ველარ ვდგამდით. მხოლოდ მოგვიანებით აგვიხსნეს, რომ ნამცხვარში კოლუმბიის „სიამაყე" – „კანაფი" იყო გარეული.

**– სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვით, კვლავ როდის გიხილავთ საქართველოში?**

– წინასწარ არაფრის დაგეგმვა არ გვიყვარს – გვეტყვით მხოლოდ, რომ ვმუშაობთ რამდენიმე სპექტაკლზე. რაც შეეხება სამშობლოში ჩამოსვლას, იმდენად წარმატებული გამოდგა ჩვენი ამჟამინდელი სტუმრობა, რომ იმედია, მალე კვლავ გეწვევით.



● საარბრიუკენის მერია

**– გისურვებთ წარმატებებს.**

– გმადლობთ!

ესაუბრა **თამთა ყიფიანი**



# ყოველ ეპოქას თავისი ენა აქვს

ახალი დრო, ახალი გარემო თავის დაღს ამჩნევს ქართულ აზროვნებას. ქართული მენტალიტეტის მიმართ დამოკიდებულება სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვანაირია, რადგან, როგორც ფსიქოლოგმა **ნანა ჩაჩუამ** გვითხრა: „ყოველ ეპოქას თავისი ენა აქვს". ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე ქართულ აზროვნებაში ერთმანეთს ერწყმის დასავლური და აღმოსავლური ნაკადი. ეს მოვლენა „ქართული ოჯახის" სპეციფიკას განსაზღვრავს. მაინც რა ტიპის პრობლემები იჩენს ხოლმე თავს ქართულ ოჯახში? როგორია ქალის როლი? ამ და სხვა კითხვებზე სწორედ ქ-ნი ნანა გვიპასუხებს.

**– თქვენი პრაქტიკიდან გამომდინარე უპირატესად რა სახის პრობლემა დგას ქართულ ოჯახში?**

– პიროვნული ზრდის, ანუ ახლის წარმოქმნის უნარის შეფერხება.

**– მიზეზი?**

– მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს. მათ შორის ურთიერთობის დაბალი კულტურა, ღირებულებათა და ინტერესთა დეფიციტი, ხასიათის სხვადასხვა სახის ხარვეზები, ნერვული სისტემის არამდგრადობა და სხვა.

**– ოჯახურ პრობლემებთან მატერიალური სიდუხჭირე პირდაპირ კავშირშია, ალბათ...**

– როგორც სიღარიბე, ასევე სიმდიდრეც ერთნაირად ამჟღავნებს პიროვნულ ნიშან-თვისებებს, – მანკიერებასაც და სათნოებასაც. ცხადია, ფინანსური პრობლემა, სოციალური დაუცველობა უმძიმესი ტვირთია ოჯახისათვის, მაგრამ იგი ხშირად გამხდარა და უნდა გახდეს კიდევაც ურთიერთთანაგრძნობისა და ურთიერთშეთანხმებულობის საფუძველი, ასევე შინაგანი რესურსების გააქტიურების იმპულსი.

**– როგორც ამბობენ, ოჯახში წონასწორობის დამყარების ხერხს უფრო მეტად ქალი ფლობსო, მართალია?**

– დიახ. ქალი უფრო მგრძნობიარე და მოქნილია, ვიდრე მამაკაცი. მაგრამ მოქნილობის მიმართულება მაინც იმ ღირებულებათაგან იღებს სათავეს, რომელიც კონკრეტულ ინდივიდს გააჩნია.

**– იქ, სადაც ოჯახს ფინანსურად ქალი უზრუნველყოფს მამაკაცის როლს ოჯახში საფრთხე ხომ არ ემუქრება?**



– იმისათვის, რომ ადამიანებმა ერთმანეთს პატივი სცენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ენდობოდნენ ერთმანეთს და უყვარდეთ ერთმანეთი. ოჯახში ფუნქციების გადანაწილება არც თუ ისე იოლი საქმეა. იგი დიდ მოქნილობასა და ურთიერთდანდობას, სისადავესა და მაღალ სულიერებას საჭიროებს. დაბალი კულტურის ადამიანებს ყოველთვის ჰგონიათ, რომ ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან შეიძლება ისინი ვინმემ „დაჩაგროს" და ამ პოტენციურ „მჩაგვრელს", სამწუხაროდ, ყველაზე ახლობელ და ერთგულ ადამიანებში „ხედავენ", რომელიც ერთნაირად ტანჯავს როგორც მას, ასევე მის გარშემომყოფთაც.

**– დასავლური კულტურა საქმიანი ქალის მოდელს ცნობს, საქართველოში – პოლიტიკოსი, ან ქუჩაში მოვაჭრე მანდილოსნები ჭარბობენ...**

– პოლიტიკისა და ეკონომიკის სიმბიოზური კავშირი თანამედროვეობამ კიდევ უფრო ნათლად წარმოაჩინა. ჯვაროსანთა მეექვსე ლაშქრობაზე ორი ურთიერთდაპირისპირებული კონფესიის წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს. ყველას ეგონა, რომ მოლაპარაკება პოლიტიკურ თემაზე წარიმართებოდა, მათ კი სავაჭრო ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. ეკონომიკა და პოლიტიკა ერთი მედლის ორი მხარეა. ეს მედალი კი ყოფითი რეალობაა. ყოფითი რეალობის შეგრძნების უნარი ნიჭიერების ნიშანია, მოქნილობის გამოვლინება და სიცოცხლისუნარიანობის უტყუარი დასტური.

**– მაგრამ სხვა, თუნდაც შემოქმედებით სფეროში ხომ „დაიკარგება" ამ დროს ადამიანი?**

– შემოქმედება, როგორც ფსიქოლოგიური ფენომენი ადამიანში მიმდინარე პროცესია. ცხოვრება არის ის, რასაც შენ თვითონ შექმნი მისგან! – სწორედ ესაა ჭეშმარიტი შემოქმედებითი პროცესი. მითუმეტეს, როცა დროს, სივრცეს, სიტუაციას გრძნობ და შენ აღმშენებლობით ენერგიასაც შესაბამისად განათავსებ. ეს შეიძლება იყოს პოლიტიკაც, მუსიკაც, მხატვრობაც, ვაჭრობაც და სხვა. მთავარია ფსიქოლოგიურ-ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა – აკეთო ისე, რომ ეს იყოს სასარგებლო შენთვის და არ იყოს საზიანო სხვისთვის.

**– სამწუხაროდ, ახალგაზრდობამ სრულიად შეცვალა დამოკიდებულება ქართული მენტალიტეტისადმი, რა პროგნოზს გააკეთებდით?**

– ყოველ ეპოქას თავისი ენა აქვს. ძველისა და ახლის ურთიერთმორგების პროცესი ყველგან და ყოველთვის მეტად მტკივნეული იყო, არის და იქნება. მთავარია, როცა ამ პროცესის დრო დგება, იგი წარიმართოს, ანუ განხორციელდეს. ამ მხრივ ქართველებს საორჭოფო არაფერი გვაქვს. ქართველი დიზაინერები და მოდელები, სუხიშვილების ანსამბლის სიახლეები, ქართული კლიპები და უფრო მეტიც, სწავლა-განათლებაზე საოცარი ტემპითა და შემართებით ორიენტირებული ახალგაზრდობა, მართლაც, საიმედო პროგნოზის მომცემია.

**– ცხოვრება რომ უფრო და უფრო რთულდება?**

– ადამიანის შესაძლებლობებიც ხომ განუსაზღვრელია. სიცოცხლის სიყვარულს, მოქნილობასა და საკუთარი თავის პატივისცემას ბევრი რამ შეუძლია.

**– ბევრმა პროფესია შეიცვალა, ბევრი უმუშევარი დარჩა, ბევრი არ არის „მოქნილი", რა ქნან ასეთმა ადამიანებმა?**

– მთავარია, გვახსოვდეს: თუკი ვინმემ ოდესმე შესძლო, მეც შევძლებ!

ესაუბრა **თინათინ ბუჩიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჩვეულებრივი სასწაული"

## ანუ

## ინტერვიუ ბედნიერ ქალთან

**ახალგაზრდა, ნიჭიერ მსახიობს ნინო ლეჟავას დღეს უკვე თეატრალებიც იცნობენ და კინოს მოყვარულებიც. მაგრამ ამჯერად მის შემოქმედებაზე მეტად, გვინდა გაგაცნოთ ბედნიერი ქალი, დედა და მეუღლე, რომლის ცხოვრებაშიც სულ ახლახან ერთობ მნიშვნელოვანი და სასიხარულო ცვლილება მოხდა. ნინო სიამოვნებით დაგვთანხმდა ინტერვიუზე და მასთან სტუმრად მისულები ისეთი კეთილი, დადებითი ენერგიით „დაგვმუხტა", რომ გვინდა ეს განწყობა ჩვენს მკითხველსაც გადავდოთ.**



მეუღლესთან ერთად

**– უპირველეს ყოვლისა, გაბედნიერებას გილოცავთ და გულწრფელად გისურვებთ ყველა ამქვეყნიურ სიკეთეს! იქნებ გაგვაცნოთ თქვენი მეუღლე?**

– 31 წლის ასაკში, როგორც იქნა, ჩემს ცხოვრებაშიც მოხდა მართლაც საბედნიერო გარდატეხა. ახლა ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, თუ ასეთი კარგი რამ მელოდა, მანამდე რაც იყო, ჯანდაბას, აიტანდა კაცი-მეთქი!... ჩემი მეუღლე გოგა ქარიბაია გახლავთ, პროფესიით – რეჟისორი. ჯერჯერობით ჭკვიანად ვართ ორივენი, და თუ ცუდად მოვიქცევით, მერე შესაბამისი ზომებიც არსებობს... (იცინის).

**– თუ საიდუმლო არ არის, გაგვიმხილეთ, როგორ დაიწყო თქვენი სიყვარული?**

– გოგა ჩემმა მეგობარმა მაია ლომიძემ წარმომიდგინა: შენი გაცნობა სურს, სადიპლომო ფილმში შენი გადაღება უნდაო. ასე რომ, შეიძლება ითქვას, თავიდან წმინდა პროფესიული შეხვედრა გვქონდა, თუმცა, მალე გამომიტყდა, ძალიან მომწონხართ, დიდი ხანია თქვენი თაყვანისმცემელი ვარო.

ასე დავუახლოვდით ერთმანეთს. წელიწადნახევარი „ვეცნობოდით" და ახლა, 25 ივნისს ჯვარიც დავიწერეთ.

**– მშობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?**

– რატომ უნდა შეხვედროდნენ ცუდად? რა, ბიჭია ცუდი თუ გოგო?! თან, აღარც მე ვარ 17 წლის, რომ ოფიციალური „ხელის თხოვნა" და რაღაც ასეთი ცერემონიალები ყოფილიყო აუცილებელი. უბრალოდ, ორივე მხარეს ოჯახებში ვიყავით მილებული და ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა ერთმანეთის მშობლებთან. მე, დედამთილი რასაც ჰქვია, ასეთი ვინმე არა მყავს. გოგას დედა ჩემი მეგობარი და თანამოაზრეა. გაგეცინებათ და, მასაც, დედაჩემივით, გულიკო ჰქვია. ამის გამო ჯვრისწერაზეც ძალიან ვიხალისეთ, როცა ჩემი მოძღვარი მამა გიორგი წმინდა პანტელეიმონის ეკლესიიდან მშობლების სახელებს იწერდა (იცინის). ძალიან ლამაზი ჯვრისწერა გვქონდა უახლოესი ადამიანების წრეში. ასეთი ბედნიერი, სასიამოვნო და დასამახსოვრებელი დღე არასოდეს მქონია. ჰო, მართლა, ბარძიმს რომ გვაწვდიდა მოძღვარი, არ გაგვაფრთხილა, აუცილებლად სამი ყლუპი უნდა მოსვათო. გოგა, თურმე, მეტს ყლურწავს, რომ მე ნაკლები დამრჩეს – აქაოდა, ფეხმძიმეს, რამე არ დაუშავდესო, ჰოდა, სულ ორი ყლუპი დამიტოვა. გაეცინა მამა გიორგის, 15 წელია მღვდელი ვარ და ასეთი რამ არ მინახავს, მესამე ყლუპიც დაუმატეთო.

დიდი ქორწილი არ გადაგვიხდია. არ მიყვარს ეს საჩვენებელი პომპეზურობა.

ჩემი მეჯვარე ქეთი იაშვილი გახლდათ და მისი შექმნილი სადა, მაგრამ ულამაზესი კაბა მეცვა. არავითარი „ბაბოჩკები", სმოკინგები და ჰალსტუხები არ ყოფილა.

**– თქვენი მეუღლის ჩაცმულობაზე ვინ იზრუნა?**

– ორივემ ერთად შევარჩიეთ. ისე, საკუთარ თავს დასცინოდა – ჩე გევარას აგენტს ვგავაროო. რა უჭირს, სიმპათიური აგენტი ჰყოლია-თქო, მეც ვამშვიდებდი. ქორწილიც ძალიან გემრიელი და ხალისიანი გვქონდა. სუფრა რესტორან „ევროპაში" გაიშალა, სულ 25 კაცზე. დირექტორმაც კი მადლობა გვითხრა, ასეთი ლამაზი, მშვიდი ქორწილი – თან უჩხუბრად და უვნებლად დამთავრებული, კარგა ხანია არ გვინახავსო. ჩემი ქმრის მეჯვარე რომან რცხილაძე იყო, ჰოდა, ერთი კარგი კონცერტი ჩავატარეთ.

**– თქვენი ბიჭი, ნიკა, ახლა, მგონი, ათი წლისაა, როგორი ურთიერთობა აქვს თქვენს მეუღლესთან?**

– ძალიან უყვარს გოგა, ნამდვილი მეგობრები არიან, და ეს მახარებს.



● რეზო ჩხეიძესთან ერთად



● დუტა სხირტლაძესთან და გიორგი ჩიქობავასთან ერთად

გოგას ხელში უნდა გაიაროს ყველაზე რთული პერიოდები ცხოვრებაში, სანამ მოზარდი „ზრდასრულ" ადამიანად იქცევა, და მიხარია, რომ საერთო ენა გამონახეს. რაც მთავარია, უჯერებს, გოგას ხათრიც აქვს და სიყვარულიც.

**– როგორ დაიწყეთ ახალი „ერთობლივი" ცხოვრება?**

– რაც მთავარია, სიყვარულით და ურთიერთპატივისცემით ვცხოვრობთ, ისე, როგორც გვეცხოვრება. ყოველი დღე თენდება „დილა მშვიდობისას" სურვილით და ღამდება კეთილი „ძილი ნებისათი". თუ ბოლომდე ასე იქნება, რაღა უნდა ინატრო ადამიანმა ამაზე მეტი. ამბობენ, ბავშვი რომ ჩნდება, გრძნობაც ნელ-ნელა ცივდებაო, მაგრამ ეჭვი მეპარება, რომ ჩვენც ეს დაგვემართოს. გოგა სიყვარულს ადვილად ვერ შეელევა. მე კი, შემიძლია ვთქვა, რომ 80 წლისაც ასეთივე შეყვარებული ვიქნები. მოკლედ, იმედი მაქვს, სიბერეში, ბუხართან მიმჯდარი წინდებს რომ მოვქსოვ, ცეცხლს შეუკეთებს ხოლმე. თუ არა და, ამქვეყნად მართლაც არ ყოფილა სიყვარული.

**– ურთიერთგაგებას და სიყვარულს, ალბათ, საერთო ინტერესებიც განაპირობებს?**

– ვერ დაგეთანხმებით, რადგან ყველაზე ხშირად აკი სწორედ ხელოვანთა ოჯახები ინგრევა. ერთად ცხოვრებისას მთავარია დათმობა. ქალს უფრო მეტ რამეზე უწევს თვალის დახუჭვა. ყველა სიტყვას თუ გამოეკიდე, არაფერი გამოვა ჩხუბისა და კინკლაობის მეტი. ამ დროს კი რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი.

**– ოჯახს თქვენ უძღვებით, თუ გეხმარებათ ვინმე? ახლა უკვე ორი კაცი გყავთ მოსავლელი. თან ფეხმძიმობა, სამუშაო...**

– დედამთილი მანებივრებს ძალიან (სარეცხს ვმალავ და ჩუმად ვრეცხავ), ცდილობს ზედმეტად არ დავიტვირთო. მე კი სულაც არა ვგრძნობ თავს ცუდად, კარგი ორსულობა მაქვს და რატომ უნდა ვისარგებლო ჩემი მდგომარეობით. ბოლოს და ბოლოს, დღე-ღამეში 24 საათია და, თუ ნორმალური ქალი ხარ, ყველაფერი უნდა მოასწრო... თან, არც მეუღლე მყავს ისეთი, რაიმეზე უაზროდ ამიხირდეს.

**– თქვენი მეუღლის სპექტაკლში თამაშობთ, რომელიც ახლახან დაიდგა „თეატრში ათონელზე", როგორი რეჟისორია გოგა?**

– ზომაზე მეტად რბილია ჯერჯერობით. ბევრ რამეში, ხათრის გამო, უკან დახევა მოუხდა. ზოგჯერ, ვფიქრობ სიმკაცრის გამოჩენაც საჭიროა. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ პირველივე ნამუშევარი სტუდენტებთან კი არა, პროფესიონალ მსახიობებთან გააკეთა... ერთი სიტყვით, ეს ორივე მხარისთვის კარგი გამოცდილება იყო.



**– მსახიობისთვის კარგი ფორმის შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენ როგორ ახერხებთ ამას?**

– განსაკუთრებით ვცდილობ და ვირჯები-მეთქი, რომ გითხრათ, არ ვიქნები მართალი. ასაკი ყველას გვემატება და ვბერდებით, მაგრამ მთავარია, ახალგაზრდული შემართება გქონდეს. ისე, მე თუ მკითხავთ, სიბერე სულის მდგომარეობაა. 16 წლის ადამიანიც მინახავს შინაგანად მიხრწნილი. საერთოდ, გულს თუ ბოღმას და შურს არ მიაკარებ, რა დაგაბერებს. ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, როცა გავიგებ, რომ ნიჭიერ კაცს გაუმართლა. ყოველთვის ვცდილობ, სიტყვა შევაწიო კოლეგებს, თუ კი ამის საშუალება მომეცემა. ბევრს უკვირს და გამიგია კიდეც, რომ უთქვამთ ჩემზე – ან ძალიან სულელია, ან სიკეთეს თამაშობსო. მაგრამ ასეთ რამეებს ყურადღებას არასოდეს ვაქცევ. ისე, არც სულელი ვარ და არც ზედმეტად კეთილი, უბრალოდ, სამართლიანობა მიყვარს. რამდენი კარგი მსახიობი დგას დღეს ჩრდილში...

დრო დადგა ისეთი, რომ დრამა და კლასიკა აღარავის აინტერესებს, მაყურებელს გართობა უნდა. ალბათ, ეს ტალღაც გადაივლის, როგორც კინოში: ეს გაუთავებელი სერიალები, სერიალები, ფინანსურად უნდა გიღირდეს მათში მონაწილეობა, თუმცა არც ამის გამო უნდა დაიმცირო თავი. ისე, ამდენი სერიალების გადაღებას ერთი ნორმალური ფილმი გადაეღოთ, ალბათ, აჯობებდა... მაპატიეთ, სიტყვა გამექცა, რა მკითხეთ და სად წავედი...

**– ფეხმძიმობის გამო, ახალი სეზონიდან, ალბათ, მოგიწევთ ცვლილებების შეტანა სამუშაო გრაფიკში.**

– სამ სპექტაკლში, შეძლებისდაგვარად, ვითამაშებ. სხვაგან კი, შევხედავ სიტუაციას, და თუ არ გამომივიდა... ნამდვილად არა ვარ იმ კატეგორიის ადამიანი, რომელიმე სპექტაკლი ჩემი ორსულობის გამო გავაჩერო. მაგალითად, გოგას დადგმისთვის უკვე მყავს კანდიდატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ქეთი ჩაჩუა, ძალიან ნიჭიერი მსახიობია. თან ისე კი არა, რომ დროებით „გამოვიყენო" და მერე ახლოს აღარ გავიკარო. მიუხედავად იმისა, რომ დუბლიორი არასოდეს მყოლია (კაცმა რომ თქვას, სულ მიწვეული მსახიობი ვიყავი, შტატში არც კი ვყოფილვარ), ქეთი ჩემი სრულუფლებიანი შემცვლელი იქნება. ადამიანები ვართ და არ ვიცით, ხვალ რა იქნება. თეატრში მოსული მაყურებელი გაწბილებული უკან არ უნდა გაბრუნო.



**– როგორ ფიქრობთ, ნინო, ქალად რომ იგრძნო თავი, კმარა მარტო ის, რომ ვიღაცას უყვარხარ?**

– იცით რა? ეს საკამათო თემაა, ბევრს ვუყვარებივარ, სიტყვით ცა და ქვეყანა უჩუქებია, მაგრამ ბედნიერი არ ვყოფილვარ. შეიძლება ქალს ქმარიც ჰყავდეს, მაგრამ დაბადების



დღის მილოცვა სხვამ დაასწროს, თუნდაც ტელეფონით. ვერც ასეთი კაცის გვერდით იგრძნობ თავს ქალად.

**– ბუნებით უფრო ოპტიმისტი ხართ. როგორ ფიქრობთ, ეს ქალისთვის კარგი თვისებაა?**

– ქალი მუდამ რეალისტი უნდა იყოს და აუხდენელზე არ იოცნებოს. მთავარია, გქონდეს რეალური მიზანი ცხოვრებაში და, ღმერთის რწმენით ცდილობდე მის განხორციელებას. რწმენას ძალიან ბევრჯერ გადავურჩენივართ. ჩვენ ხომ ყველანი მეტნაკლებად მორწმუნენი ვართ, ალბათ უფრო – მცირედ მორწმუნენი: ათი მცნებიდან ხუთს თუ მაინც შეასრულებ, ესეც უკვე კარგი ნიშანია.

*საუბარში გიორგიც ერთვება:*

– კაცი ყოველთვის პესიმისტია, ქალი კი – ოპტიმისტი, რადგან ის ადამის შემდეგ გაჩნდა, ანუ „ცარიელ ადგილზე" არ მოსულა და კაცის სიძლიერის იმედიც ჰქონდა. ვუსურვებდი ქართველ ქალებს არ დაეკარგოთ კაცისადმი პატივისცემა. სამწუხაროდ, დღევანდელ ცხოვრებაში ფუნქციების აღრევა მოხდა, ვეღარ გაიგებ, ვის რა უნდა და რა მოეთხოვება. ეს რომ დაბალანსდეს, ქალი ქალად დარჩება, კაცი კი კაცობას დაიბრუნებს. ეს ორი არსება ხომ ერთმანეთის სიყვარულისთვის შექმნა ღმერთმა.

*სიტყვას კვლავ ნინო იბრუნებს:*

– კაცის ადგილი ქალმა იმიტომ დაიკავა, რომ მამაკაცებმა ფუნქცია დაკარგეს. არ გინახავთ ქუჩაში – ქალი ცხრა ჩანთას მოათრევს და მეათე კბილებით რომ უჭირავს? დარწმუნებული იყავით, მისი ქმარი სახლში დივანზეა წამოწოლილი და ტელევიზორს უყურებს, ან სულაც სძინავს. კარგი, ბატონო, ვთქვათ, სამსახურს ვერ შოულობ, ფული არა გაქვს, მაგრამ გული ხომ მაინც უნდა შეგრჩეს და რითიც შეგიძლია, შეეხიდო მეუღლეს. ოჯახში ბევრი საქმეა კაცის გასაკეთებელი. წყლის ონკანი რომ გაფუჭდება, თუ თვითონ ვერ გააკეთებს, ხელოსნის მოსაყვანად მაინც ნუ გაგზავნის ცოლს. ასევეა ქალიც, თუ არ კვდები, ჭურჭლის სარეცხად ქმარი არ უნდა მიაყენო და ხელში მტვრის ტილო არ უნდა შეაჩეჩო. მოკლედ, ქალმაც და კაცმაც უნდა იცოდეს, რისთვის არის გაჩენილი. სხვათა შორის, არც იმ ანდაზას ვეთანხმები, „კაი კაცს ცოლი არ ღალატობსო" – ისეთი დაუნახავი ქალებიც არიან, ყველაფერს რომ კადრულობენ. თუმცა, ზოგიერთი კაცი ყველაფრის ღირსია. მოკლედ, ფუჭ ოცნებებს არ უნდა აჰყვე და ამის გამო რეალობას არ უნდა მოსწყდე. პირადად მე სიყვარულით, ჩემს ახლობლებს თუ დასჭირდათ, თავს შემოვევლები და ვანაცვალებ, მაგრამ რომ შევნიშნო ვინმე ბოროტად სარგებლობს ჩემი სიკეთით, თავს დამცირებულად ვიგრძნობ და შეიძლება ცუდად მოვიქცე. წეღანაც ვთქვი, „ნაკლებად მორწმუნენი" ვართ-მეთქი: მარჯვენა ლოყაში რომ გამარტყან, მარცხენას ვერ მივუშვერ, გამიჭირდება.

**– პატარას როდის ელოდებით?**

– დეკემბრის ბოლოს. ნიკა 30-შია დაბადებული და ძალიან მინდა მის დაბადების დღეს „დავამთხვიო". როგორც გვითხრეს, ბიჭი უნდა გვეყოლოს, მაგრამ შინაგანად რატომღაც არ მჯერა. ჩემს ქმარსაც გოგო უნდა. მთავარია, ჯანმრთელი დაიბადოს და სულ ერთია, ვინც იქნება.

**– სახელიც შერჩეული გექნებათ უკვე...**

– დაფიცებული მქონდა რომ ბიჭს გიორგის, გოგონას კი მარიამს დავარქმევდი და არც გოგაა წინააღმდეგი, თუმცა, ძალიან მოსწონს სახელი რატი.

**– ნინო, ამ ბედნიერ მოლოდინში მყოფი, რას უსურვებდით ქართველ ქალებს?**

– პირველ რიგში, ვუსურვებ, რომ გვერდით ჰყავდეთ ნამდვილი მამაკაცი, რომელიც სიყვარულს და სითბოს არ მოაკლებს. ყოველთვის თეთრი მანდილი ჰხურებოდეთ და შავი აშოროთ ღმერთმა. არასოდეს გასჩენოდეთ ძვირფასი ადამიანის უდროოდ დაკარგვის შიში. და, რაც მთავარია, ყველა ქალს ვუსურვებ განეცადოს დედობა, რადგან პირველი და უდიდესი მოვალეობა, რაც ღმერთმა დაგვაკისრა, მოდგმის, ჯიშის გაგრძელებაა.

**აზა ონიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქეთი გამგებელი

დაიბადა თბილისში. დაამთავრა 169-ე საშუალო სკოლა, 2005 წელს კი თბილისის აგრარული უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა „ცისკარში“ და „ლიტერატურულ საქართველოში“. მასვე ეკუთვნის ლექსების კრებული „დუმილის შემდეგ“.

* * *

მაქვს წერის ნიჭი
და წერა მიჭირს,
ეს ბოლო დროა თითქოს დავმძიმდი,
ათას წვიმაში და განსაცდელში
თუ რამ გადამრჩა
დამაქვს განძივით;
ყველა თითოჯერ გამოდგა ფლიდი,
ვისაც ოქრო და დაფნა ენება,
ცხოვრება თითქოს უკუღმა მიდის
და კაცმა რომ თქვას
რა მეწერება?!
მაგრამ მე შენი სინათლის მჭერა,
სულში სალბუნად უნდა ღვენთავდე,
რომ გადამირჩეს, მიცოცხლო ჯერაც
სიტყვა ღმერთიდან
სიტყვა ღმერთამდე!

* * *

ხარ დაბრკოლება ბევრი
ბრიყვისთვის,
მე კი სნეული, შენს ყოფნას
ვნატრობ,
დიდი მადლობა, ყველა
სიტყვისთვის,
რომელიც ქარში მომეცი მარტოს,
დიდი მადლობა, რომ ამ ქარებმა,
ამაყი ფიქრი ისე გახედნა,
რომ რაც კი ცაზე ვარსკვლავი
ენთო,
სუყველა სულში ჩამოახედა...
ხარ დაბრკოლება ბევრი
ბრიყვისთვის
მე კი სნეული, გვედრი დანდობას,
უთქმელი ჯერაც, ჩუმი სიტყვისთვის,
მუხლმოდრეკილი გწირავ მადლობას!

2005. 18. 06.

* * *

ცრემლი — ჩემი მცველი
ყოველ დროს,
ფიქრი აღარ მიქრის
ისე შორს,
თვალი — მრგვალი რვალის პერანგს
ქსოვს

თოვს და თოვს და თოვს...
ზეცა ჩამომექცა — მეგონა
ისე მოინისლე, როგორც დრო
ნიღაბს ვიღებ, ვირგებ და
ვერ ვთმობ,
თოვს და თოვს და თოვს...
სევდას ვეღარ ვშველი ვერაფრით,
გამიფარისევლდა — ვერაგი.
შენსკენ მოსასვლელ გზას ვავლებ
შოვს,
თოვს და თოვს და თოვს...
შენ კი... ისევ სხვა ხარ,
ისევ სხვა,
მე არ ძალმიძს შენი ასახვა
თვალში ფიფქად —მინდა დაგენთო,
თოვს და თოვს და თოვს...

2005. 18. 05

* * *

არ ვიცი დიდი რად მეჩვენება
ოთახში მყოფი პატარა სივრცე,
ვზივარ სულ მარტო ჩემს აივანთან
და საათობით მუსიკას ვისმენ.
ათასში ერთხელ ცერად გავხედავ
გზის პირას ქარვაჩამოყრილ კედარს
და თითქოს ყოველ ჩემს შეხედვაზე
ის ისევ ისე თავიდან კვდება;
დღე ისე ზანტად ამთქნარებს გარეთ,
რომ თითქოს დარდი სულ არ
ქონია
და ჩემსკენ თეთრი ხელებით მოაქვს
მზა შემოდგომის მელანქოლია...

* * *

შენ ისევ ისე
ფიქრის ჯარს მისევ.
შენ ისევ შენი
მოგაქვს ლოგიკა;
მე ცარიელი მოგონებებით
ვაწყობ რითმების აერობიკას
და სადღაც ვმარხავ სუყველა ნიღაბს
რაც კი ოდესმე სახეს მოვარგე.
ამ ყოფასა და იმ ყოფის მიღმა
რომ სამუდამოდ არ დამეკარგე.

და შენ კი მაინც დუმილით მებრძვი,
დუმილით მეძებ ცხოვრების მიღმა
და სათითაოდ აცოცხლებ სადღაც
ყველა ჩემს მიერ დამარხულ
ნიღაბს...

* * *

შენ:
ახლა ალბათ ლოგინზე წევხარ,
თავი დამრეცად გიდევს ბალიშზე,
და სიგარეტის აბდაუბდაში,
განვლილ ცხოვრებას აანალიზებ;
ოთახში ალბათ კვამლის დგას ბუღი,
შენ ზანტად დგები, ფანჯარას აღებ,
და უცაბედი მანქანის შუქი
მიმოევლება მოღუშულ ჭაღებს...
მე:
ამ დროს კალმით ფურცელს
ვაბრუებ,
ხელები — ნაზად ფარავენ ოვალს
და ყოველ წამში სიკვდილს ვეჩვევი,
რომელიც ერთ დღეს უთუოდ
მოვა...

2005. 1.7

* * *

მეგონა რომ სიტყვის დაფნა ვინმე
სიტყვა გრძნობის შევადუღე
კირ-ქვა,
რა ძნელია კალამს აცოდვილებდე,
როცა უკვე ყველაფერი ითქვა.

* * *

ტკივილო ჩემო, იმედო ჩემო,
თუ მაინც უნდა ცეცხლად მომედო
როდემდე უნდა მტანჯო უწყალოდ
და დამიჩემო,
და თუ დღეს ჩემსას
ნათელი შერჩა,
მასავით უნდო — მასავით ბეჩავს,
თუ ჩემს ცხოვრებას ლანდად მოები,
მაშინ...
სად გაქრა განცდა უტყვი ამაოების?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ესმა ონიანი დედოფლად იყო დაბადებული“

**კონდოლიზა რაისი მსოფლიოში მოგზაურობს. მას ბევრი პრობლემა აქვს თავისი ზესახელმწიფოსთვის გადასაწყვეტი. თავისუფალი წუთიც იშვიათადაა მის განკარგულებაში და მაინც...**

**მსოფლიო დიპლომატი ამ წუთს ქართველი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის ოჯახისთვის იმეტებს. ის აღაფრთოვანა იმ შესანიშნავმა ალბომმა, რომელიც თბილისიდან გაატანეს და ესმა ონიანის შემოქმედებას ასახავს.**

**„დიდი მადლობა თქვენი დის, ესმა ონიანის ხელოვნების მშვენიერი წიგნისათვის. ის ყოველთვის გამახსენებს თბილისში ჩემს ვიზიტს პრეზიდენტთან ერთად“.**

**კონდოლიზა რაისი**
**2005. 2. 07**

ესმა ცოცხალი აღარ არის, ცოცხალია მისი 93 წლის დედა – ეკატერინე აბაშიძე, რომელსაც დღესაც ჰგონია, რომ შვილი საცაა კარებს შემოაღებს.

ბევრი მადლიერი პაციენტი ჰყავს მის დას ირინე ონიანს, დოცენტს, ექიმ-ოფთალმოლოგს, რომელმაც ესმას ხსოვნის უკვდავსაყოფად თავი მოუყარა მის ნახატებს, ლექსებს, ესეებს და ალბომის სახით გამოსცა.

ესმა თბილისში დაიბადა 1938 წელს. დედა – ეკატერინე აბაშიძე ძველი, ტრადიციული ქართული ოჯახიდანაა. მამა – ვასილ ონიანი პირველი სვანი სამხედრო და პირველი სვანი პროფესორი იყო. ესმამ ოქროს მედალზე დაამთავრა 23-ე ქალთა საშუალო სკოლა და სწავლა თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე გააგრძელა. მისმა სადიპლომო ნაშრომმა უმაღლესი შეფასება მიიღო და გამოფენილი იქნა მოსკოვში, საკავშირო სამხატვრო სასწავლებლების X გამოფენაზე. მუშაობდა წიგნის გრაფიკაში, ტელევიზიაში – დამდგმელ მხატვრად, ხოლო 1968 წლიდან გარდაცვალებამდე – თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრაზე. მრავალ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა სამშობლოშიც და საზღვარგარეთაც. მისი ნამუშევრები ინახება სურათების გალერეაში, კერძო კოლექციებში. 1966 წლიდან ჟურნალ-გაზეთებში პერიოდულად ქვეყნდებოდა ესმას ლექსები, ესეები, წერილები. მის სიცოცხლეში გამოიცა ლექსების 4 კრებული, მეხუთე – გარდაცვალების შემდეგ. 1999 წლის 31 დეკემბერს მოულოდნელად შეწყდა შესანიშნავი მხატვრისა და პოეტის ესმა ონიანის ამქვეყნიური არსებობა.

* * *

ის აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სახლში გაიზარდა. საათობით უყვარდა ფანჯრიდან მზერა – დილით, შუადღეს, საღამოს, როცა მზე სხვადასხვანაირ ელფერს ჰმატებდა თბილისის ხედებს. მერე ჯდებოდა, იღებდა ფუნჯს ან კალამს და ნანახი თუ განცდილი ქაღალზე გადაჰქონდა – საოცარი ძოწისფერი ფერებით თუ მძივებად ასხმული სტრიქონებით. თბილისს ბევრი მხატვრული ტილო და ლექსი მიუძღვნა.

დიდ პატივს მიაგებდა წინაპრების ხსოვნას სვანეთისადმი მიძღვნილ ნახატებში, ლექსების ციკლში. დიდებულია მისი „სვანების სიმღერა მზეზე“. „ამოვიწევთ ქვებიდან, ამოვიშლით მხრებს, ამართულებს ზევიდან დაგვეცემა მზე. მზე. ვდგავართ ფეხებგამდგარი, ემძიმება კლდეს, თეძოჩაწურულები თვითონ ვგავართ ქვებს, მიშვერილებს ცისაკენ, მიბჯენილებს მზეს. მზეს.“

ზოგჯერ ბავშვივით აიტაცებდა ხარაგაულის რაიონში დედისეულ სოფელ სარგვეშში ჩასვლის ნატვრა: „იქ, სარგვეშის აბაშიძეებთან უნაბი ფშატებს შეფოთლებია, მწვანე წენგო აქვს მოყვითლებული ნიგვზის ზმანებას თეთრ ლებნებიანს.“

...ეს ვინ ყოფილა ჩვენს გვერდით, ვის უცხოვრია, ვის უხატია და უსაუბრია! ვიცოდით და არც ვიცოდით, ამიტომ ისე ვერ მოვეფერეთ, როგორც ეკადრებოდა.

ორი მუზა დასტრიალებდა თავს – მხატვრისა და პოეტის. ორივე ძლიერი იყო და ერთმანეთი რომ ვერ გადაძალეს, მორიგდნენ – ორივე ერთნაირად გამობრწყინდა მსმენელისა და მნახველის სულისშემძვრელად, დასამონებლად.

საოცარ ტყვეობაში აღმოვჩნდით, საიდანაც თავს ვერ დავაღწევთ, რადგან ეს ყველაფერი ესმასია, მას რომ შეეფერება, ისეთია, თითქოს არაამქვეყნიური...

და განა არის, ნეტარება მონობაში?

თურმე ყოფილა!

ეს ჩვენ ვართ ნეტარი მონები ესმასი...

ხარბად ვისმენ დედისა და დის ნაამბობს, თუ როგორი ყოფილა.

მისი სახლიდან 23-ე სკოლამდე ხუთი წუთის სავალია. ის გადიოდა შინიდან უფრო ადრე, რომ მოსიყვარულებოდა თბილისის ქუჩებს, ნაცნობ შენობებს, ადამიანებს, ახალგაღვიძებულ ნიავს, წვიმის წვეთებს და იებს, პირტიტველა ბიჭი გოგონასთვის რომ ყიდულობდა. ამით მთავრდებოდა მისი პირველი გაკვეთილი. შემდეგ ირეკებოდა ზარი და იწყებოდა სხვა გაკვეთილები:

ქართული ლიტერატურა, რომელიც ძალიან უყვარდა;

მათემატიკა, რომელიც ძალზე ეადვილებოდა;

ფიზიკა, რომელშიც ტოლი არ ჰყავდა;

ყველა საგანში პირველობდა.

გარს მეგობრები ეხვია. ბევრი ჰყავდა თანამოაზრე. ამიტომაც დაასახლა ისინი თავის ნახატებში. მათ შთააგონეს ეხატა საოცარი ტილოები, ეწერა განუმეორებელი ლექსები.

რა სიყვარულით შექმნა გურამ რჩეულიშვილის პორტრეტი, ისეთი, როგორიც გურამს ეკადრებოდა. პირველი სულიერი ტრავმა მაშინ განიცადა, როცა გურამი დაიღუპა. დიდებული ლექსი მიუძღვნა მას ხალხურ მოტივებზე აგებული: „ჩემო გურამ, რომ მიყვარხარ, რად მომიკალი გულიო, მიწაზე დარჩენილიყავ, ვისთვის მიგქონდა სულიო. გვეხადა ჭაჭის არაყი, თიხა გვეზილა სქელიო, გამოგვეწ-გამოგვეხრაკა წითელი, სიცხის ფერიო. დოქებისა და ჯამების გორა დაგვედგა მთელიო“...

გავიდა ათი წელი და ესმამ ახლა ლექსების ციკლით გაიხსენა მეგობარი „გურამის მაგიერ თქმული ლექსებიდან:“ „როცა ვერ გხედავდი, გეძახდი. როცა საფრთხე იყო, ვიბრძოდი – გეძახდი. როცა შრომა იყო, უდროობა – გეძახდი, გეძახდი“...

ახლა უფრო მეტად უფრთხილდებოდა მეგობრებს, იძენდა ახლებს, პატივს მიაგებდა სათაყვანო ადამიანების ხსოვნას. უძღვნიდა ესეებს ტერენტი გრანელს, გალაკტიონს, დავით კაკაბაძეს, მატისს... „დაიმეგობრა“ წინა საუკუნეების ბუმბერაზები – დერჟავინი, პუშკინი, ბლოკი, ესენინი, შეიყვარა ისინი



და იმიტომაც თარგმნა ასე დიდებულად მათი შედევრები.

ესმა ჩქარობდა მოესწრო სათქმელი. მოიმარაგა ფუნჯი, საღებავი, კალამი, ფანქარი, იმდენი, მრავალი წელი რომ ეყოფოდა, მაგრამ უფალმა ადრე დაასმევინა ბოლო შტრიხი. ღამით, როცა ყველას ეძინა, არც მას, არც მისიანებს გაუგიათ, როგორ წავიდა მარადისობაში. არადა, როგორ უყვარდა ოჯახი: „ჩემს ოთახში, როცა მზე ჩნდება, როცა ჩვენები – დედა, მამა და ჩემი და იქით არიან, დედა ქსოვს, მამას ისევ აკაკი დროდადრო კანკალშერეული ხელით უჭირავს, ჩემს ოთახში იატაკზე აბრიალდება ერთი ბილიკი, კომშისფრად ღვივის, ღამე მშვიდობის, ღამე მშვიდობის, მზე მიდის შინა"...

ღამე მშვიდობის – ასე გამოეთხოვა სამუდამოდ თავისიანებს, ისე, რომ არავის მისამართით საყვედური არ დასცდენია, მოკრძალებული იყო და ასევე მოკრძალებულად წავიდა.

და როგორც ხშირად ხდება, აღიარება სიკვდილის შემდეგ ეწვია. გარდაიცვალა და ყველამ მაშინ აღმოაჩინა. ერთი წლის შემდეგ სახელმწიფო პრემია მიანიჭეს.

**„ესმა ონიანმა ორი სრულიად დამოუკიდებელი, სახვითი და ლიტერატურული სამყარო შექმნა და რა სამწუხაროა, რომ მას „გამაოგნებლად გენიალური" მხოლოდ სიკვდილის შემდეგ უწოდეს".**

**ნინო ხოფერია**

**„ესმა ონიანი თანამედროვე ქართულ პოეზიაში დიდი მოლოდინის ანუ მოაზროვნე მკითხველის პოეტია, რადგანაც იგი არავის ჰგავს – არც წინამორბედებს და არც თანამედროვე კოლეგებს.**

**მის პოეზიაში, ესეისტიკაში თუ ჩანაწერებში სხვებიც, ანუ მომავლის მკითხველებიც აღმოაჩენენ და დაინახავენ, აღიქვამენ და შეიყვარებენ პოეტისა და ფერმწერის ანალიტიკური აზროვნების, ლექსის უბადლო ორკესტრირებისა და მოულოდნელი მიგნებების ბრწყინვალე ნიმუშებს.**

**ესმა ონიანი ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, XX საუკუნის კიდევ ერთი უკომპრომისო და გენიალური ქართველი პოეტია".**

**რენე კალანდია**

**„ესმა ონიანის არამიწიერი ნამუშევრები შინაგანადაა გასხივოსნებული და საოცარ ენერგიას ატარებს. ფერწერა და გრაფიკა, პორტრეტები, კომპოზიციები, ჩანახატები ერთნაირი ზემოქმედებისაა."**

**ლელა ოჩიაური**

**„ჩვენმა მესამე მოგზაურობამ თბილისში ყველაზე ამაღელვებელი აღმოჩენა შემოგვინახა... ესმა ონიანი არის ჭეშმარიტი და ძალიან დიდი მხატვარი"**

**არნო დ'ოტრიკი**

სასიამოვნოა, რომ ბოლოს მაინც აღსრულდა ნება ღვთისა და ითქვა სიმართლე, მაგრამ ყველას მაინც ბატონმა რეზი თვარაძემ დაასწრო. სულ პირველად მან შეუმცდარი ალღოთი ამოიცნო და ჩვენც გვიჩვენა ესმა ონიანის ფერწერისა და პოეზიის ფენომენი:

„ესმა ონიანმა დაგვანახა რაღაც სასწაულის ძალით როგორ ჩამოდის თითქოსდა ზეცთა წყაროებიდან, ზეცთა სოფლიდან სული ინდივიდუალური და რა ფერებად, რა ხმებად გარდაისახება ეს სამყარო, ხილული სამყარო ამ სულში და როგორ მოხდება შერწყმა ამ ორი საოცრებისა, ღვთაებრივი და ხილული სამყაროებისა."

თუ ამას დავუმატებთ სხვა კრიტიკოსის შეფასების ერთ სტრიქონს, კიდევ ერთხელ ვირწმუნებთ, რომ „ესმა ონიანი დაბადებული იყო დედოფლად და იქცეოდა, როგორც დედოფალი."

მისი სახელი გასცდა საქართველოს. მისი არაჩვეულებრივი ალბომი ინახება პოლონეთის 12 პრესტიჟულ დაწესებულებაში. მას ეცნობიან ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, საფრანგეთში. მალე იხილავენ აზიურ ქვეყნებშიც. ამის ინიციატივა პოლონეთის ელჩის მეუღლეს კინგა ნეტმან-მულტანოვსკას ეკუთვნის, რომელიც რამდენიმე წელია საქართველოში იმყოფება. მან მაღაზიაში შემთხვევით შეიძინა 2003 წელს დასტამბული, როგორც თავად ამბობს, უძვირფასესი ალბომი. მეორე დღიდან დაიწყო ონიანების ოჯახის ძებნა. საელჩოსთან ახლოს, „კოპალაში" ესმა ონიანის ფერწერული ნამუშევრების გამოფენაზე მეუღლესთან ერთად მივიდა. იქ გაიცნო ესმას და ირინე და დამეგობრდნენ. წელს კი ქალბატონმა კინგამ თავისი იდეა განახორციელა – ირინეს ნებართვით ფინჯან ყავაზე შეიკრიბნენ სხვადასხვა ელჩების მეუღლეები, დაათვალიერეს ესმას შედევრები და აღფრთოვანებულებმა გადაწყვიტეს მისი ალბომის საზღვარგარეთ გავრცელება.

ასეც მოხდა. ალბომმა ევროპის ბევრ ქვეყანაში ბინა უკვე დაიდო. მასთან ერთად ესმამაც იმოგზაურა და ახალი კერა გაიჩინა.

**ლია კაკაბაძე**

## თამარ ფხაკაძე



მხატვარი ცინარა ტერელაძე

გაზაფხულს აქეთია, ანზორას უძილობა დასჩემდა. აღარც დღე და აღარც ღამე მის თვალს რული აღარ ეკარება. დამთქნარება რაა, ერთხელ აღარ დაუმთქნარებია კაცს! კარგახანს ყურადღება არ მიაქცია. მერე, რა გზა იყო, მიაქცია და იფიქრა, მალე გამივლისო. რომ არ გაუარა, – ჩათრევას ჩაყოლა სჯობსო, და გადაწყვიტა, ღამით სათავისო დღე მოეწყო. ცოტათი მაინც, რა თქმა უნდა, დაიწყო ფიქრი, რა და როგორი მზე ამოიყვანოს თავისთვის მაშინ, ცა ვარსკვლავებით რომაა მოჭედილი და ყველას რომ სძინავს, მთელ თბილისს. მაგრამ, რატომ ყველას? გაახსენდა ანზორას აქეთა და იქითა ნახევარსფეროების ამბავი. მოეპოტინა. გაბურღა დედამიწა ფიქრით და ამერიკაში ამობურღა, ამობურღა და დახვდა იქ დღისსული. დაიწყო თავის შეგულიანება.

„ა, ბატონო! – ფიქრობდა, – „აქ რომ ღამეა, იქ დღეა. რავა, მთელ მსოფლიოს კი არ ძინავს! ღვიძავს, ეგერ, ახლა ამერიკის პრეზიდენტს. ვინ იცის, რაცხა საბუთებსაც აწერს ხელს... არ ეძინება, ბატონო! არც მე მეძინება! რა ვუყო ახლა, მევიგლა თავიი?.. ამერიკის პრეზიდენტს თუ ღვიძავს, ჩემი ღვიძილით დეიქცა ქვეყანა?!

ხომ იცით, და როგორ არ გეცოდინებათ, რომ ბნელა, უკუნი რომაა და შორს, სადღაც, სინათლე რომ კიაფობს, – იქიდან გაიმედებს, იქიდან გახარებს... იქ, სადღაც ხომაა კიმანიც! ასე იყო ანზორას საქმე. ამერიკის პრეზიდენტის და სულაც მთელი იქითა ნახევარსფეროს ღვიძილით იგულიანებდა თავს, ამარცხებდა მარტოსულობის, ავბედითად გამორჩეულობის გრძნობას და... მოკლედ, ყოჩაღად იყო!

კაი, ბატონო. ეს ერთი საშველი, ეს იქითა ნახევარსფეროს და ამერიკის პრეზიდენტის შუქურაობა სამისდღეშიო ამბავია! – სულ ეგრე იქნება. არსად გაიქცევა... და ანზორამ ახლა უფრო გულმშვიდად დაიწყო სხვა საიმედო სხივის ძებნა ფშვენვით და ხვრინვით სავსე უკუნში...

„ლექსების წერას დევიწყებ!“ – აიკვიატა ერთხანობას. „დევიწყებ ლექსების წერას! ღამითაა მაგის დრო და წესი. წინეებზე, ბოვში არ იზეპირებდა სკოლისთვის?..

ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ,

შუაღამე იწვის დნებაო?.. ძაან კარგად დამახსომდა! რავა, ამის დამწერს თუ არ ეძინა შუაღამეზე და ლექსს იგონებდა, ჩემი რა გასაკვირი იქნება, განსაკუთრებულად?! დავჯდები და დევიწყებ მეც ლექსების წერას...“

დაიწყო და დაწერა:

ახლა, როცა მე ამ ლექსს ვწერ

გარეშემო ძინავს ყველას.

მოეწონა. ამის წერაში, გავხედოთ და, რიჟრაჟიც შეეპარა ღამეს... მეორე ღამეს გააგრძელა.

ძინავს ცოლსაც, ძინავს შვილსაც,

ძინავს...

ძინავს... – ბიჭო?! ვის ძინავს კიდე...

წამოდგა ანზორა და ფანჯარა გამოაღო.

ბუჰ! – დანაკავებ ტალღასავით შემოასკდა ოთახში ღამეული, ნედლი ჰაერი, აკაცია – ცაცხვის სურნელი... ანზორამ ნაწვალები თავი შეუშვირა ამ ყველაფერს და აქა-იქ მოციმციმე ქალაქს გახედა.

ფიქრობდა:

„რამდენი რამეა, კაცო რამდენი რამეა, რო დოუკვირდე... რა დაწერს ამას ყველაფერს!..

ვის ძინავსო... ვის ძინავს და ყველას ძინავს! ლექსისთვის დეილია, თორე...“

დაბრუნდა მაგიდასთან.

ძინავს ცოლსაც, ძინავს შვილსაც...

ძინავს...

მეზობელსაც ყველას...

ააჰ! არ ვარგა კაპიკად... რითი დაწერა, კაცო იმან ასე ძვირფასად...

შუაღამე იწვის... დნება...

წამოდგა, ისევ შეუშვირა გახურებული თავი ღამეულ ნიავს. „ძნელია, ხო იცი!“ – ფიქრობდა, – „მაგი არ გამომადგება მე. მაგას ის უნდა თავისებური... ნიჭი! აგერ, ბოშო, მოვალ ფანჯარასთან, – ქვეყანა რამეა, რასაც ძინავს... მივალ იქ და, – დეილევა ყველაფერი! გაწყვება! რა ვნახე კაცო ეს!“

და მიანება თავი პოეტობას.

უძილობა კი, არადა არ ეშვებოდა ანზორას.

დაკარგა კაცმა ფერი და ხორცი. ამოუღამდა თვალებქვეშ უპეები, აერია სახე.

ფიქრობდა:

„ აქ როგორაა თუ იცი, საქმე... ქე რო ძაღლი შეგატყობს, შევაშინეო და გამოგენთება. თუ დოუხვდი მაგრათ და ვერ შევაშინეო, იფიქრა, – გეიძურწება იქით. ასეა ამ ვერანას საქმეც, ამ უძილობის. არ უნდა შეუშინდეს ანზორა, არა! და დაგანებებს თავს. დაგანებებს და იხვრინე მერე, ბიძია, ნახე ნაირ-ნაირი სიზმრები...

ჰოდა, არ იმჩნევდა ანზორა უძილობას. მედგრად უხვდებოდა.

იმან კიდევ... ეეე, შეჭამა კაცი ნელ-ნელა, ძალ-ღონე გაჰპარა, ხალისი, როგორც შემოჩენილი თაგვი თითო კენიტ შაქარს, ყოველღამ მიაცუნცულებდა თითო კენიტ სიცოცხლეს... ანზორასას, რა თქმა უნდა.

ანზორა კი სულ ნაირ-ნაირებს ეჭიდებოდა ხავსივით.

– ეგერ ახლა, საავადმყოფო როა გაღმა, ე, ხო არ ძინავთ ახლა იმის მორიგე ექიმებს! ხო უთენებენ ღამეს ავადმყოფებს?.. ზოგი, თუ გასაჭირია, ოპერაციასაც ქე აკეთებს ახლა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

23780

– და იმწამსვე, რაღაც უხილავი ღამეული ლანდი იმედს გადაუწყვეტს:

– ვაი, შე უბედურო! მაგ მორიგე ექიმი ამაღამ ათევს ღამეს, თვარა ხვალღამ და ზეგღამ ქე აგდია და ძინავს მის გემოზე.. შენ, რავა, მორიგეში ხაარ?!

– ჰოო...

– კაი, ბატონო... მართალია.

მიაგნებს ახალს:

– დღეს გეიგონე, რას ლაპარაკობდა პეტიკო?! რაიო და, ჩვენ რომ ვწვებით და ვიძინებთ, მაშინ იწყება ქალაქში ცხოვრებაო. აპა! არი, თურმე გნიასი და ერთი ამბავი. ღამის კლუბებიო, კაზინო-ბარებიო... გამოეფინებიან თურმე ქუჩებში ისინი, ბოდიში მომითხოვია და ბოზები... გაჩერდება, აგერ მანქანა და დეიწყება თურმე მორიგება-გარიგება, არა ამდენი, არა იმდენი... ჩეისვამს მერე, მანქანაში ბოდიში მომითხოვია და... ჰაიდა! წეიყვანს. რო მიყავს ახლა იმას ისი, დასაძინებლად მიყაავს? ვაი, რავაც იმათ ძინავთ...

– ჰა? – გაჰკრავს ანზორას რაღაც აზრი. შეაღებს საძინებლის კარს და... აჰ, არა, არა... ცოლია, კაცო ეს! ის კი არა... ბოდიში და... ბოზი! რა ქნას იწვალა საწყალმა მთელი დღე... იტრიალა. იფაცურა, რეცხა, ხეხა, აცხო... კერა... გაალვიძე ახლა შენ და ბოდიში და, დაუწყე ხვევნა, არ მეძინება რაცხა და, მიშველე, გამათენებიე ეს ღამე ხვევნა-კოცნაში-თქო!.. ა? ხო გედირია ქალი!.. იძინე, ჩემო ელიკო... შენ მაინც იძინე, ჭირიმე...

გამოხურა ანზორამ საძინებლის კარი, დაუბრუნდა ბრძოლის ველს, თავისი მარტოსულობის ღამეულ ასპარეზს. წამით შფოთიანმა ბრაზმა წამოუარა, „ამის დედა ვატირე, ამის!“ – შეკრა მუშტები და უმალვე გახსნა უსუსურად, მორჩილად და აუჩუყდა გული...

ღია ფანჯრიდან ღამის ცვარ-ნამიანი სუნთქვა შემოქრის, ყრუდ, ყრუდ მოისმის დაგადუგი... მატარებელი მიჰქრის შორს. ბნელს მიარღვევს. მიჰყავს სადღაც ხალხი. და... იმ ხალხსაც სძინავს. ზოგს კუპეში... ზოგს ღია პლაცკარტში... ზოგს საერთო ვაგონში. ვისაც არ სძინავს და ეძინება კიმაინც... ამთქნარებს... რა კარგია! – ანზორამ გაიღიმა იმ ბედნიერი მიძილბურანებული ადამიანების წარმოდგენაზე.

– რა ვიცი, ეს ოხერი... – ფიქრობდა, – ი, ჩემ საჩხერეში ქე მეძინა ტკბილად. ამას რავა წარმოვიდგენდი, ასე თუ დევიწყებდი ჭოტივით იმას...

– რავა, იქ სხვა ანზორა იყავი?

მივდგებოდი მთელი დღის ნათოხ-ნაბარი, ვენახის ნაწამლი... აპა, ანზორა, შეშა ჩამომიზიდე ტყიდან და... აპა, ანზორა, სახლის დახურვაში მომეხმარე და... რა ვიცი, კაცო... ანზორა არ ვიყავი იქააც?.. მიჭირდა ძილი?!

ეეჰ... რა ჯობია შენს ეზო-ყურეს, თუ კაცი ხარ. შენი სახლკარის ფასი რაა ამ ქვეყანაზე?!

მოხვალ სალამოხანს სახლში. შეხვალ ეზოში... გედება ფეხქვეშ კრუხ-წიწილა და ცოლ-შვილი... გედიბან იქავე, კრანზე. მოგირბენინებს ბოვში პირსახოცს და შეიმშრალებ ჰაი-ჰარად... მიუჯექი ანზორა მერე გაშლილ სუფრას... გეიხარე, კაი ცხელი მჭადი, ლობიო, პრასი... ჭის წყალი... ჭიქა წითელი ღვინო...

გინდა რამე უკეთესიი?.. მარა, ისიც რომ გაჭირდა, ის დალოცვილი?.. ვეღარ ოუვედი ყველაფერს... მარტო, ბოვშების სკოლას... მარტო ტანისამოს-ფეხსაცმელს... ფქვილს, შაქარს... პრასი ეყოფა ბოვშებს?..

ეჰჰ. გევიხსენო ქემაინც...

ჰოდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, მეითავებ ვახშამს ასე გემრიელად, შერგებულად... არის სალამოხანი. უბერავს მოდინახეს მხრიდან ნიავი... შრიალებს შენი ტალავერი... ზმუის შენი ძროხა... იბუდებენ შენი ქათმები... დაფაცურობს შენი ცოლი... გეტიკტიკებიან შენი ბოვშები. ხარ კაცი ბედნიერი, მიგელულება ასე, სიამტკბილობაში და აპა, თუ გაწუხებს ეს ვერანა, ეს?!.

ეჰ! კიდევ კარგ ჭკუაზე ვარ, ისე... აყარე შენ ცოლი და შვილი, რავარია! სამი ბოვში სოფელში, ერთი – აქით; იწრიალე წინ და უკან, აწეპე გროშები. იდექი გასაყიდ ბუღასავით ელიავაზე... ინერვიულე. აცხობიე ცოლს კაი იმერული ხაჭაპურები ბაზრობაზე წასაღებად. ღმერთო, ეშველება ამას რამე?.. გაახერხებს რაცხას ეს მთავრობა?..

გამიყვანა ერთი ყვირილას პირზე, დამაგდო საცხა ხოდაბუნში გულაღმა და მაყურებია ცაში... არ მაფიქრა არაფერზე. არც პარკეტზე, არც კაფელზე... არც სტიაჟკაზე...

მაყურებია, ასე ცაში და მასმენია ყვირილას ლუყლუყი.

დაათენდა ჩვენს ძილდაკარგულ იმერელს ასე, ნატვრა-ოცნებაში, წავიდა იმ თავის ელიავაზე მოთენთილი, უკვე დაღლილი.

დღე დღეს მისდევდა, ღამე – ღამეს. ანზორას უძილობას არაფერი ეშველა და ისევ ისე ფიქრობდა:

– ჩემით, ჩემით უნდა ვისაშველო რამე! სადაა, ბიძია, ექიმის ფული... აგერ ბიჭს თვალი გოურბის. მარცხენა. ალმასივით ბიჭია და გოურბის თვალი, აელმებს, რავარი მოსათმენია მშობლის გულისთვის? რავარია, შენ შვილს ბრუტიანს რომ დოუძახებენ? მაგია, თუა ექიმთან მისაყვანი, ჰოდა, გოდუხტეს ახლა წინ ანზორა და მეითმენს შენი თვალი, შვილო, მე უნდა წევიდე ამ ფულით ექიმთან, რაცხა, არ მეძინება ღამღამობითო და... აპა! მაგის კაცია ანზორა! ზუსტად!..

და ისევ ღამეული, ცვარ-ნამიანი ოხშივარი დახუთულ ნაქირავებ სოროში...

და ისევ სხვისთვის უხილავი ბორგვა..

და ზოგჯერ, ცოლის ჩუსტების ფაჩუნი შუაღამისას და თვალების სრესით ნათქვამი:

– დაწექი ანზორი... გვიანია უკვე, ადრე ხარ ასადგომი...

ეე... ვაითუ მართლა გვიანია უკვეო... – წამით წუხილი აიტანს ანზორას და მერე, უცებ:

– „ისე, რაღა ადამიანებს გადავეკიდე, კაცო. სხვა სულიერმა არ იცის ძილი და ღვიძილი? ღუღუნიშვილების ძაღლი ეიღე, თუ გინდა... მთელი ღამე ყეფს, იღრინება, გარბის, გამორბის... ღუღუნიშვილების რავა, ჩვენი ქუჩარა? ქუჩარას ღამე ძილი მე არ მომსწრებია, მაგალითად!

კაი ბატონო, ის ღამის მორიგე და ღამის პრავადნიკი ამაღამ რო ათევს, ხვალღამე – ძინავს... მარა ძაღლი?! ძაღლმა რა იცის, ბიძია, მორიგეობა და ისი, ... ღვიძავს სულ, არც დღე იკლავს კარგი ძაღლი ძილით თავს და ღამე ხო, რავა გეკადრება! ძაღლმა თუ იძინა ღამე, რაღა ძაღლია! ეგაა მისი ძაღლური ცხოვრება და რავა... ძაღლური ცხოვრებით არ ვცხოვრობ მეეც?.. რა გასაკვირია...

და ზაფხულიც დადგა. ცხელი. ბიბინა.

ერთხელაც, დგას ანზორა იმ თავის ელიავაზე და, ჯვარი ყველას ეწეროს, მიასვენებენ კაცს სანაპიროზე. ანზორას სიმართლე რომ ვთქვათ, სიკვდილზე ბევრი არასდროს უფიქრია, არც დრო ჰქონია მაგისი და არც სურვილი. ახლაც, ბევრი არაფერი, – გააყოლა პატარაზე თვალი პროცესიას და გაიფიქრა:

– ეჰე! ესეა ჩვენი ცხოვრება, ორი დღის წუთისოფელი, ორი დღის...

ჩამოჯდა იქვე, ხიდქვეშ, მოლიან ფერდობზე, მოიდო თავისი პატარა ფუთა გვერდით და ახლა ეს იფიქრა:

– აფსუსიც ქეა ძილი ამ ქვეყანაზე, რაცხა ორი პარასკევი გეძლევა და ნახევარი ძილში რო ატარო, რაღა გრჩება... ძილის მეტი რა გელის კაცს, მტერი და ავი, რო ისი... საუკუნოდ დეიძინაო, რავა ჰაერზე კი არაა ნათქვამი. სამუდამოდ დახუჭა თვალიო... ა? რას ვწუხვარ, ნეტა ამ ჩემ უძილობას, მოვესწრები, მტერი და ავი... გამოვიძინებ ერთიანად თუ... აჰა!

და დაწყნარდა. რაღაცნაირად, სულ მოეშვა გულს, მოდუნდა, გუნება გამოუკეთდა...

მერე, – ააა ჰ... – დაამთქნარა, გაზაფხულს აქეთია, რომ არ დაუმთქნარებია, ისე.

მიდო თავი ფუთაზე და ჩაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მახსოვს, ბავშვობაში ბებიაჩემი – თამარ ბრეგაძე ნანი ბრეგვაძის საშემსრულებლო ხელოვნებაზე რომ მესაუბრებოდა, ბოლოს აუცილებლად დასძენდა: „ძლიერ ფესვებზეა აღმოცენებულიო!“**



**ახლა, როცა შესაძლებლობა მომეცა გავსაუბრებოდი ქალბატონ ნანის დეიდას, თავის დროზე ცნობილ მომღერალს ქეთევან მიქელაძეს, დავრწმუნდი ბებიაჩემის სიტყვების ჭეშმარიტებაში.**

# ვინ გაუბედა სტალინს „ბიჭოს“ თქმა...

**– ქალბატონო ქეთო, მოდით, საუბარი თქვენი მშობლების გახსენებით დავიწყოთ...**

– მამაჩემმა, ალექსანდრე (საშა) გიორგის ძე მიქელაძემ პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა და ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკის დირექტორად მუშაობდა.

დედა, კალისტინე ლორთქიფანიძე ულამაზესი ქალი იყო. ცამეტი შვილიდან მხოლოდ შვიდი შერჩათ: ელენე, გოგოლა, თამარა, მარუსია, ცაბუნია, ქეთო და გოგი.

ქუთაისში გვქონდა ორსართულიანი სახლი. მეორე სართულზე ჩვენ ვცხოვრობდით, ხოლო პირველ სართულზე – ოჯახის მომსახურე პერსონალი. მოგვიანებით საცხოვრებლად თბილისში გადმოვედით, სადაც მამამ სახელგამი დააარსა.

ცეკაში მამას ამხანაგი შალვა ელიავა მუშაობდა. მან ურჩია, რომ პარტიაში შესულიყო, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. ამის გამო ჩვენს ოჯახს გარკვეული უსიამოვნებები ჰქონდა. მამა იძულებული გახდა ცოლ-შვილის სარჩენად სხვადასხვა ტექსტები ეთარგმნა.

მიუხედავად მრავალი გასაჭირისა, ჩვენი ბინიდან სულ სასიამოვნო სიმღერის ხმა ისმოდა. დებს შორის ყველაზე პატარა მე ვიყავი და უფროსები მასწავლიდნენ სიმღერებს. განსაკუთრებით კარგად ბოშურ რომანსებს ვასრულებდი. ბავშვობიდან გამოვდიოდი სცენაზე.

ჩვენს შორის ყველაზე კარგი სმენა ცაბუს ჰქონდა, ნანი ბრეგვაძის დედას. შემდეგ ჩვენს ოჯახურ ანსამბლს სიძეებიც შემოემატნენ. უფროსი დის, ელენეს ქმარი იყო ეკონომისტი არჩილ ჩიქოვანი, აზიურებში გამოწკეპილი თავადი. გოგოლას ქმარი კი კოტიკო კანდელაკი ჩიტოლია ჩხეიძის ბიძაშვილი, რომელსაც საუკეთესო მეორე ხმა ჰქონდა, თამარის მეუღლე დავით საყვარელიძე გახლდათ, ივიკოს მამა, სიმღერისა და იუმორის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. მარიამის ქმარი ბიჭიკო კალანდაძე იყო ლაღიძის წყლების დირექტორი, რომელიც იმ მძიმე წლებში დაიჭირეს და გადაასახლეს. ცაბუმ კი გიორგი ბრეგვაძეს დაუკავშირა თავისი ბედი.

1935 წელს ნიკოლოზ სანიშვილმა მოსკოვში გადამიღო კინოფილმში „Сердце гор“. მასთან ნათესაობაც გვაკავშირებდა. სანიშვილის დედა დედაჩემის ბიძაშვილი იყო. შემდეგ შოთა მანაგაძემ მიმიწვია ფილმში „ჭირვეული მეზობლები“. ვზივარ სუფრასთან გიტარით ხელში და ვმღერი ლიანა ასათიანის ნაცვლად. ჩიტოლია ჩხეიძე პირველ ხმას მეუბნებოდა.

მოგვიანებით გადამიღეს ფილმში „გიორგი სააკაძე“, რომელშიც მე და მიხეილ ჭიაურელი ხალხურ სიმღერას ვასრულებდით, „ნეტავი, გოგოვ, მე და შენ“. შემდეგაც ხშირად მიღებდნენ მასიურ სცენებში და კარგ ანაზღაურებასაც მაძლევდნენ ნიკოლოზ შენგელაიას წყალობით.

ერთხელ ჩვენმა სიძემ კოტიკომ სტუმრად მოგვიყვანა თავისი ბიძაშვილი ჩიტოლია ჩხეიძე. თავიდან მორცხვობდა, მაგრამ შემდეგ აგვყვა სიმღერაში. იმ დღიდან ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი გახდა. ჩიტოლია, კოლია სანიშვილი და მე ხშირად ვმღეროდით ოჯახებში, ჩიტოლიას განსაკუთრებით ცაბუ უყვარდა, რომელიც ხან როიალზე უკრავდა, ხან გიტარაზე.

ერთი წელი ვსწავლობდი თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე მარინა თბილელის და მედეა ჩახავას ჯგუფში. ინსტიტუტის მაშინდელი რექტორი იყო შესანიშნავი პიროვნება დოდო ალექსიძე, რომელსაც ძალიან მოსწონდა ჩემი სიმღერა და დიდ ყურადღებას მაქცევდა.

**– როგორც ვიცი, 1937 წელს მოსკოვში გამართულ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მონაწილეობდით.**

– მაშინ სანდრო კავსაძის გუნდში ვმღეროდი. იმ პერიოდში ვხვდებოდი ჩემს მომავალ მეუღლეს, აკადემიკოს მიხეილ გიგინეიშვილს, რომელიც იმდენად მიშლიდა მოსკოვში წასვლას, რომ ამ საქმეში მაშინდელი კულტურის მინისტრი მამია დუდუჩავაც კი ჩაერია. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან მოვიდა ორი ჩეკისტი (იმ პერიოდში ხშირი იყო დაჭერები) და მათ წამიყვანეს მოსკოვში. ჩემთან ერთად თამარ ციციშვილი და აქვსენტი მეგრელიძე მგზავრობდნენ. გზაში ჩეკისტებმა მთხოვეს, თუ ვიმღერებდი, სანაცვლოდ ერთ სურვილს შემისრულებდნენ. მე „პეჩენია“ ვისურვე. ამის გამო თამარა და ავქსენტი ხშირად ხუმრობდნენ ხოლმე.

მოსკოვში დიდი პატივით მიგვიღეს. „ლინკოლნის“ მანქანა მემსახურებოდა. კონცერტი დიდ თეატრში გაიმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთა, სადაც რჩეული საზოგადოება ესწრებოდა. ლოჟაში სტალინი, ბერია, მოლოტოვი ისხდნენ. დეკადის მონაწილეთა შორის ყველაზე პატარა ვიყავი. სიმღერის დროს იმდენად დავიძაბე, არ ვიყურებოდი ლოჟისკენ, რომ არ შემშლოდა. შაირობდნენ გიგუშა და დათაშკა კავსაძეები, სიმღერის შუაში მისამღერს მე ვმღეროდი, მერე გუნდი მყვებოდა. დარბაზიდან ისმოდა შეძახილები: „ქეთუნია მიქელაძე, შენ გენაცვალე". სტალინი ნახევრად ფეხზე ამდგარი მისმენდა და ბერიას ჰკითხა: „ვინ არის ეს გოგოო?"

კონცერტის შემდეგ დიდი ბანკეტი გაიმართა, რომელზეც დეკადის მონაწილე ხელოვნების მოღვაწეებიც მიგვიწვიეს: დავით გამრეკელი, პეტრე ამირანაშვილი, თამარ ციციშვილი, ჩუტა ერისთავი... ბანკეტზე რუს გენერლებს შორის ვიჯექი, გაუთავებლად მელაპარაკებოდნენ. მე კი მოკლედ ვპასუხობდი: „Да, нет". დავით გამრეკელი დამცინოდა: „ქეთუნიამ რუსული ისე კარგად არ იცის და რუს გენერლებს შორის როგორ მოხვდაო". ლამაზი ქალები რომ ცეკვავდნენ, სტალინი დაიჩოქებდა და



● მიხეილ კალინინი ორდენს გადასცემს ქეთევან მიქელაძეს

ტაშს მათ ფეხებთან უკრავდა. სტალინმა წამოიწყო სიმღერა, „ნეტავი, გოგო, მე და შენ", დათკამ მასთან მიმიყვანა. და მეც „ნეტავი, ბიჭო, მე და შენ"-მეთქი მივუმღერე. ყველას გაუკვირდა, სტალინს „ბიჭოს" თქმა როგორ გაუბედაო. ამ დროს ჩემთან მოვიდა ევგენი მიქელაძე და ყურში მითხრა: ხვალ ორი მიქელაძე ორდენს მიიღებთო". მართლაც მეორე დღეს კალინინმა ორდენი გადმოგვცა.

**— როგორ მოხვდით ჯაზ-ორკესტრში?**

— ისიდორე დოლიძემ და ოთარ ეგაძემ წამიყვანეს გუგული თორაძის ჯაზში. მას ძალიან მოსწონდა ჩემი ხმა – მეცო სოპრანო. ბერიას თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ოპერაში გაიმართა კონცერტი, რომელშიც მეც მივიღე მონაწილეობა და დიდი წარმატებაც მოვიპოვე. ჩემთვის წერდნენ სიმღერებს იონა ტუსკია, გრიგოლ კოკელაძე, რევაზ გაბიჩვაძე...

**— როგორ შეხვდა მოსკოვში სტალინი სანდრო კავსაძეს?**

— სტალინმა, ბერიას დაავალა სანდრო კავსაძესთან შეხვედრის ორგანიზება, რომელიც გორში სტალინს სიმღერას ასწავლიდა. მართლაც, მოსკოვში სტალინმა სანდრო კავსაძე გულთბილად მიიღო და ჰკითხა, ხომ არაფერი უჭირდა. სანდრომ მხოლოდ ჩიბუხი სთხოვა საჩუქრად.

**— საესტრადო მომღერლებიდან ვის გაიხსენებთ?**

— ქეთო ჯაფარიძეს და თამარ წერეთელს, რომელთაც ჩუტა ერისთავის ოჯახში შევხვდი. ქეთო ძალიან წარმოსადეგი ქალი იყო. კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული. თამარსაც კარგად ვიცნობდი, შესანიშნავი ხმა ჰქონდა. „შენ უნდა იმღერო, უნდა იმღერო" – ხშირად მეუბნებოდა. პატარაობისას სწორედ მას ვბაძავდი.

ქუთაისში იყო მსახიობი პეტრე ჭიჭინაძე. გასტროლებზე მე და ცაბუ მას დავყავდით. მე ბოშურ სიმღერებს ვასრულებდი, ცაბუ კი აკომპონიმენტს მიკეთებდა.

**— ვის გაიხსენებთ თქვენი ნაცნობებიდან?**

— ქუთაისიდან მახსოვს ჟორა შავგულიძე. მედიკო ჯაფარიძესთანაც ახლოს ვიყავი. დოდო ჭიჭინაძის ოჯახს კარგად ვიცნობდი.

ნატო ვაჩნაძე ძალიან თავმდაბალი, ტკბილი, საყვარელი ქალი იყო. ფილმის გადაღებების დროს უყვარდა სოფლის ქალებთან საუბარი, რითაც დიდ სიხარულს ანიჭებდა მათ.

ახლოს ვიცნობდი ვასო გოძიაშვილს. იგი ნიჭიერი და ტკბილი ადამიანი იყო. ხშირად ვმღეროდით ერთად. ყველანაირ სიმღერას გიმღერებდა.

ლადო გუდიაშვილს ჯაყელების ოჯახში შევხვდი. მისი „ბაღდადური" პირველად სწორედ ამ ოჯახში ვნახე. იგი ამავე დროს კარგად მღეროდა.

კომპოზიტორებიდან ახლოს ვიცნობდი სანდრო მირიანაშვილს. რეზო ლაღიძესაც ძალიან უყვარდა ჩემი სიმღერა.

ჩემი ნათესავები იყვნენ ვახტანგ ბერიძე და ირაკლი აბაშიძე. ორივე ძალიან მიყვარდა და ხშირად ვმღეროდი მათ ოჯახებში. ახლო ურთიერთობა მქონდა შალვა ნუცუბიძესთან, არაჩვეულებრივი, დიდი კულტურის კაცი იყო. გულითადი სალამი იცოდა.

ქართველი მწერლებიდან გოგლა ლეონიძესთან ვმეგობრობდი. ერთხელ მითხრა: „ქართულად იმღერე, რუსულად არ იმღეროო."

**— თქვენი ოჯახის შესახებაც გვიამბეთ...**

— ვაჟები – მიხეილი და მერაბი სრულიად ახალგაზრდები გარდაიცვალნენ. ქალიშვილი – ირინა გიგინეიშვილი დამსახურებული ექიმია.

მიშიკოს მეუღლე კოტე ჩაჩავას ქალიშვილია. ჰყავს ვაჟი მიშიკო. ისიც ექიმია. მერაბის ცოლ-შვილი გერმანიაში ცხოვრობს. ირინას გოგონაც ექიმია.

მყავს სამი შვილიშვილი და ერთი შვილთაშვილი. ცხოვრება მათ გამო მიხარია.

**— ქ-ნო ქეთო, რას ინატრებდით?**

— ბედნიერ საქართველოს, ისეთს, ყოველ ადამიანს რომ ემღერებოდეს და ეკონომიური მხარე კი არ იყოს მთავარი, არამედ სულიერი.

ესაუბრა **დავით სოლომნიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალათო

იალაღებიდან დანოში ჩასული და უმწარესი ამბავის შემსწრე თადო თილიძე, როგორც მთავარი „დამნაშავე" და ბრალეული ალათოს თვითმკვლელობაში, ჯოჭიანთ ბებოს სახლის ჭერხოში გამოუკეტიათ, გარეთ ყოფნის და ჭირისუფლებში გარევის ნება არ მიუციათ.

გარდაცვალების წინა ღამეს ჩვენთან საუბარში თადო გაიხსენებს: „ჭრელ ფარდაგზე ხყვანდ ალათო დასვენებული. ხეებზე იყვ საბლებ გაჭგამოჭიმული. დიდძალ ხალხ მოხდევდ. აქვითინებულ დანოელ ქალ'ზალ მაასვენებდ ცხედარს. ზედ ჩემ სარკმლის წინ დ'ასვენეს... ეჰეჰეი, მძიმე იყვ, მძიმე, ჩემდ..."

ჯოჭიანთ ბებოს სახლის წინ სამგლოვიარო პროცესიის შეჩერება და წუთიერი შეყოვნება თადოს თხოვნით მომხდარა: სოფლის ერთი ხნიერი მოსახლისთვის თადოს ეთქვა, როცა გამოატარებთ, დაბლა დასწიეთ, საბოლოოდ რომ ვნახოო.. ეს უსასოო სურვილი ალათოს მეზობელ-თანასოფლელებმა დიდსულოვნად შეუსრულეს ძველებური თუშური სახლის მეორე სართულზე გამოკეტილ თადო თილიძეს...

დანოელმა ქალ-ზალმა, მთელი თავისი ძოწ-შიბი, ქღარლი და საყურსამკაული აიხსნა, პირწმინდად აიწყვიტა და ზედ დააყარა ჭრელი ფარდაგისა და შავი მიწის სამუდამო ბინადარს.

ტირილით დაოსებულმა ქალებმა ალათოს ცხედარი მამაკაცებს არ დაანებეს და ციმციმ აწეული სამარის კარამდე თვითონ მიასვენეს.

საკუთარი სახლის ეზოში კვირტულა-ფლასებზე დასვენებულ ცხედარს ირგვლივ ცალ მუხლზე დაცუცქული მოტირლები ესხდნენ და გლოვისას მგოსნობდნენ... როცა მოთქმა-ვაებით გული იჯერეს და ძირს დაგებული საფენები აკრიფეს, მიწაზე ალათოს სხეულის მკაფიო ანაბეჭდი დარჩა... მომდევნო დღეებში იმ არემარეზე მავალ დანოელებს ალათოს ალე გაეჩვენებოდათ ხოლმე და მისტიური მოვლენის შეუცნობლობით, ცოტა არ იყოს, შემკრთალნი და დაელდებულნი, ნაბიჯს აუჩქარებდნენ...

მიწის სიმძიმისთვის იოლად ვერგასამეტებელი ალათოს ცხედარი, დედის მოთხოვნით, სამარის ერთ მხარეს თაროს ფორმაზე შეჭრილ მიწაში შეუწვენიათ... წლისთავზე, ისევ დედის გადაწყვეტილებით, ლეკებისთვის საფლავი გაუთხრევინებიათ და მიწის ოთხივე კედელი სიპი ქვებით აკლდამურად მოუპირკეთებიათ... ლეკებს დანოელებისთვის უთხოვიათ, თინა სამარესთან არ მოუშვათ, შვილის უსულო სხეული რომ ნახოს, შეიშლებაო... გადაუხდიათ ნაბად-ფარდაგი და გაკვირვებულან: ისევ ისეთი, ახალდაძინებულივით მშვიდი და ანგელოზივით ლამაზი ყოფილა ალათო... ასეთი რამე არც გვინახავს და არც გაგვიგიაო, – უთქვამთ ლეკებს...

მგლოვიარე დედას ბევრჯერ უფიქრია თავის მოკვლა, მაგრამ იმის შიშით, რომ თვითმკვლელს, როგორც უმძიმესი ცოდვის ჩამდენს, სულეთში შვილთან არავინ მიუშვებდა და სამუდამოდ ჩაეკეტებოდა მასთან მისასვლელი გზა, კვლავ სამზეოსკენ უქნია პირი.

ითმენდა, ძლებდა, გულს იმაგრებდა, იყვანდა თავს, მაგრამ ხანდახან დარდის ისეთი ჯანღი დააწვებოდა, შვილმკვდარ მოლაანთ დედასთან და თავის დიშვილთან ერთად ტყეში წავიდოდა, განმარტოვდებოდა, მთას თხემზე მოექცეოდა და ტირილით დაღლილი, ცრემლად დაღვრილი და გულნაკანები დაბრუნდებოდა დაბლა...

სულ ამას კვირვობდა: დარდმაც ვერ გამათავა, რამდენი შემძლებიაო!.. თანაც იტყოდა: მე რომ ალათო შემრჩენოდა, ბედნიერი ვიქნებოდი... ტვირთი რომ მოგვქონდა ხოლმე, მხრებზე ორ ჩემდენს აიკიდებდა, ისეთი ღონიერი იყოო... ერთხელ გვერდზე მეწვა, მხარზე ხელი მოვკიდე და შევაკანკალა. ვკითხე მიზეზი და არ გამიმხილა. მძინარს სანთლის შუქზე დავხედე და მხრის თავი შეშის კონისგან ჰქონდა გადაღლეპილი...

ალათოს დედას მთელ ერთ წელიწადს წყლისთვის პირი არ დაუკარებია. წყლის ნაცვლად სველს (შრატს) სვამდა. ამგვარად იყრიდა ჯავრს შვილის დამლეველზე (როგორ არ გავიხსენოთ ანალოგიური მაგალითი პოეტური ფოლკლორიდან, როცა შაოსანი ქალი თავისი პირმშოს მომნელებელ მდინარეს მიმართავს: „სხვას კი რას გამოგაჯავრებ, წყალო, არ შაგსომ, ტიალო!.." შურისძიების მართლაც უცნაური და უპრეცედენტო ფორმაა, ისეთი, როგორსაც, ალბათ, საქართველოს გარდა ვერსად შეხვდებით...)

თინა, მის მცნობთა სიტყვით, თავადაც თვალადი ქალი ყოფილა: „ესკალაის ყვავილივით" თეთრი კანისა და სწორზე სწორი ნაკვთების მქონე...

მესულთანე ანუ მიცვალებულის ენით მოლაპარაკე ერთ დანოელ დიაცს, თავყურდახურულს და პირუკუღმა მწოლიარეს თავის უჩინ-უკუნ ოთახში, ალათოს ხმით დაუწყია: – დედო, დედო, რა მოგდის, რაღას სტირი, მთელი სამოსი სველი მაქვს, ველარ ვიშრობ, შვიდი ცხენი, მხოლოდ შვიდი ცხენი, მეტს არას ვითხოვო...

წლისთავზე ალათოს სულის საოხად და საიაღოდ დედას დოლი გაუკეთებია და ოცდახუთი ცხენი ურბენინებია... მხედრებისთვის მთაში მანამდე არსმენილი საჩუქრები დაურიგებია... ერთ დოღში მონაწილე არც ამდენი ცხენი ხსომებია იმ დღემდე თუშეთს...

დღე-ღამეთა ცვლამ და დროის დენებამ ბევრი ვერაფერი არგო და უწამლა დედის გულს; ვერც თილიძეების მიმართ გაჩენილი წყენა დაივიწყა... და ერთხელაც, მეზობელთან შესულს, თადო დაუხვდა. თვალები „დააყარა" და უთხრა: – ვუშ, მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა









ჰლიმც წაგექცევ!.. ადგა თადო და მიუგო: – რაღას ვუშველით, აღათოს დეი, მეტაღ ნუღარ სტირი... – როგორც მე ჩავხედავ ალაზანს, ისემც შენ ჩახედავო, – თინამ და გამობრუნდა... და მართლაც, ყიზლარიდან შინისკენ გამგზავრებული თადოს ცხრამეტი წლის დასაქორწინებელი ბიჭი მდინარეში ჩავარდა და დაიხრჩო... ამის მერე ებარა თადოს თინასთან: – ძნელ ყოფილავ, აღათოს დე, ძნელივ, წყლისად ჩახედვაივ...

პართო თილიძის მომავალი ბედისა თუ უბედობის მოტირლისეული განსაზღვრება და წინასწარხედვაც დაუჯერებელი სიზუსტით ახდა და აცხადდა: სამამულო ომიდან შინ დაბრუნებული თუშები ჰყვებოდნენ, როგორ ბრუნავდა საკუთარი სისხლის მორევში სასიკვდილოდ დაჭრილი, „ურჩო“ ნატყვიარებით უმოწყალოდ დაცხრილული, ღვიძლი ძმის მოღალატე პართო...

* * *

გასული საუკუნის 20-იანი წლების საქართველოში „მესურათე“ ანუ ფოტოგრაფი ისეთივე იშვიათობა იყო, როგორც დღეს – სადა სიძველის განუმეორებელი სურნელით „დაავადებულ“ ადამიანთა რიცხვი...

კახეთის სოფლებიდან სურათის გადასაღებად თელავში მიდიოდნენ და მერე, დიდობასა და სიბერეში, საგულდაგულოდ ინახავდნენ ხოლმე თავიანთი სიჭაბუკისა თუ ყმაწვილქალობის კადრში გამომწყვდეულ წამიერ განწყობილებას, ხასიათს, დგომის მანერას, გამომეტყველებას...

„იმაშ გადაღებულ სურათ მეაც მაქვ“, – გვეტყვის მატრო იდოიძე და, რახან მასთან ჩვენი მისვლის მიზეზი სრულიად კონკრეტულია, იქვე დაამატებს: „აღათოს სურათიმ სუც იქნება, მე რავ...“

ვიკითხეთ, ვეძებეთ, მაგრამ აღათოს სურათს ვერსად მივაგენით. შეიძლება ისეც წავიდა ამ ქვეყნიდან, ფოტოგრაფთან არც კი ყოფილა. ხალხურ სიტყვაში წარმოჩენილ დაუვიწყარ სახეს, ასე გვგონია, კიდევ უფრო მეტი რომანტიკულობისა და მიუწვდომლობის ბურუსში ხვევს მისი ფოტოსურათის არარსებობა...

ამ ორი ათეული წლის წინ, მშვიდი შემოდგომის ერთ ჩვეულებრივ საღამოს, ზემო ალვანში მცხოვრები ღრმა სიბერის სევდიანი სამყაროს უსალბუნო სანახებში გადაბარგებული თადო თილიძე ვინახულეთ... საუბარს შევყევით, წარმოსახვაში თუშეთის წარსულის ვიწრო ბილიკებით ვიმოგზაურეთ და ბუნებრივად მივადექით თემას, რომელიც მისთვის, ცხადია, ძალზე მტკივნეული უნდა ყოფილიყო... „ბევრ წყალმ ჩი’არ ჲამ ამბების მემრ, – გვითხრა თადო პაპამ. – ბევრ დარ-ავდარმ გადამიარ თავზე. ჲახლ ლოგინში ჩავარდნილ სიკვდილს ველოდებ დღე-დღეზე... აღათოს სულმ ჩემთან მოგიყვანათ ჩემი-დ ი’მის ამბების კითხვად. დღეს დავიწყებ ჲამაზე ფიქრს, ხვალ მოხვიდნიითა-დ სუ წვრილად გიამბობთ ჩვენ ნანდობობისას... არავისგან ველოდ ჲამ ამბავზე სიტყვის ჩამოგდებასა-დ მეტა მადლობელ ვარ...“

* * *

სამწუხაროდ, იმ ღამესღა იცოცხლა თადომ და, შეგვიძლია ვთქვათ, ტკბილ-მწარე ახალგაზრდობის წლებზე ფიქრით ძილგატეხილმა გამთენიისას დალია სული... სასაუბროდ დაგვიბარა, თავისი ჩაფერფლილი სიყვარულის იქამდე გაუმხელელი ამბების მოყოლას დაგვპირდა და მეორე დღეს მის ოჯახში სამძიმრის სათქმელად მოგვიხდა მისვლა...

ცა-ქვეყნის გამრიგემ და დამწერდამბადებელმა ასე ინება: ედელვაისივით სუფთა, შორი და ხელუხლებელი სიყვარულის საოცნებო სიღრმეები და ნატიფი ნიუანსები საუკუნოდ დაფარული უნდა დარჩენილიყო გარეშეთა თვალისთვის... სალამურის კვნესასა და ცელის წკრიალში გამხელილ სწორფერთა მდუღარე სულისთქმას უტყვ, უენო მოწმეებად მარტო ღელის ნაკადული, საგრილა და სათიბის ფერადი ყვავილები უნდა ჰყოლოდა; ქალსაც და ვაჟსაც ცივ სამარეში უნდა წაეღოთ ადამიანთა დაუნდობლობით დასერილი გულების მწველი წყლულები; რაღაცით არამიწიერ, საარაკო სიყვარულს ბოლომდე უნდა შერჩენოდა აუხსნელი იდუმალების სალუქი საბურველი.

და ასეც მოხდა...

**ეთერ თათარაიძე**
**ამირან არაბული**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვახუშტი აუცილებლად შეგიყვარდებათ...



**საზოგადოების გარკვეული ნაწილისათვის ვახუშტი კოტეტიშვილის მშვენიერი მეუღლის მზექალა გოგოჭურის სახელი მეტ-ნაკლებადაა ცნობილი, თუმცა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ მას ხატვის გასაოცარი ნიჭი აქვს. შეუძლებელია გულწრფელად არ აღგაფრთოვანოთ მის მიერ თევზის ფხებისგან, ფარფლებისგან, ძვლებისა და კანისგან საოცარი სიფაქიზით შექმნილმა ულამაზესმა ნამუშევრებმა. თავადაც საოცრად ფაქიზი სულის ადამიანია, ძალიან თბილი და მოსიყვარულე, მის საზოგადოებაში არასოდეს მოიწყენთ...**

**მეუღლის ნამუშევრები ბატონ ვახუშტის ძალიან მოსწონს და ამით ამაყობს კიდეც – ჩემი მეუღლე თევზისგან ნახატებს აკეთებსო...**

**სანამ ქალბატონი მზეოს ნამუშევრებს ფართო საზოგადოება ნახავს, „საქართველოს ქალი“ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ. საუბარს კი სწორედ მისი ბოლოდროინდელი გატაცებით – ხატვით დავიწყებთ. ვნახოთ, როდის და რატომ გადაწყვიტა, თევზის ძვლებისგან ნახატები შეექმნა, რამ მისცა ამის სტიმული?**

– ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ნაცნობ გოგონასთან მივედი სტუმრად და მასთან მაგიდაზე ვნახე სიმეტრიულად დაწყობილი თევზის ძვლები, რომლებსაც პეპელას ფორმა ჰქონდა. „უი, რა საინტერესოა-მეთქი“ – მაშინვე ვუთხარი. მერე, როცა უფრო უკეთ გავიაზრე, რამდენი რამ შეიძლება გაკეთებულიყო ამ ნატეხებისგან, გადავწყვიტე, თვითონვე შემექმნა რაიმე კომპოზიცია. თავდაპირველად არგონავტების ხომალდი გავაკეთე და „არგო“ დავარქვი, შემდეგ, ბალერინა... მერე თანდათან ფრთები შეისხა ჩემმა ფანტაზიამ და უფრო რთული ნამუშევრების კეთება დავიწყე. ახლა უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ ამ მასალისგან აბსოლუტურად ყველაფერი შეიძლება გააკეთო. საინტერესო, იცით, რა არის? მასალა თვითონ მიგანიშნებს თემაზე. ამაშია მთელი უცნაურობა.

**– ანუ, მუშაობის დაწყებისას წინასწარ არ იცით რას აკეთებთ?**

– არა, აბსოლუტურად ბრმად მივყვები ინტუიციას, ვიღებ ხელში თევზის ძვალი იქნება ეს თუ ფხა, ვატრიალებ, ვატრიალებ და უცებ რაღაცას ვამსგავსებ. შეიძლება ეს იყოს ადამიანის მხარი მოძრაობაში ან ზურგი, ანდაც ადამიანის პროფილი, რომელსაც სჭირდება ქუდი და რომელიღაც საუკუნის რაინდი გამოვა... საერთოდ, ამ მასალით ყველაზე უკეთ მეცხრამეტე საუკუნის ევროპული ტიპის ქალბატონები გამოდის – შლიაპებით, შლეიფიანი კაბებით, ლამაზად რომ დასეირნობენ ქუჩაში...

**– მასალას, ალბათ, თავისებური დამუშავება სჭირდება...**

– რა თქმა უნდა, – ამისთვის მე ჩემეული მეთოდი მაქვს: ვრეცხავ, ვწმენდ, ვაშრობ, ვლაქავ ... უამრავი პროცედურის ჩატარება მიხდება... თავიდან ისეთი ალტაცებული ვიყავი ამ აღმოჩენით, რომ ინტენსიურად დავიწყე კომპოზიციების კეთება და მასალაც ბევრი დამიგროვდა. ამ მასალით შეიძლება ორასი ნამუშევარი მაინც გამოვიდეს, ამიტომ სანამ ამას არ გამოვიყენებ, ახალს აღარაფერს ვამატებ. საერთოდ, თევზის ყველა დეტალი მაინც ერთნაირია, უბრალოდ, ზომებია განსხვავებული.

**– ამ ყველაფრის გაკეთებას აუცილებლად სჭირდება ხატვის ნიჭი... ბავშვობიდან ხატავთ?**

– მქონდა ხატვის რაღაც ნიჭი – მეგობრებისა და ახლობლების პორტრეტებს ვხატავდი ხოლმე, მაგრამ რატომღაც დიდი ყურადღება არ დავუთმე ამ საქმეს, რასაც ახლა ძალიან ვნანობ...

**– მზეო, გარდა იმისა, რომ თქვენს ნახატებში მთელი ისტორიაა გადმოცემული – ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ, თითოეული ნამუშევარი მოძრაობაში გაქვთ დახატული, რაც კიდევ უფრო საინტერესოს ხდის მათ...**

– სრული სიმართლეა, თითოეულ ნახატში მართლაც მთელი ისტორია დევს. აი, მაგალითად, ძველი ქართველების სადღესასწაულო მსვლელობა. ისინი ქორწილში ან რომელიღაც რელიგიურ დღეობაზე მიდიან: ალბათ, უფრო ქორწილში, ყველა მათგანი ვიცი, ვინ ვინ არის. ამ ნამუშევარზე თითქმის მთელი თვის განმავლობაში ვმუშაობდი. რაღაც ახალ დეტალს რომ აღმოვაჩენდი და ჩავსვამდი, ერთი სული მქონდა ვინმესთვის მეჩვენებინა. ხშირად ვახუშტისთვის დამირეკავს და მითქვამს, ჩქარა მოდი, რაღაც ახალი გავაკეთე-მეთქი. ერთხელ დავურეკე, აქლემების ქარავანი უნდა განახო და მალე მოდი-მეთქი – ვერაფრით წარმოიდგინა, რა ქარავანზე ვეუბნებოდი... რაც შეეხება ამ ნახატების მოძრაობაში გადმოცემას, მართალი გითხრათ, თავადაც ძალიან მომწონს და მახარებს.

**– სულ რამდენი ნამუშევარი გაქვთ?**

– ორმოცდაათზე მეტი, თუმცა ზოგიერთი, რომლებიც მოძრაობაში არა მაქვს გაკეთებული, აღარ მომწონს, რადგან ძალიან მარტივად და ნაკლებად შემოქმედებითად მეჩვენება... სხვათა შორის, ქსოვილებისგანაც ვაკეთებ აპლი-

კაციებს (ძალიან საინტერესო ნამუშევრებია – თ.ო.), თუმცა აპლიკაციასაც ვერ დავარქმევ, უფრო ფერწერა გამომივიდა.

**– გამოფენის მოწყობას არ აპირებთ?**

– მინდა რომ მოვაწყო. შვიდი წელია მხოლოდ შინაურებმა და ახლობლებმა იციან ჩემი გატაცების შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოებამაც შეიტყო და დაინტერესდა, მომინდა, უფრო მეტმა ხალხმა ნახოს ისინი. თუმცა, ვერ მოვიცალე, რომ ნამუშევრები ჩარჩოში ჩავსვა – ოჯახზე ზრუნვას დიდი დრო მიაქვს...

**– რადგან ოჯახი ვახსენეთ, მოდით, ჩვენი საუბარი ამ კუთხით გავაგრძელოთ... ალბათ, დამეთანხმებით, რომ ადამიანები შემთხვევით არ ხვდებიან ერთმანეთს, მით უმეტეს, ქალი და მამაკაცი... თქვენ და ბატონმა ვახუშტიმ როგორ იპოვნეთ ერთმანეთი, ვისი ან რისი დამსახურებაა თქვენი ურთიერთობა?**

– ძალიან დიდი სულიერი კავშირის და ამას ვახუშტიც ხშირად აღნიშნავს. ჩვენი აზრი, შეხედულებები, გემოვნება აბსოლუტურად ყველაფერში ემთხვევა ერთმანეთს – ბევრი საერთო ინტერესი აღმოგვაჩნდა. თავიდან კი მაინც პოეზიამ განსაზღვრა ჩვენი ურთიერთობა, შემდგომში კი დიდი სიახლოვე. თანაც ვახუშტი ყოველგვარი ჩარჩოებისგან თავისუფალი ადამიანია, მეც ასეთი ვარ. ბავშვობიდან დიდი შინაგანი პროტესტის გრძნობა მაქვს საზოგადოებრივი ჩარჩოების მიმართ. იცით, ადამიანებს ხშირად სურთ, ეს ჩარჩოები გადალახონ, მაგრამ საზოგადოების ეშინიათ და სამწუხაროდ, ერთადერთ ჯილდოს – სიცოცხლეს, სხვების ანგარიშგაწევის გამო, ძალიან მძიმედ, ტანჯვაში ატარებენ. მეცოდებიან ასეთი ადამიანები...





**– შესაძლოა, ეს მომენტი ბატონ ვახუშტისაც ჰქონდა, რადგან უფროსი ასაკის პიროვნებაა – როდის გაგიმჟღავნათ რომ უყვარხართ, ან თქვენში როდის გაჩნდა ეს გრძნობა?**

– სიმპათიით მაშინვე განეწყო, როდესაც პირველად მის ლექციაზე შევედი – ყურადღება თავიდანვე გამოიჩინა. მერე აღმოჩნდა, რომ საერთო მეგობრები გვყავს და ამან კიდევ უფრო დაგვაახლოვა. მეგობრებთან ერთად ხშირად ვიკრიბებოდით და ძალიან ლამაზ საღამოებს ვაწყობდით – ვახუშტის რა გამოულევდა სასაუბროს? ერთ საღამოს კი გამომიტყდა, რომ უჩემოდ ძალიან უჭირს...



**– თქვენი სიმპათია და სიყვარულიც ამის შემდეგ დაიმსახურა?**

– სიმპათიით მანამდეც ვიყავი განწყობილი და არა მარტო მე, მთელი ჩემი ოჯახი, მეგობრები, ჯგუფელები. ვახუშტი ბრწყინავდა, განსაკუთრებით, როცა პოეზიაზე ჩამოვარდებოდა საუბარი და ეს დამოკიდებულება ისე თავისთავად გადაიზარდა სიყვარულში, რომ არ დამჭირვებია იმაზე ფიქრი, მიყვარს თუ არა. ვახუშტი რომც არ გყვარებოდა, მაინც შეგიყვარდებოდა, ისეთი სხვანაირი იყო და არის – მეტისმეტად დაუცველი და სუფთა ადამიანია, ცარიელი სული და გული, ემოცია და სიყვარული... ვერავის შეადარებ... მოგეხსენებათ, ზოგადად ქალის თვისებაა, როცა გინდა ვიღაცის ყურადღება მიიპყრო, ამისთვის ისეთ რაღაცეებს აკეთებ, რომ მამაკაცი გააღიზიანო, გამოიწვიო... იმის სურვილიც კი არ გაგიჩნდებოდა, რომ ვახუშტი გეწვალებინა...

**– ანუ დიდხანს არ „გიწვალებიათ“?**

– არა. იმდენად გახსნილი იყო ჩვენი სიმპათია და ურთიერთდამოკიდებულება, მსგავსი რამ აზრადაც არ მომსვლია...

**– რამდენ ხანში დაქორწინდით?**

– ოთხ თვეში...

**– ოჯახიდან პრობლემები არ შეგექმნათ?**

ეროვნული ბიბლიოთეკა



– ძალიან სუსტი... ისეთი არა, მე რომ მომრეოდნენ...

**– ფაქტია, ვერ მოგერიენ.**

– (იცინის) ... ძალიან დამოუკიდებელი პიროვნება ვარ, ბრძანებით ვერაფერს გამაკეთებინებ... ჩამოყალიბებული მშვილდოსანი ვარ...

**– საით ისვრით ისრებს?**

– იდუმალებისკენ (იცინის) და არ ვიცი, რას მოვახვედრებ. ჯერჯერობით ერთი ყველაზე ლამაზი და ძვირფასი ისარი უკვე გასროლილია (სიცილი ძალიან უხდება)...

**– და „სამუდამოდ დაჭრილიც“ სახეზეა...**

– მაგაზე ვახუშტის ლექსიც აქვს დაწერილი... ზეპირად აღარ მახსოვს...

**– მაგრამ, ალბათ, გახსოვთ, რაზე ოცნებობდით ქორწინებამდე და ოცნება თუ აგიხდათ?**

– რაღაცის ილუზიებით არ გავთხოვილვარ. ვახუშტის მაშინ სახლიც არ ჰქონდა და მეგობრის ბინაში ვცხოვრობდით რამდენიმე წელი. კი ვწუხდებოდით და დისკომფორტიც გვქონდა, მაგრამ, ეს არ იყო ტრაგედია, ვაიმე, ეს რა ჩავიდინე, რა საშინელ დღეში ჩავვარდი-მეთქი, აზრადაც არასოდეს მომსვლია. ჩვენ ერთმანეთის სიყვარული და პოეზია გვასულდგმულებდა...

**– ჯვარი თუ გაქვთ დაწერილი?**

– კი, ჯვარი მოწამეთაში დავიწერეთ – გაგი ბერმა დაგვწერა. ყველაფერი ძალიან მოულოდნელად მოხდა, რადგან მოწამეთაში უბრალოდ დასათვალიერებლად ვიყავით ასული. გაგიმ ვახუშტი რომ დაინახა, მოიკითხა. ვახუშტიმ უთხრა, ცოლი შევირთე, ახალგაზრდა ქალი და სანახავად მოვიყვანეო. „ჯვარი თუ გაქვთ დაწერილიო“? „არაო“ – ვახუშტიმ უპასუხა. „არ გინდათ დაიწეროთო?“ ვახუშტის დადებითი პასუხი რომ მოისმინა, უცებ მოამზადეს ყველაფერი, მეჯვარეებად ვინც თან გვახლდნენ, ისინი დაგვიდგნენ, მათ შორის ერთი ახლადგაცნობილი ქუთაისელი ბიჭი. მახსოვს შავი შარვალი და ზოლიანი ჯემპრი მეცვა (იცინის)... არაჩვეულებრივი რიტუალი ჩაატარა გაგი ბერმა, მერე თვითონვე გაგვიშალა სახელდახელო სუფრა და დაგვლოცა. ძალიან ლამაზი ჯვრისწერა გვქონდა...

**– მზეო, როგორც ვიცი, პაროდიების გაკეთებაც შეგიძლიათ...**

– საიდან იცით? (სერიოზულად უკვირს)... კი, შემიძლია მოვყვე ყველაფერი ისე, როგორც ვნახე და გავიგე. ბავშვობიდან მომყვება ეს თვისება – ხუთი წლის ასაკიდან. სტუმრების მოსვლა მიხაროდა ხოლმე, იმიტომ, რომ რომელიმე მომღერალი ან მსახიობი მინდოდა განმესახიერებინა და მათ ვაიძულებდი ეყურებინათ ჩემთვის. – აუდიტორია მჭირდებოდა. მახსოვს, ცაგურიასთვის მინდოდა მიმებაძა და ლოყებში ქაღალდებს ვიდებდი, პუტკუნა რომ გამოჩენილიყავი (იცინის)...

**– მიკვირს, პროფესიად მსახიობობა რომ არ აირჩიეთ...**

– ჩავაბარე სამსახიობო ფაკულტეტზე, მაგრამ მერე სარეჟისოროზე გადავიტანე საბუთები და ბოლოს კინოსარეჟისორო ფაკულტეტი დავამთავრე, ბატონ თენგიზ მირზაშვილზე ორმოცწუთიანი ფილმიც გადავიღე, რომელზედაც უკვე სამი წელია ვმუშაობ და რომლის ჩვენებასაც, ალბათ, შემოდგომაზე მოვაწყობ...

**– ინტერესით დაველოდებით, მანამდე კი, საინტერესოა, კიდევ რაიმე სიახლეს ხომ არ უნდა ველოდოთ თქვენგან, მაინც სად გადის თქვენი შესაძლებლობების ზღვარი?**

– სიახლე ის არის, რომ კონსერვატორიაში დავდივარ ვოკალზე, მინდა საოპერო ხმა დავიყენო (იცინის).

**– ანუ შეიძლება საზოგადოებას მოევლინოთ როგორც ოპერის მომღერალი?**

– არა, სცენისთვის – არა, უბრალოდ სიმღერა ძალიან მიყვარს – ჩემი ბუნებრივი მდგომარეობაა, ფაქტობრივად, სულ ვღიღინებ. ერთხელ რაღაც ცუდი შემემთხვა და მეგობრებს მოვუყევი. ძალიან შეწუხდნენ, მე კი მეორე წუთში იქვე წყალი მოვუშვი და ღიღინი დავიწყე. გაგიჟდნენ, ჩვენ დაგვამწუხრე და შენ მღერიო (იცინის)... საერთოდ, ძალიან მიყვარს საოპერო ხელოვნება. კლასიკური ნაწარმოებებისა და ოპერების მეტს არც არაფერს ვუსმენ და ახლა უცებ მომინდა, მეც ვიმღერო, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

**– ასე რიგად დატვირთული საკუთარ თავს რა ყურადღებას აქცევთ?**

– ვცდილობ, დიეტა დავიცვა, არ ვიტვირთავ თავს სიგარეტით, არ ვსვამ ყავას და მაქსიმალურად ვცდილობ ჯანმრთელობა შევინარჩუნო, რათა მის გამო ცხოვრებაში ხელი არაფერზე შემეშალოს.

**– ჩაცმის სტილი როგორი გაქვთ?**

– დღისით – სპორტული, საღამოს – ღრმად ქალური. ეს კონტრასტი ნამდვილად მახასიათებს. რამდენადაც ექსტრავაგანტულად ჩაცმული ვარ საღამოობით, დღისით – პირიქით, მაცვია ჯინსები, დავდივარ მანქანით და არანაირ მაკიაჟს არ ვხმარობ...

**– როგორ ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს ქალი, რომ მამაკაცმა არასოდეს მიატოვოს?**

– პირველ რიგში, ქალური და აუცილებლად ჰქონდეს ინტერესების რაღაც ისეთი სფერო, რაც სხვებისგან განასხვავებს. უნდა იცოდეს თავისი რჩეულის ყველაზე საინტერესო და სუსტი წერტილები, მის საიდუმლო გასაღებს ფლობდეს. როგორც შეატყობ, რომ შენი თავი ამოწურა, სხვა ჭიშკარი უნდა გაუღო.

**– თქვენი რჩეულის სუსტი წერტილი რომელია?**

– მისი სუსტი წერტილი პოეზიაა – „ანიც“ და „პოეც“...

**– დაბოლოს, თქვენი, როგორც ქალის, ყველაზე დიდი ოცნება?**

– რთული შეკითხვაა (იცინის)... არ მინდა ჩემი შინაგანი იდუმალი მხარეები გამოვამზეურო, ამიტომ, მოდი, ოცნება ოცნებად დავტოვოთ...

**– თქვენი ნებაა... წარმატებებს გისურვებთ!**

**თამარ ოთიაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიორგ ვიკი დაიბადა ოსლოში 1935 წელს. ოცდარვა წლისამ გამოსცა სადებიუტო მოთხრობათა კრებული, „კვირას, ნაშუადღევს". მისი შემოქმედება მრავალ ჟანრს მოიცავს. თუმცაღა, გამორჩეულად, ნოველა უყვარს. ბიორგ ვიკის ინტერესის საგანი ქალი და მისი ბედია. როგორც ამბობს, მისი თაობის ქალებს იმდენად ჰქონდათ საკუთარი სხეულისა და ბუნებრივი მოთხოვნილებების გამო სირცხვილის გრძნობა გამჯდარი, რომ აუცილებლად მიიჩნია, მოთხრობებში შეხებოდა ამ თემას.

## ბიორგ ვიკი

# კვირას, ნაშუადღევს

ზაფხულის დღე ციმციმებს, თბილი და წყნარი. ვერანდის კარი ღიაა, ფარდაც არ ირხევა. შიგადაშიგ ჩიტის ხმა თუ ისმის, თითქოს იმისთვის, რომ სუსტი ხმით დაარღვიოს სიჩუმე. მთავარი გზიდან შორეული გუგუნი ისმის, რომელიც ხან მატულობს და ხანაც კლებულობს, მაგრამ არასოდეს ჩერდება.

საფერფლე სავსეა: ასანთის ღერები, ფერფლი და სიგარეტის ნამწვები, უმეტესობა, ტუჩის წითელი ნაკვალევით.

– ყავას დაიმატებ?

კაცი გაზეთს დაბლა სწევს.

– რამე თქვი?

– ყავას ხომ არ დაიმატებდი-მეთქი.

– არა, გმადლობთ.

ქალი ყავადანს ხელისკვრით გვერდზე სწევს, მის საქციელს ხელის კვრის გარდა ვერაფერს დაარქმევ. შემდეგ, კიდევ სიგარეტს უკიდებს, მაგრამ მალევე სრესს საფერფლეში.

– დღეს ძალიან ბევრი მოვწიე.

გაზეთის შრიალი.

– მართლაც, ბევრს ეწევი.

ქალი ფანჯრიდან იყურება და ამბობს:

– იქნებ რამე მოვიფიქროთ?

– რა, მაინც?

– კვირაა, შესანიშნავი ამინდი და, საერთოდ... მოიფიქრე რამე.

– მაინც, რა?

– მაინც რა, მაინც რა! რა მაგარი ფანტაზია გაქვს.

მოკლე პაუზა, და უცებ მსუბუქად, სხვათა შორის ამბობს:

– შეგვეძლო, მანქანით გაგვესეირნა.

კაცი ოხრავს.

– შემიბრალე, თუ ღმერთი გწამს. სხვა რამე მოიფიქრე.

– სხვა არაფრის მოფიქრება არ შემიძლია. კინოში წასვლა ძალიან ადრეა და თანაც, ძალიან ცხელა. ვერც ვერავის მოვიწვევთ, იმიტომ, რომ არაფერი მაქვს, რომ გავუმასპინძლდე. ვერც ვერავისთან წავალთ, ყველასთან ცოტა ხნის წინ ვიყავით.

– კარგად იცი, მთელი კვირა მანქანით დავდივარ, ასობით მილს გავდივარ ამ წყეულ ასფალტზე. მარტო წადი...

– მარტო!

დაუდევრად ამბობს ქალი.

კაცი კვლავ გაზეთს იღებს, მაგრამ ამჯერად, მხოლოდ ფურცლავს.

– ახალი ფეხსაცმლის ჩაცმა მინდოდა, კარგად გამოწყობა და შენთან ერთად ყოფნა. ყავაც შეიძლებოდა, დაგველია სადმე. – ქალი ოდნავ გაბუტული ტონით ლაპარაკობს. საყვარლად და გაუბედავად.

– ყავა ახლახანს არ დავლიეთ?

– მხოლოდ შაბათ-კვირას ვართ ერთად, ნუთუ არ შეიძლება, ცოტა სასიამოვნოდ გავატაროთ დრო?

კაცი კვლავ იზმორება.

– კარგი, – ამბობს შემდეგ, – მაშინ, გავისეირნოთ.

ძრავას რთავს, მანქანაში ზის და ელოდება ქალს, რომელიც კუსკუსით მოდის ხრეშზე. ახალი ტანსაცმელი და ახალი ფეხსაცმელი, ახალი მაკიაჟი სახეზე; ჩაჯდომისთანავე სუნამოს მძიმე სურნელით ივსება მანქანა.

– დიდი დრო დაგჭირდა, – ეუბნება.

– არ გავლამაზდი?

კაცი მისი მხრების მიღმა იყურება და მანქანას უკან ხევს.

– კი, როგორ არა, – ამბობს გულგრილად.

მთავარ გზაზე მანქანები გუგუნით მოძრაობენ ორსავე მიმართულებით.

ქალი საკუთარი სახის გაელვებას იჭერს წინა სარკეში, ზედმეტად გაპუდრულს, წამწამებიც ძალიან ჩაშავებია. თუმცა, ჯერ კიდევ ახალგაზრდაა. საკმაოდ ახალგაზრდა. სწორი, პატარა ნაკვთები, სახე, რომელსაც ცხოვრება ვერაფერს აკლებს. სულაც არ არის საჭირო ამ სახის ასე შეპუდვრა. კაცი საჭეს უზის მშვიდად, წინ, გზისკენ აქვს მიპყრობილი თვალები. ასფალტი, რომელიც უკვე ყელში აქვს ამოსული. დაუსრულებელი, უსასრულო ნაოჭებიანი სპილოს კანი, რომელიც სამყაროს შუა მიიკლაკნება. მისთვის კი მხოლოდ ასფალტია, ფართო სივრცე, ორმოებით, მანქანებით.

მათ ირგვლივ ზაფხულია. ქალი ხედავს, ბაღებში ყვავილები იშლება, ხედავს ხილის ხეებს, ნათელი ყვავილების გუნდებით დამძიმებულებს.

– რა მშვენიერია, – ამბობს ქალი.

– კი.

– რა კარგია, რომ ზაფხულია, – მალე შვებულებაც გვექნება.

არა, შვებულება წესიერად ვერ გაატარეს. წელს ამის საშუალება არ ჰქონდათ. სამაგიეროდ, მანქანა ჰყავდათ, შეეძლოთ, ერთად ესეირნათ ყოველდღე.

კარგი იყო ამაზე ფიქრი. ქალი ხომ მარტოა მთელი კვირის განმავლობაში. სწრაფი საუზმე მარტო, ავტობუსი, ოფისი. შემდეგ, წვრილმანი საყიდლები და სადილი მარტო. ერბოკვერცხი, კონსერვები, ან კაფეტერიები. ფუსფუსი ბინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, რომელსაც არავინ ურევდა. რადიო, რომელიც ზუზუნით ლაპარაკობდა, და რომელსაც არასოდეს უსმენდა. კვირის გაზეთები, სიგარეტი და ტელეფონი. დობილები. ჭიქა ჩაი და ცოტა ჭორები. შემდეგ, მარტოსული ვიზიტები კინოში, ყველაზე საშინელება კი ამ ცარიელ ბინაში დაბრუნება იყო. სახლში შესვლისთანავე ყველა ნათურას ანთებდა და რადიოს რთავდა.

რა კარგი იქნებოდა, კაცს ამდენი არ ემოგზაურა...

– საით წავიდეთ?

– სულ ერთია, სადმე, ისეთ ადგილას, სადაც შევჭამთ. აქ სადმე სასტუმრო არ არის?

– ოღონდ სასტუმროში არა.

ქალი იბუტება, ახალ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე ფიქრობს, რაც სოფლის კაფესთვის ძალიან შეუფერებელია.

– ახალი კაფეტერიაა აქვე ახლოს, – ამბობს კაცი.

– ოღონდ კაფეტერია არა, – იმეორებს ქალი იმავე ინტონაციით.

ისღა დარჩენიათ, მსუბუქად გაიცინონ!

უცებ, ქალს სითბო ეღვრება ამის გამო, უხარია. დიდი ხანია, აღარაფერზე გაუცინიათ.

– რაც არის, არის, კაფეტერია იყოს, – იღიმება და სწრაფად ეხვევა მკლავზე.

პატარა, დაბალი მანქანა კაფეტერიამდე მადიანად ჭამს გზას და წინ მიიწევს მონოტონური გუგუნით. ცხელა, კაცს ფანჯრის მინა აქვს ჩაწეული ცალ მხარეს, მაგრამ, ჰაერი მაინც არ იძვრის მანქანაში. ქალი მინას სწევს თავის მხარესაც. ჰაერის ნაკადი ვარცხნილობას უწეწავს, მაგრამ, არაფრად აგდებს.

– აი, ისიც.

კაფეტერიის ორივე სართულზე ყავას და ნამცხვრებს შეექცევიან. ფოლადის მილი და პლასტმასები, მაგიდის პრიალა ჭრელი ზედაპირი, სუფრის გარეშე, დახლი თვითმომსახურებისთვის, მუსიკალური ავტომატი, ერთმანეთში გარდამავალი ფერები.

ქალი თავისუფალ მაგიდას პოულობს ფანჯარასთან, კაცი დახლთან დგას. მანქანების სადგომს გადაჰყურებენ და გზას, რომელზედაც მოძრაობა გრძელდება. მეზობელ მაგიდასთან წყვილი ზის, პატარა ბიჭით. ბიჭის ხმა ესმის:

– გარეთ დავსხდეთ?!

– სიგრილე იქნება, – ამბობს დედა.

– ისე, ძალიან ცხელა, – ამბობს ბიჭი, – გარეთ დავსხდეთ.

კაცი ყავითა და ბუტერბროდით ბრუნდება, გამომშრალი სოსისები საცოდავად გამოიყურება დახლზე გატარებული გრძელი კვირადღის შემდეგ.

– კარგი ადგილია, – ამბობს კაცი და ოთახს ათვალიერებს.

ქალი ყავის ფინჯნებსა და დესერტის თეფშებს ალაგებს, ცდილობს, პრიალა მაგიდის ზედაპირი ცოტა სასიამოვნო სანახავი გახადოს.

– როგორც ჩანს, კარგად მუშაობენ, ბევრი ხალხია.

უსიტყვოდ მიირთმევენ. ქალი ყავას იმატებს. კაცი შეჰყურებს. და ყოველთვის, როცა იგი ამას აკეთებს, ახსენდება კაცის მიერ ერთხელ ნათქვამი – მშვენიერი და ქალური ხარ, როცა ყავას ასხამო. მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინ იყო...

ვიღაცას მუსიკალური ავტომატი ჩაურთავს, მათთვის უცნობი მელოდია სეტყვისებურ ხმაურს იწვევს ირგვლივ. ქალი კაცს შესცქერის, უნდა, გაუღიმოს, მაგრამ მის საპასუხო მზერას ვერ იჭერს.



მხატვარი ცინარა ტერელაძე

რა დაღლილად გამოიყურება. ზის, ფანჯრიდან შემოსული ყვითელი შუქი სახეზე ანათებს, არანაირი ჩრდილი, მხოლოდ სინათლე და დაღლილობა. ნელ-ნელა სიბერე დაეტყო, მტკივნეულად ჩხვლეტს ქალს შიგნით. მაგრამ ჩვენ ხომ ახალგაზრდები ვართ. შიშნარევ მზერას ესვრის, მის სახეს ათვალიერებს. დაღლილი, ღრმა ნაოჭები, ღარები ტუჩის კუთხეებში, წვრილი, მკაფიო ზოლები თვალებთან, და დაღლილობის მუქი კვალი. დღეების კი არა, წლების დაღლილობა, რაც თვალების ქვეშ დარჩება სამუდამოდ. წლები, ეს საშინელი წლები. წლები, როცა არაფერი ხდება, წლები, უბრალოდ მიდის და ნელ-ნელა ძარცვავს ადამიანს.

კაცი ჩუმად ზის და მანქანებს გასცქერის, ასფალტს რომ იწოვენ, ყლაპავენ ხარბი ცხოველებივით და მიჰქრიან ორივე მიმართულებით. ალბათ, გაჩერებულ მანქანებს უყურებს. რამე მითხარი, ჩემო კეთილო, რამე თქვი. თუნდაც, ჩემი სახელი ან რამე. ოღონდ, გაიღიმე ცოტა...

სიგარეტს სთავაზობს ქალს, ოღონდ, ავიწყდება, რომ მოუკიდოს. ქალი თვითონ უკიდებს, კაცი ამას ვერ ამჩნევს. მისი თვალები ნელ-ნელა და დაღლილად მოძრაობენ. ქალი თვალს ადევნებს, ელოდება. უცებ თითქოს რაღაც იღვიძებს მასში, ერთგვარი ცნობისმოყვარეობა. ქალი პოულობს, რასაც კაცი უყურებს. გოგონა კაფეტერიის დახლის უკან, ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლგაზრდა, გამხდარი, ქერა გოგონა მკვიცრხლი თვალებით. გოგონასაც უგრძნია მზერა და ცდილობს, მოჩვენებითი სიმშვიდე შეინარჩუნოს, მაგრამ თავს ვერ იკავებს ალმაცერი მზერისგან.

სწრაფად და მტკივნეულად ჩაუვლის ტალღა მთელ სხეულში. კაცი საათს უყურებს.

– წავიდეთ, ხომ, – ამბობს კაცი, – დილით ადრე მივდივარ.

მანქანა მზეზე იდგა, კარის გაღებისთანავე ისეთი სიცხე ეცათ სახეში, როგორც მოცახცახე კედელი. მიდიან, ორპირი ქარისგან შვებას გრძნობენ. ტყე. გზადაგზა ნათელი, მწვანე ფოთოლნარი ციმციმებს, შიგადაშიგ ნაძვებისა და ფიჭვების მუქი, მკაცრი ჩრდილებით. იგივე გზა უკან, მათ წინ მანქანებია და მანქანების გრძელი მწკრივი დაკლაკნილა უკან. ქალი ზის და შიშით ფიქრობს მომავალზე. უცებ ხვდება, რომ შეეძლო, დაწოლილიყო და ეძინა, ეძინა მთელი კვირის განმავლობაში და არ გაეღვიძა მის მოსვლამდე. მაგრამ, ჯერ საღამო და ღამეა წინ და, დილის ერთი პატარა მონაკვეთი: სწრაფი საუზმის შემდეგ კაცს ოფისში მიჰყავს. იქ, სადაც ქალი მანქანიდან გადადის, გაჩერება არ შეიძლება. ჩართული ძრავა, ლოყის გაელვება, მანქანების სიგნალი უკნიდან, ხელის ზურგის ოდნავი შეხება სახეზე, სწრაფი დამშვიდობება...

...– აქ ვერ გავაჩერებთ? – კითხულობს ქალი.

– რატომ?

– უბრალოდ, გავაჩეროთ, გადავიდეთ ერთი წამით, ისეთი მშვენიერია აქ.

კაცი უკმაყოფილოდ ბურდღუნებს, მაჯის საათს უყურებს გაუაზრებლად, და სიჩქარეს ანელებს.

გზის ორივე მხარეს ტყეა, ფოთლოვანი, ნათელი, მოციმციმე ტყე, მჭახე ხმებითა და ზაფხულის ცხელი სურნელით გაჯერებული.

– რა სასიამოვნოა, არა? – ამბობს ქალი და წინ მიიწევს, სიღრმისკენ. ხედავს თავის თავს, ლამაზ ტანსაცმელსა და გამოსასვლელ ფეხსაცმელში გამოწყობილს, ტყის სიღრმეში მოცუნცულებს და თავი ეცოდება.

ქალი ჩერდება და კაცისკენ ბრუნდება, რომელიც გაკვირვებული უყურებს და რაღაცის თქმა უნდა. მაგრამ ქალი პატარა ხელს პირზე აფარებს. მეორე ხელს კისერზე ხვევს და ტუჩებით ეხება. კაცი უძრავად დგას, გაოგნებული.

– რა გემართება? – უკვირს კაცს.

ქალს მოსმენაც არ უნდა, მჭიდროდ ეკვრის.

– გაგიჟდი, გზიდან დაგვინახავენ.

ქალი იღიმება. ის მისია... მისი საკუთრება... ერთად არიან მზის სხივების წვიმაში და, სულ რაღაც ერთი წამით ბედნიერია და ძალა ემატება. მაგრამ, ეს დიდხანს არ გრძელდება. კაცი უფანტავს სასიამოვნო ფიქრებს. თმაზე ხელს უსვამს, სახეს უკოცნის. მაგრამ ეს უფრო მობოდიშებას ჰგავს.

ტირილი უხმოდ. ქალი გრძნობს, რომ კაცის თხელი პერანგი მისი ცრემლებით სველდება, კაცი არაფერს ამბობს, ისევ თმაზე უსვამს ხელს. აცლის ტირილს, ხელს არ უშლის. დგას და იცდის. ნელნელა წყდება ტირილი. რაღაც ქალი დაწითლებული თვალებით შეჰყურებს კაცს.

– სატირალი არაფერია, – ამბობს კაცი.

ისევ თმაზე უსვამს ხელს და ამატებს:

– ხომ კარგად ვართ.

ქალი მის მიღმა იყურება, თვალები ეწვის. შემდეგ თავს აქნევს, ნელა, თითქოს სხვა რამის და არა კაცის ნათქვამის გამო. ქალი მის მკლავს იშორებს და წინ მიდის, გზისკენ. კაცი უხმოდ აცილებს მანქანასთან და კარს უღებს, რასაც, როგორც წესი, არასოდეს აკეთებს.

მანქანას ქოქავს, ქალი სიგარეტს უკიდებს. ტირილის შემდეგ კარგი გემო აქვს. ქალი თავს მშვიდად და ბედნიერად გრძნობს, თითქოს, ტირილმა მასში რუხი სივრცე გაჰკვეთა. კვლავ ადგილს პოულობენ შფოთიანი მანქანების გრძელ რიგში, რადიო ჩართეს, საღამოს ახალი ამბებია, თუმცა არც ერთი არ უსმენს.

ქალი გვერდიდან უყურებს კაცს, რომელიც უძრავად და ჩუმად ზის, თავის თავში ჩაკეტილი და კიდევ უფრო დაშორებული მისგან. ფერმკრთალი და გადაღლილი სახე აქვს.

მთავარი გზიდან უხვევენ და ნელა მიდიან ქვიშაზე ახალ კორპუსებს შორის. ქალი ხედავს კატას, ჭრელ, პატარა ცხოველს, რომელსაც არსად ეჩქარება. მანქანასა და ცხოველს შორის დიდი მანძილი არ არის, მაგრამ იგი კვლავ იმ ზარმაცი რიტმით, ირიბად მიცოცავს გზაზე. უცებ ძრავაში რაღაც ხმაურობს. მანქანა წინ ქანდება და გვერდზე ნახტომს აკეთებს ამ პატარა ზანტი ცხოველისკენ. არანაირი ხმა, მხოლოდ საშინელი შეგრძნება.

შეგნებულად გააკეთა, – გამოფიტული ფიქრობს ქალი, უნდოდა და გააკეთა. სწრაფად ბრუნდება და ხედავს სისხლიან, პატარა ფუთას.

– შენ მოკალი, – ამბობს შეძრწუნებული.

კაცი შეუპოვარი მზერით გაჰყურებს გზას. მანქანაში გაუსაძლისი სიჩუმე ისადგურებს, ძრავის შენელებული ხმით გაჯერებული.

– არ დამინახავს – პასუხობს იგი.

ქალს რაღაცის თქმა უნდა, სიტყვებს ეძებს, მაგრამ ჩუმდება, ოხრავს მხოლოდ.

– არ დამინახავს, – იმეორებს კაცი, ჯიუტად და მანქანიდან გადადის.

ქალი რამდენიმე წამის განმავლობაში უაზროდ ზის, მერე უცებ რაღაც ბრმა ტალღა ასკდება, მანქანის კარს აღებს და პატარა ბოხჩასთან მირბის, კაცს ასწრებს. თითქოს ეშინია, ვინმემ ხელი არ შეუშალოს, ჯერ კიდევ თბილი სხეული ხელში აჰყავს.

კაცი ჩერდება და გაფითრებული თვალს ვერ აშორებს.

– რა გემართება, – ამბობს, – ტანსაცმელზე იფიქრე.

– არ შეეხო, – ეუბნება უსიცოცხლო, დაბალი ხმით და მაგრად იხუტებს პატარა ფუთას.

– ის ხომ მკვდარია, – ამბობს კაცი, და სიბრაზე უელავს მოჭუტულ თვალებში, – გადააგდე, კატაა, სხვა ხომ არაფერი.

ქალი არ პასუხობს, მხოლოდ გაოცებული უყურებს სიჩუმეში კვლავ კაცის სიტყვები გაისმის, თითქოს თავისთვის ამბობს იხტიბარგატეხილი და შეცბუნებული:

– რას აპირებ?

– არაფერს, – ხმადაბლა პასუხობს, – დავმარხავ.

კაცი იმედგადაწურული იჩეჩავს მხრებს. ტრიალდება და მანქანაში ბრუნდება. ქალი მის ზურგს ხედავს, რომელიც, ცდილობს, გაბრაზებულის შთაბეჭდილება დატოვოს. ქალი თვალს ხუჭავს და ტირილს შიგნით იბრუნებს.

– საყვარელო, – ჩურჩულებს თავისთვის, და ეს სიტყვა წვავს...

თარგმნა **თამარ ტაბახმელაშვილმა**

# აუხსნის თუ არა სიყვარულს

„ალისა საოცრებათა ქვეყნიდან“ – ასე ეძახიან მეგობრები მსახიობ მარიანა ნინიაშვილს, რომელსაც პოპულარობა და ხალხის სიყვარული მარეხის როლმა მოუტანა ტელესერიალში „ძილის წინ“...

„საოცრებათა ქვეყანაზე“ რა მოგახსენოთ, მაგრამ თავად მარიანა მართლაც საოცარი პიროვნებაა მთელი თავისი ადამიანური ღირსებებით. უსაზღვროდ ოპტიმისტი და მეოცნებე (საბედნიეროდ, ოცნებები უსრულდება) ოცნებობს ბედნიერ საქართველოზე, გაღიმებულ ქართველ ხალხზე, ახლობლების, მეგობრების, უბრალო გამვლელების კარგად ყოფნაზე... პირადი ოცნებაა, ჰქონდეს საინტერესო როლები და ჰყავდეს აუცილებლად ბევრი შვილი...

სანამ ეს ოცნებები განხორციელდება (საფუძველს ფაქტები გვაძლევს- თ. ო), „საქართველოს ქალი“ მარიანასთან საუბარს უკვე განხორციელებული ოცნებიდან – მსახიობობიდან იწყებს და შეეცდება მისი ზოგიერთი ქალური საიდუმლოც შეიტყოს.



**– მარიანა, ერთხელ მითხარით, რომ „მსახიობობა აღმოჩენების პროფესიაა და მეც ბევრი რამ აღმოვაჩინე საკუთარ თავშიო“. მაშინ დაკონკრეტება არ მითხოვია... არადა, საინტერესოა, მაინც რა აღმოაჩინეთ საკუთარ თავში მას შემდეგ, რაც მსახიობი გახდით?**

– კონკრეტულად გამიძნელდება ამაზე საუბარი, მაგრამ მთავარს გეტყვით: მივხვდი, რომ ბევრად ძლიერი ვყოფილვარ, ვიდრე მეგონა. ვფიქრობდი, რომ ძალიან სუსტი ვიყავი და ვინმესთვის წინააღმდეგობის გაწევის უნარი არ შემწევდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მთლად ასე არ ყოფილა. ვერ ვიტყვი, რომ დიდი „რქები“ მაქვს და ა. შ., მაგრამ ჩემს ხასიათში ძლიერი შტრიხები აღმოვაჩინე, რაც სწორედ ჩემი პროფესიის დამსახურებაა...

**– ისე, როგორი ხასიათი გაქვთ?**

– ცოტა ჯიუტი, მაგრამ ძალიან ემოციური ვარ, ყველაფერი გულთან ახლოს მიმაქვს, რაც გარკვეულწილად ხელს მიშლის ცხოვრებაში...

**– ემოციები რომ უნდა დათრგუნოთ, ეს არ გასწავლათ თქვენმა პროფესიამ?**

– როცა ჩიხში ექცევი, მაშინ, ალბათ, შეძლებ ემოციის დაძლევას. მეც ბევრჯერ მომიწია ამის გაკეთებამ – გადასაღებ მოედანზე, ვთოკავდი ჩემს თავს, მაგრამ სახლში მისული ვნერვიულობდი. გარკვეულ მომენტში ყოველთვის თავს ვიკავებ, რადგან ეს ჩემი პროფესიისთვისაა საჭირო, თუმცა, პროფესიის წყალობით მე იმასაც მივხვდი, რომ შემიძლია, როცა საჭირო არის, არ ვიტირო და ჩემი ცრემლები სხვას არ დავანახო. ისე, მართალი გითხრათ, გადაღებებზე ბევრი მიტირია..

**– რატომ?**

– თუნდაც იმიტომ, რომ დეკოლტეთი მიღებდნენ და ჩემი მკერდი გაუთავებლად ჩანდა ეკრანზე... ახლა მეცინება ამაზე, მაგრამ მაშინ ძალიან განვიცდიდი. შემდეგ როგორღაც გადავლახე ეს ბარიერი...

**– პრინციპში, თქვენმა გარეგნობამ, იმავე დიდმა მკერდმა, პოპულარობა მოგიტანათ და „სექსუალური ქალის“ იმიჯი შეგძინათ...**

– გარეგნობა არ არის მთავარი. უბრალოდ, ისე მოხდა, რომ ასეთი სახით წარმოჩინდა ჩემი სამსახიობო მონაცემები. ჩემი შექმნილი და ნათამაშევი გმირი გახდა თვალშისაცემი და არა ჩემი გარეგნობა, თუმცა ვერც იმას ვუარყოფ, რომ გარეგნობამაც დიდი როლი შეასრულა.

**– ისე, თუ შეცვლიდით რაიმეს თქვენს გარეგნობაში, გიფიქრიათ ამაზე?**

– კი, როგორ არა. ძალიან კრიტიკული ვარ საკუთარი თავისადმი, ხშირად არ მომწონს ჩემი გარეგნობა, მაგრამ რაღაც რომ შევცვალო, ვფიქრობ, ბუნებრიობას დავკარგავ. პატარა კორექტივების შეტანა შეიძლება, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები უკვე გვიანია, რადგან ხალხი ისეთს მიცნობს, როგორიც ვარ...





ეროვნული ბიბლიოთეკა

# მარიანა ნინიაშვილი მამაკაცს პირველი?





**– საინტერესოა, როგორც ქალს, რა მოგცათ პროფესიამ ან პირიქით, თუ დაგაკლოთ რაიმე?**

– როგორც ქალს? ... იცით, მე ასე ვიტყოდი, როგორც ადამიანს ოცნება და მიზანი ამისრულდა. მაშინ ვთქვი, რომ მსახიობი გავხდებოდი და წარმოიდგინეთ, ოთხი წლის ასაკში დასახული მიზანი ავიხდინე. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. საერთოდ, ვფიქრობ, რომ პროფესია ბევრ რამეს არ აძლევს ადამიანს, მთავარი ურთიერთობებია – ადამიანური ურთიერთობებიდან სწავლობ ყველაფერს. ჩემი პროფესიის წყალობით, ბევრ კარგ ადამიანს შევხვდი, უფროსი თაობის მსახიობებს ვგულისხმობ, რომლებიც მიუხედავად თავიანთი პოპულარობისა, საოცრად უბრალოები და ძალიან დიდი სიყვარულის მატარებლები არიან. მოკლედ, როგორც ადამიანს, ჩემი დასახული მიზნის მიღწევამ უფრო მეტი თვითრწმენა შემმატა, მაგრამ როგორც ქალს, რაღაცრაღაცეები დამაკლდა, რადგან ვფიქრობ, რომ, როგორც ქალი, სხვაგან უფრო შევძლებდი რეალიზებას. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში, ფაქტობრივად, ჩემი პროფესიის გარდა არაფერზე ვფიქრობდი. ვერ ვიხსენებ დიდ რომანებს, რაც იმ ასაკისთვის იყო (და არის) დამახასიათებელი, მაგრამ მაშინ მე ასე მომწონდა და ალბათ, ასეც იყო საჭირო. მერე, როდესაც პოპულარული ხარ, ძალიან ბევრ სიყალბეს აწყდები იმავე მამაკაცების მხრიდან...

**– რას გულისხმობთ?**

– მამაკაცების გარკვეულ ნაწილს მხოლოდ იმიტომ უნდა შენთან დაახლოვება და სიმპათიების გამჟღავნება, რომ პოპულარული ხარ და ეს არ არის გულწრფელი გრძნობა. ბევრი კი იმის გამო კომპლექსდება, რომ პოპულარული ხარ და მიაჩნია, რადგან რაღაც ხუთჯერ გამოჩნდი ეკრანზე, შენთან მოახლოვება რთულია. ამის გამო ხელოვნურ ბარიერს ქმნიან.

**– თუნდაც ამ ყველაფრიდან გამომდინარე, მიგაჩნიათ, რომ დღეს სწორედ იქ ხართ, სადაც უნდა ყოფილიყავით?**

– კი, რადგან სხვაგან ვერ წარმომიდგენია ჩემი თავი. ალბათ, ვერასოდეს შევეგუები ერთფეროვნებას. ვფიქრობ, სწორედ იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო, უბრალოდ, საქართველოში დღეს არსებული სიტუაცია მიშლის ხელს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციაში. კინოს ძალიან იშვიათად იღებენ, უკვე რამდენიმე წელია თეატრები რემონტშია, წლები კი გადის, თუმცა მაინც ვთვლი, რომ რაღაცის გაკეთება მოვახერხე.

**– მარიანა, მინდა გავიხსენო ტელესერიალი „ძილის წინ“, რომელმაც საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, მათ შორის თქვენი ახლობლების და მეგობრების, რომლებიც კითხულობდნენ „რა უნდოდათ ამ მონაზონი მარიანასგან, რას ერჩოდნენო?“ საინტერესოა, რა მოხდა „კექსი დიდ ქალაქში“ ეკრანზე გამოსვლის შემდეგ, სადაც სექსუალური მარეხის როლი კდემამოსილი გამყიდველი ცაროს როლით შეიცვალა?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, მაყურებელი უკმაყოფილო დარჩა. ძალიან ბევრმა მითხრა, რომ ის ამპლუა, ვულგარული თუ სექსუალური ქალის იმიჯი, უფრო მიხდებოდა. ბევრმა ისიც აღნიშნა, რა სხვანაირი ხარ, კარგია, ასეთი განსხვავებული როლების თამაში რომ გიწევსო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში ყველას უნდოდა, – თავდაპირველ ამპლუაში ვეხილე.

**– თქვენ თვითონ სად უფრო თავისუფლად გრძნობდით თავს – მარეხის თუ ცაროს როლში?**

– ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, საინტერესო მასალა იყოს და გმირს, ჩემი თვისებები და სახასიათო შტრიხები არ ჰქონდეს. თუ გმირი რაღაცით მგავს, ამ როლს ვერ ვთამაშობ. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში ასეთ როლებზე ყოველთვის უარს ვამბობდი. ჩემგან სრულიად განსხვავებული ხასიათების თამაში უფრო მეტ აზარტს მძენს და ფანტაზიაც უფრო დიდია.

**– განსხვავებული როლების თამაშს საკმაოდ კარგად ახერხებთ და, სხვათა შორის, მე ძალიან ხშირად მიწევდა და მიწევს იმის მტკიცება, რომ სულაც არა ხართ ისეთი, როგორიც ეკრანზე ჩანხართ, თუნდაც გარეგნობა ავიღოთ, აღარაფერს ვამბობ ხასიათზე... როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფერმა ქალისთვის არასასურველი თუ არახელსაყრელი სიტუაცია ხომ არ შეგიქმნათ?**

– ჩემს მეგობრებს ხშირად უჩხუბიათ ამის გამო. ჩემმა მეგობარმა ბიჭმა ერთხელ სცემა კიდეც ვიღაც, რომელსაც, თურმე, სულ სხვა წარმოდგენა ჰქონდა ჩემზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ჩემი გამარჯვებაა, რადგან ისე შევძელი როლში შესვლა, მაყურებელმა დაიჯერა, რომ ცხოვრებაშიც ასეთი ვარ. ჩემთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, რას ფიქრობს ჩემზე ის ადამიანი, ვინც არ მიცნობს, მთავარია, რასაც ვითამაშებ, მაყურებელს მოეწონოს.

**– მარიანა, ამბობენ და ალბათ ასეცაა, რომ ქალი ქმნის მამაკაცს და პირიქით, ადამიანების ურთიერთობა, ფაქტობრივად, ამ ორი სქესის ერთმანეთისადმი სწრაფვის დაუოკებელი სურვილია. არ აპირებთ ოჯახის შექმნას? თუ მსახიობობას სწირავთ პირად ცხოვრებას?**

– არავითარ შემთხვევაში არ შევწირავ პირად ცხოვრებას პროფესიას, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ პირადი ცხოვრებაა. მით უმეტეს ქალისთვის. ვერანაირი როლი ვერ შეედრება დედობის როლს – ვერაფერს შექმნი უკეთესს, დედობა ყველაზე დიდი მისიაა ამქვეყნად ქალისთვის. ყოველთვის ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ უნდა შევქმნა ოჯახი, მყავდეს ბევრი შვილი...

**– თუმცა დღემდე მარტო დაიარებით...**

– იმიტომ, რომ ჯერჯერობით არ შევხვედრივარ „იმას“ – (იცინის).

**– და როგორი უნდა იყოს „ის“, რომ თქვენი ყურადღება მიიქციოს?**

ეროვნული ბიბლიოთეკა

– კონკრეტულად ვერ გეტყვით, მაგრამ აუცილებლად უნდა იყოს გულწრფელი, რაინდული სულის ადამიანი, კარგი მეგობარი. გარეგნობა და თვალების ფერი მეორეხარისხოვანია, თუმცა, თუ სიმპათიური და სასიამოვნო გარეგნობის იქნება, უარს ნამდვილად არ ვიტყვი (იცინის)

**– და ალბათ, პატივი უნდა სცეს თქვენს პროფესიას...**

– აუცილებლად... წინააღმდეგ შემთხვევაში, ალბათ, ცოლადაც არ მომიყვანს. ბევრი მეკითხება, რაიმე კომპრომისზე თუ წახვალ მეუღლის გამოო? ჯერ გათხოვილი არა ვარ და კომპრომისზე ბევრჯერ წავსულვარ, რადგან არის როლები, რომლებსაც ვერ შევასრულებ, მით უმეტეს, როდესაც ის მეორე ნახევარი გთხოვს ამას, რომელიც ძალიან გიყვარს და იცი, ამის გამო ანერვიულდება, როლისთვის რატომ ვაწყენინებ?

**– მარიანა, დარწმუნებული ვარ, უამრავი თაყვანისმცემელი გეყოლებათ...**

– უამრავი არა, ზომიერად...

**– ყოველ შემთხვევაში, ასარჩევად გექნებოდათ საქმე, ნუთუ მათ შორის მოსაწონი, რაინდული სულის მამაკაცი არ აღმოჩნდა?**

– თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არა, რადგან გულმა არ მიგრძნო. გონება ყოველთვის თრგუნავს ჩემს გრძნობებს და აქედან გამომდინარე, ჩემს გულში ისე ღრმად ვერავინ შემოიჭრა, რომ ამ გრძნობამ ტვინი დათრგუნოს, თორემ კარგი ადამიანები ბევრნი არიან.

**– ვთქვათ, ერთ მშვენიერ დღეს, იგრძენით, რომ გრძნობამ გონება გადაწონა, გადადგამთ პირველ ნაბიჯს და აუხსნით მამაკაცს სიყვარულს?**

– გრძნობების გამოხატვა არ მიჭირს, მაგრამ, ალბათ, გამიჭირდება, რადგან ძალიან ამაყი ვარ. თუმცა, ცხოვრებაში გამორიცხული არაფერი არ არის და წინასწარ ვერ განვსაზღვრავ, როგორ მოვიქცევი, მით უმეტეს, როცა საქმე სიყვარულს ეხება, შესაძლოა, რაღაც საოცრებებიც კი ჩავიდინო, მაგრამ ეჭვი მეპარება. მიუხედავად ჩემი პროფესიისა და როლებისა, ძალიან ტრადიციული ადამიანი ვარ და ვფიქრობ, რომ მამაკაცმა უნდა გადადგას პირველი ნაბიჯი. ძირითადად კი, ქართველ მამაკაცებს არ მოსწონთ, როდესაც ქალები აქტიურობენ...

**– მარიანა, საკმაოდ ბევრი ჭორი გამიგია თქვენზე: გათხოვდაო, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთაო... ისიც თქვეს, გორში ვაშლის მაფია აქვსო...**

– ამ ჭორზე ძალიან ბევრი ვიცინე. ჩემი ახლობელი იყო გორში წასული და იქიდან გაოცებული ჩამოვიდა – შენზე ამბობენ, ვაშლის მაფია აქვს ვიღაცასთან ერთად და მთელი გორის ვაშლები მაგისიაო... ნეტავ, მართლა ჩემი ყოფილიყო (იცინის).

**– ერთ მამაკაცს მაინც შეაჭმევდით...**

– (კვდება სიცილით) ეს იყო ყველაზე სასაცილო ჭორი. იყო ძალიან მტკივნეული ჭორებიც: ბევრი მამაკაცის საყვარლობა მომაწერეს, რაზეც, მართალი გითხრათ, ბევრიც ვინერვიულე... ცხადია, ყველაფერი აბსურდი იყო, მაგრამ ასეთი ჭორები არ მსიამოვნებს...

**– თუმცა, პოპულარობა მსგავს ჭორებსაც მოაქვს... უცხოეთში მსახიობები ასეთ ჭორებს თავადვე ავრცელებენ.**

– უცხოეთში ეს ყველაფერი მომგებიანია, განსაკუთრებით პრემიერის წინ, ჩვენში კი რა მოგახსენოთ...

**– მარიანა, ამჟამად რა ხდება თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში?**

– საინტერესო არაფერი...

**– ესე იგი ისვენებთ?**

– პირიქით, ასე ყოფნა ჩემთვის ძალიან დამღლელია, ვისვენებ მაშინ, როცა სამუშაო მაქვს.

**თამარ ოთიაშვილი**

# როგორ ვაცდუნოთ მამაკაცი?



ფსიქოლოგებმა, რომლებიც უკვე დიდი ხანია ადამიანური ურთიერთობებით არიან დაინტერესებულნი, აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, ახალგაზრდა მამაკაცების საკმაოდ დიდი ჯგუფი გამოკითხეს, რომელთაც გულწრფელად გაამხილეს ის ხერხები, რაც ქალბატონებს ძალების მინიმალური დახარჯვით სანუკვარი მიზნის მიღწევას შეაძლებინებს.

მაშ ასე, ძვირფასო ქალბატონებო, ყურადღებით გაეცანით ცდუნების იმ საიმედო საშუალებებს, რომელიც მამაკაცთა მოთხოვნილებების გათვალისწინებითაა შემუშავებული და იხეიმეთ ძლიერ სქესზე გამარჯვება.

**1. მიირთვით მადიანად!**

ქალების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მადიანი ჭამა ეწინააღმდეგება სუფრასთან სწორად ქცევის ეტიკეტს და ფიქრობს, რომ ასეთი ქცევით უარყოფით შთაბეჭდილებას მოახდენს ირგვლივ მყოფ მამაკაცებზე. როგორც აღმოჩნდა, ეს მოსაზრება მცდარი ყოფილა.

ზემოთხსენებულ გამოკითხვაში მონაწილე ერთ-ერთმა მამაკაცმა ფილოსოფიური აზრი გამოთქვა: „ის, ვინც ჭამაში წუნია და მიზეზიანია, მამაკაცებთან ურთიერთობაშიც ასეთივე იქნება“. მის ამ მოსაზრებას ბევრმა დაუჭირა მხარი. მეტიც, ზოგიერთმა ისიც კი დაამატა რომ ყელში ამოუვიდათ „ზედმეტად ნაზი ვეგეტარიანელები“. მამაკაცების მტკიცებით, ვნებიანი და სექსუალური ქალი (მათ კი სწორედ ასეთი ქალები მოსწონთ) ყოველთვის მადიანად შეექცევა გემრიელ კერძებს და ეს მართლაც არაჩვეულებრივი სანახაობაა.

***გაითვალისწინეთ:*** ამ თეზისს მაინცდამაინც პირდაპირი მნიშვნელობით ნუ გაიგებთ და, როცა სუფრასთან იმყოფებით, ზედმეტად თვალშისაცემი სიხარბით ნუ მიეძალებით საჭმელს. არ უნდა დაივიწყოთ, რომ ზომიერების დაცვა აუცილებელია. გაიხსენეთ, რა სასაცილოდ გამოიყურება ცნობილი კომიკოსის, ბენი ჰილის შოუს ერთ-ერთი პერსონაჟი ქალი, რომელიც საპატარძლო კაბაში გამოწყობილი მადიანად შეექცევა ხორცის მსუყე ნაჭრებს. საეჭვოა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთი ქცევით ქალმა მამაკაცის გულის დაპყრობა მოახერხოს.

**2. წარმოაჩინეთ თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობები!**

არსებობს მოსაზრება, თითქოს მამაკაცები თავს არიდებენ ჭკვიან ქალებს. არამც და არამც – შეცდომაში არავინ შეგიყვანოთ! ჭკვიანი და ინტელექტუალური მანდილოსნები ყოველთვის იმსახურებდნენ და იმსახურებენ მამაკაცთა სიმპათიებს. ხშირად, გარეგნულად არცთუ მიმზიდველი ქალები სწორედ ჭკუითა და ინტელექტით ახერხებენ მამაკაცის მოხიბვლას. ამას თავად მამაკაცები აღიარებენ სრულიად გულწრფელად.

*გაითვალისწინეთ:* საკუთარი ნიჭის, ცოდნისა თუ ინტელექტუალური შესაძლებლობების წარმოჩენა, ცხადია, მშვენიერია და კარგი სამსახურის გაწევაც შეუძლია, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ სფეროს შეეხება თქვენი ცოდნა და რა თემაზე იწყებთ საუბარს. მამაკაცებს ნაკლებად მოსწონთ, როდესაც ქალები გამუდმებით ფულზე ამახვილებენ ყურადღებას და ზეპირად იციან როგორია დოლარის კურსი. ასე რომ, როდესაც ძლიერი სქესის წარმომადგენელთა გარემოცვაში იმყოფებით, უფრო ზოგადსაკაცობრიო იდეალებზე ისაუბრეთ და ფინანსურ საკითხებს შეგნებულად აუარეთ გვერდი.

**3. იკეკლუცეთ ისე, რომ მამაკაცი არ გააღიზიანოთ!**

როდესაც ქალი ცდილობს თავი მოაწონოს მამაკაცს, რა თქმა უნდა, ჩვეულ წესს მიმართავს და კეკლუცობას იწყებს, ხშირ-ხშირად ისწორებს თმებს, კაბას და მალულად აპარებს მზერას მისკენ. მაგრამ, როდესაც კეკლუცობა ზედმეტად თვალშისაცემი ხდება, მამაკაცი ღიზიანდება და ქალის მიმართ ინტერესი უქრება.

მამაკაცების უმრავლესობა ერთხმად აღიარებს, რომ მოსწონთ, როცა ქალი მოკრძალებულად იქცევა, თავშეკავებულია, ხანდახან, როცა მათი მზერა ერთმანეთს შეხვდება, სახეზე სიწითლე გადაჰკრავს და თვალებს მორცხვად ხრის. ეს ყველაფერი შეიძლება ცოტა ძველმოდურად მოგეჩვენოთ, მაგრამ რას ვიზამთ, როგორც ჩანს, დროის მსვლელობას ქალებთან დამოკიდებულებაში მამაკაცებზე დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია.

*გაითვალისწინეთ:* ზედმეტი სითამამე და გამომწვევი მოქმედებები მამაკაცის თვალში ღირსებას არ გმატებთ. პირიქით, ამით თქვენს რეპუტაციას შეუქმნით საფრთხეს და თუ ასე მოხდა, წარმატების იმედი ნუ გექნებათ.

**4. უთხარით მამაკაცებს ქათინაურები!**

დიახ, ქათინაურები მამაკაცებსაც ძალიან უყვართ. არ გეგონოთ, რომ გადაჭარბებული იქნება, თუ ხშირად გაუმეორებთ მას, რომ შონ კონერივით მომხიბლავი და აინშტაინივით ჭკვიანია. პირიქით, ასეთ ანკესზე ნებისმიერი მათგანი ადვილად წამოეგება. არ გჯერათ? მაშინ თავად მამაკაცებს მოვუსმინოთ: ,,როდესაც ჩვენში გმირებს ხედავენ, უფრო ძლიერ და მნიშვნელოვან პიროვნებებად ვგრძნობთ თავს. შეუძლებელია ამაღლებული გრძნობები არ გაგიჩნდეს იმ ქალის მიმართ, რომლის თვალშიც ნამდვილი ,,სუპერმენი'' ხარ''.

*გაითვალისწინეთ:* გადაჭარბებულმა ქათინაურებმა, შესაძლოა, მამაკაცი რეალობას მოსწყვიტოს. დროთა განმავლობაში ის აუცილებლად დაიჯერებს, რომ მართლაც განსაკუთრებული ნიჭითა და შესაძლებლობებით დაჯილდოვებული ადამიანია, მერე თქვენს ქალურ ღირსებებშიც შეეპარება ეჭვი და დაასკვნის, რომ თქვენი კი არა, მსოფლიოს ულამაზესი ტოპ-მოდელების პარტნიორი უნდა იყოს.

**5. უსმინეთ მამაკაცებს!**

ამ საკითხში მამაკაცები საოცარ ერთსულოვნებას იჩენენ: ,,განუწყვეტლივ მოლაპარაკე ქალბატონები მომხიბვლელობას კარგავენ. უთხარით მათ, რომ ისწავლონ მოსმენა'', – გულღიად აცხადებენ ისინი და ალბათ, ღირს მათ ამ განაცხადზე სერიოზული დაფიქრება.

*გაითვალისწინეთ:* მაგრამ არც ქრონიკული სიჩუმე ვარგა. ზოგჯერ საკუთარი აზრის გამოთქმა არა თუ საჭირო, აუცილებელიც კია. მამაკაცებს არ უნდა მისცეთ იმის დავიწყების უფლება, რომ ქალი, პირველ რიგში, პიროვნებაა და მოვლენებსაც საკუთარი მსოფლმხედველობის მიხედვით აღიქვამს.

**მოამზადა თამთა გურულმა**

## სილამაზის გაკვეთილები

იმისათვის, რომ მომხიბვლელად გამოიყურებოდეთ, სულაც არ არის აუცილებელი ძვირადღირებული კოსმეტიკა. სილამაზის შესანარჩუნებლად მრავალი ხერხი არსებობს. შემოგთავაზებთ რამდენიმე მათგანს.



ორმაგი ღაბაბი რომ არ გაგიჩნდეთ, უარი თქვით ბალიშზე! რას იზამთ, სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს. დილით ფანქარი ჩაიდეთ პირში და ჰაერში ,,შემოხაზეთ'' ასოები, თან რაც შეიძლება დიდი ამპლიტუდით ამოძრავეთ თავი. ყელზე წაისვით კრემი და ელასტიური ბინტით შეიხვიეთ. კვირაში ორ-სამჯერ კი შემდეგი პროცედურები ჩაიტარეთ:

ხელსახოცი დაალბეთ კოსმეტიკურ ზეთში და რამდენიმე წუთით გაიჩერეთ ყელზე, სანამ არ გაშრება. შემდეგ დაიფინეთ მწვანე ჩაიში ან გვირილის ნაყენში დასველებული ხელსახოცი. საფენები 5-ჯერ შეანაცვლეთ, რის შემდეგაც წაისვით კრემი.

ახლა კი, რამდენიმე რჩევა სახის კანთან დაკავშირებით:

სახის კანი რეაგირებს ტემპერატურის ცვალებადობაზე. გახსოვდეთ, სიცივეში არასოდეს გამოიყენოთ დამატენიანებელი კოსმეტიკა სახლიდან გასვლის წინ. მასში შემავალი წყალი იწვევს კანის აქერცვლას.

თუ მშრალი კანი გაქვთ, დილით წაისვით დამარბილებელი ნივთიერებების შემცველი კრემი. მხოლოდ ამის შემდეგ წაისვით ტონალური კრემი.

### მატონიზირებელი ნიღაბი მშრალი, მგრძნობიარე კანისათვის

წვრილ სახეხზე დახეხეთ საშუალო ზომის სტაფილო, დაუმატეთ ერთი სუფრის კოვზი კარტოფილის პიურე და ერთი კვერცხის გული. ყველა კომპონენტი კარგად აურიეთ. მიღებული მასა სქლად დაიდეთ სახეზე და 15-20 წთ-ის შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ. პროცედურა ორი თვის განმავლობაში კვირაში ორჯერ ჩაიტარეთ.

### ნიღაბი ცხიმიანი, ფერისმჭამელებიანი კანისათვის

ერთი დიდი კარტოფილი სახეხზე დახეხეთ, დაუმატეთ ათქვეფილი კვერცხის ცილა, ერთი ჩაის კოვზი დაქუცმაცებული შვრიის ფანტელი (,,ჰერკულესი'') და დანის წვერით წმინდა მარილი. მიღებული მასა წინასწარ გაწმენდილ სახეზე დაიდეთ, 20 წთ-ის შემდეგ კი ოთახის ტემპერატურის წყლით ჩამოიბანეთ და ლოსიონით გაიწმინდეთ. პროცედურა ორი თვის განმავლობაში კვირაში ორ-სამჯერ ჩაიტარეთ.

### ჭორფლის საწინააღმდეგო ნიღაბი

ერთი კვერცხის ცილა ქაფივით ათქვიფეთ და წვეთ-წვეთობით დაუმატეთ ერთი ჩაის კოვზი 3%-იანი წყალბადის ზეჟანგი, თან განუწყვეტლივ ურიეთ. შემდეგ შეურიეთ ერთი ჩაის კოვზი დასრესილი ხაჭო. მიღებული მასა 20 წთ-ით სახეზე დაიდეთ, ჩამოიბანეთ ჩაის ნაყენით და კიტრის ლოსიონის ცივი კომპრესი დაიფინეთ.




შესანიშნავად აშორებს ჭორფლს სტაფილოს წვენში ჩამატებული ლიმონის რამდენიმე წვეთიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოფელიას ორდენის კავალერს

ამ სათაურით დაიბეჭდა პაოლო იაშვილის ლექსი 1919 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (№1), რომელიც პოეტმა თავის უახლოეს მეგობარს „ცისფერი ორდენის“ თვალსაჩინო წევრს, ქართული სიმბოლისტური სკოლის ერთ-ერთ მესაძირკვლეს საქართველოში, პოეტსა და მთარგმნელს, შესანიშნავ ესეისტსა და თეატრალს ვალერიან გაფრინდაშვილს მიუძღვნა. ლექსის სათაურშივე ლირიკოსი უკვე იმთავითვე მიგვანიშნებს „მეოცნებე ნიამორების“ რედაქტორის პოეტური შემოქმედების ხასიათზე, მის სულიერ განწყობილებასა და რაინდულ ბუნებაზე, რაც ერთ-ერთ ყველაზე საჩინო მახასიათებელ დამღად აზის დიდი პოეტის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას.



● ვალერიან გაფრინდაშვილი

1919 წელს ქუთაისში გამოიცა ვალერიან გაფრინდაშვილის პირველი პოეტური კრებული „დაისების“ სახელწოდებით. ამ პატარა თეთრყდიანი წიგნის გარეკანზე ქალის სახეა გამოსახული. როდესაც მკითხველი თავიდან ბოლომდე გაეცნობა კრებულში მოთავსებულ ლექსებს, უმალვე საცნაური გახდება მისთვის, რომ იგი ოფელიაა, პოეტის მუზის შთამაგონებელი, მისი საოცნებო და სათაყვანებელი არსება, უნაზესი და უნატიფესი, რომლისადმიც არის მიძღვნილი მგოსნის თითქმის ყველა ლექსი.

მაგრამ ჯერ მინდა მკითხველის თვალი ვალერიან გაფრინდაშვილის ავტოპორტრეტზე შევაჩერო, რომლის ფონი მუქი ფერითაა დათალხული და პოეტის მონოლოგიც ორგანულადვე ერწყმის მას: „ვოცნებობ ისევ სასაფლაოზე და ვესალმები წვიმიან საფლავს, ტორტმანობს ღამე – შავი აუზი, და მასმევს, მასმევს ღამის საწამლავს“. თუმცა, ამგვარი მონოლოგი არც არის გასაკვირი, რადგან ეს ლექსი – რკალიდან „ოცნება“ 1914 წლით არის დათარიღებული. კიდევ უფრო ღრმა დრამატიზმითაა დატვირთული ლექსები „ღამეში“, „ღამის ფოთლები“: „ბუნებავ, ენა რად დამიდუმე, ნუთუ არ გესმის გოდება მწირის? ჩემს ფარულ ცრემლებს ითვლის სიჩუმე, და ჩემი ლანდი მევე დამტირის... ვარ მარტოობის ჯვარზე გაკრული, მხოლოდ ღამეა ჩემი ტაძარი, და შავ წყვდიადში, ყველასგან კრული, მივდივარ, როგორც ელეაზარი!“ ალბათ, ამიტომაც მიმართავდა გრიგოლ რობაქიძე თავის ლექსში „ვალერიან გაფრინდაშვილს“, ამგვარი სტრიქონებით, რომლებიც სავსებით მიესადაგებოდა „დაისების“ ავტორის უმძიმეს ემოციურ განწყობილებებს: „შენ გესმის მუდამ ჯადოსანი ხმა შორეული. სურნელოვანი შენში თითქოს ვიღაცა მოჰკლეს...“ უღრმეს თანაგრძნობით სავსე სონეტის პასუხად უფროს ძმას და მეგობარს ისეთივე პუნქტუაციით – წერტილებით გამართულ სონეტს მიუძღვნის პოეტი, როგორადაც თავად წერდა გრიგოლ რობაქიძე და, რომლის შესახებაც საგანგებოდ აღნიშნავდა ვალერიან გაფრინდაშვილი თავის წერილში „სონეტის პრობლემა“: „გრიგოლ რობაქიძემ შექმნა ახალი ფორმა სონეტისა, რომელშიდაც ყოველი სტრიქონი სრულ ქანდაკებას წარმოადგენს და არსად კავშირი „და“ სონეტში არ იხმარება“.

სონეტში „გრიგოლ რობაქიძე“ პოეტისა და მოაზროვნის, დიდი მწერლის სრული პორტრეტია წარმოჩენილი მთელი თავისი შინაგანი და გარეგნული ხატით; მასში საოცარი წინასწარმეტყველებითაა განჭვრეტილი ამ დიდი ქართველის მძიმე ხვედრიც: „ნაპოლეონის მედიდური უცხო პროფილი. შავი ცილინდრი. ყრუ ნაბიჯი. ხელთათმანები. განდეგილი ხმა – ჩვენებათა ავი მზმანები... სპილოს ძვლის კოშკი ასპეტაკდა შენი ბრძანებით – მაღალი კოშკი – შენს გარიყულ ცქერით შობილი... თეთრ სიამაყეს აქანდაკებ შენი დიდებით... მარად ნაპირებს ეოცნებე ალმოკიდებით. შენ-



● ვალერიან გაფრინდაშვილის მეუღლე ირა ჭავჭავაძე შვილთან ერთად



● ვალერიანი ნანასთან ერთად



● ლილი მეუნარგია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის, პოეტო, ოქროპირო – სიტყვის მართველო – წმინდა ელენეს კუნძულია ეს საქართველო".

პორტრეტებს რომ თავისი მკვიდრი ადგილი დაეძებნოს, შუქი შეემატოს და აზრი მკაფიოდ გაცხადდეს, მინდა მკითხველს გავაცნო ვალერიან გაფრინდაშვილის წერილი „ახალი პოეტიკა". /ვალერიან გაფრინდაშვილის ფონდი, სსლმ-ზ 25571/, რომელშიც „ცისფერყანწელების" მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ნაკვთია წარმოჩენილი, ურომლისოდაც შეუძლებელია მათი პოეზიის სრულყოფილად შეცნობა.

თავის წერილში „ახალი 1922 წლის ქართულ პოეზიაში" ვალერიან გაფრინდაშვილი წერს: „1914 წლიდან ქართული პოეზია დაშორდა რეალობას და „ცისფერყანწელებმა" მთელი რვა წლით გამოაცხადეს ფანტასმაგორიის და მითის კულტი. ეს აუცილებლად საჭირო იყო, რომ პოეზიას გადაელახა სინამდვილის და ეთნოგრაფიის ვიწრო ნაპირები". აი, სწორედ ამიტომ დასჭირდათ „ახალ მხედართ" - „ცისფერყანწელებს" ახალი პოეტიკის შემუშავება და აახმიანეს კიდეც ახალი ლექსი სრულიად ახლებურ ხმაზე: „მე აქ უნდა ვიყო ფრთხილი და მაინც უნდა ვთქვა, ცისფერყანწელებს მსოფლიო პოეზიის წინაშე ექნება თუნდაც ის დამსახურება, რომ მათ იგრძნეს და დააფასეს პოეტის პიროვნება, როგორც წყარო მხატვრული შემოქმედებისა. ვისაც არ ესმის ჩვენი მიზნები, ვინც არ იცის ჩვენი პოეტიკა, ისინი გვამტყუნებენ მოწაფეობაში. ჩვენ ხშირად ვახსენებთ ჩვენს ლექსებში ფრანგ პოეტებს, მაგრამ ეს შემთხვევითი არ არის და ამის დასაბუთება შეიძლება სულ სხვანაირად. აქ წაბაძვას ადგილი სრულიად არ აქვს..." აქ უადგილო არ იქნება გავიხსენო გრიგოლ რობაქიძის წერილი „სათავენი ჩემი შემოქმედებისა", რომელშიც ავტორი საგანგებოდ შენიშნავს: „ჩვენში გავრცელებულია აზრი: საქართველოში სიმბოლიზმი რუსეთიდან „შემოიტანესო" და რუსეთში კი საფრანგეთიდანო... ანდრეი ბელი სიმბოლისტი იყო რუსეთში. აგერ მიდევს მისი რომანი „პეტერბურგი". მსგავსი ამ რომანისა არათუ ფრანგულ სიმბოლისტურ ლიტერატურაში, მსოფლიო ლიტერატურაშიაც არ მოიძებნება. ალექსანდრ ბლოკ – სიმბოლისტად ითვლებოდა რუსეთში. მაგიდაზე მიდევს მისი პოემა „თორმეტი" და შაირთა რვეული „პრეკრასნაია დამა". ეგებ ვინმემ მომინახოს ფრანგულ პოეზიაში მსგავსი რამ ამისა. ძებნა ამაოდ ჩაუვლის!

ეს რუსეთში. საქართველოში? აქ გრიგოლ რობაქიძე ასახელებს პაოლო იაშვილის ლექსს „არგვეთის ღამეები": „შაირი ერთადერთი, რომელიც აღმოჩნდა ჩემს ქაღალდებში. ვინ მონახავს ამ შაირის მსგავსს რუსეთის სიმბოლისტურ პოეზიაში? ვერავინ!".. აქვე გრიგოლ რობაქიძე საინტერესოდ განმარტავს ცნება „სიმბოლისტის" არსს: „როცა პოეზიაში სიმბოლო – ეს წყაროსთვალი შემოქმედებისა – მილევის, ამოშრეტის გზაზეა მიმდგარი რომელიმე ლიტერატურაში, მაშინ ვინმე მგზნებარე მგოსანი ცდილობს: „გააღვიძოს" სიმბოლო, მისცეს მას სიცოცხლის ძალა, ცდა ყოველთვის „კურსივით" გიხდება: ხაზგასმით. აი ასეთი ხაზგასმა პოეზიაში მეთოდიურ გაყვანილი, ნიუანსს ავლებს „სიმბოლისტურ განსხვავებისათვის „სიმბოლურისაგან, ამ შემთხვევაში მოუძლურებულისაგან"... „სიახლე" „ძველს" ყოველთვის ამ ფსიქოლოგიური მომენტით ეომება: თითქო უკანასკნელი სრულიად „აღარ ვარგოდეს". ასე მოხდა საფრანგეთში, ასევე მოხდა რუსეთში, ასევე საქართველოში. როცა „ომი" გათავდა – დააკვირდით ამას – „ახალის" გამყვანნი მაინც და მაინც აღარ გამოდევნებიან „სიმბოლისტურობას" (გრ. რობაქიძე, კრებული, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია", თბილისი, 1996, გვ. 78-79).

კვლავ ზემოთ თქმულს მივუბრუნდები, სახელდობრ, ვალერიან გაფრინდაშვილის თეზას „ახალი პოეტიკა": „ახალი დროის მწერლები და პოეტები არამარტო სწერენ, არამედ ქმნიან თავისი პიროვნების ლეგენდას... პოეტის შემდეგ მის თხზულებათა გარდა რჩება მისი დიდი მოელვარე სახელი. ჩვენ – ცისფერყანწელებმა აღმოვაჩინეთ ეს სეკრეტი: სარგებლობა ამ სახელებით, როგორც მაგიური სიტყვებით. ჩვენ შეგვყავს პიროვნება პოეზიაში, როგორც პოეტური სახე... ლირიკა არ სწერს ტრაქტატებს შექსპირის გმირებზე, – ის მოიპატიჟებს მათ, როგორც აქტიორებს თავის დაუსრულებელ მასკარადში... აი, „ცისფერი ყანწების" პოეტიკის ერთი დებულება. მაგალითად, ჩვენ ვწერთ რომელიმე პოეტის პორტრეტს: მისი ბიოგრაფიის მიხედვით ჩვენ ვიძლევით ამ პიროვნების სატილიზაციას, როგორც ნიმუშზე..."

ნათქვამის კიდევ უფრო ნათელსაყოფად მინდა მკითხველს შევთავაზო სანდრო ცირეკიძის პორტრეტი „ვალერიან გაფრინდაშვილი".

„ქუთაისის ქუჩები ინაზებიან აკაკის ნელი სიარულით. ბალახვანში დალია სული მამია გურიელმა... ყოველთვის ცხოვრობდნენ პოეტები იმერეთის ქალაქში...

ხოლო ბალახვანში ახლაც ცხოვრობს ახალგაზრდა პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი, რომლის „დაისების" კრებულის ერთ-ერთ კამარას „ცისფერი ყანწების კარუსელი" ჰკრავს და დროდადრო სასურველ ბარათებსაც ღებულობს აღნიშნულ მისამართზე – ქუთაისი, ბალახოვანის ქუჩა 9. კონვერტს ხან გრიგოლ რობაქიძის ლამაზი წარწერა ამშვენებს, ხან ალი არსენიშვილის, ხან კოლაუ ნადირაძის...

„ცისფერი ყანწების" ისტორია და მისი ტრადიციები დარჩა უმთავრესად აქ... – განაგრძობს სანდრო ცირეკიძე, – დასავლეთის ფარდას დაისით გაწითლებულს აფანტასტებს ზურმუხტის ჩარჩო ქუთაისში.

ვალერიან გაფრინდაშვილი – პოეზიის დიდი ცერემონი მეისტერი, – დიდი ხიბლით „ხატავს" სანდრო ცირეკიძე უფროსი მეგობარი პოეტის პორტრეტს, – ამ ფონზეა ამართული დირიჟორის ჯადოსნურ ჯოხით და დაისის ცეცხლის ფარდაზე რიგრიგად გამოჰყავს ფეერიული ფიგურები. დაისის ფარდა თეატრია და ქიმერები – აქტიორები. ნაცნობი და უცნაური სახეები ქანაობენ კარუსელზე. ირევიან საღამოები. იხლართებიან შლეიფები და თითქოს დაისის ფარდით გაშლილია ჰამლეტის მოსახურავი."

**ციური ხეთერელი**



● მარცხნიდან: ვალერიანის დისშვილი ქეთო კანდელაკი, ნანა გაფრინდაშვილი, ირა ჭავჭავაძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და ნინო გაფრინდაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფიქრები სიკეთესა და ბოროტებაზე

## ქება და ძაგება

ჩვენ ყველა ამქვეყნად თითქოსდა ბაზარზე გამოფენილი საქონელი ვართ. ერთნი ჩვენს ფასს ზეცამდე აღამაღლებენ, მეორენი კი გროშის ფასად მიიჩნევენ.

ქება და ძაგება, რომლებსაც ჩვენ ადამიანებისაგან ვღებულობთ, ჩვენს სულს ყოველთვის აორებენ: სულის ერთ ნახევარს უხარია ქება, ხოლო მეორე წუხს ძაგების გამო. რადგან საკუთარი შემეცნების საიდუმლო სიღრმეში ვგრძნობთ, რომ არც ქებითა და არც ძაგებით ჩვენს შესახებ სრულყოფილად არაფერია ნათქვამი. ფხიზლად უყურე გადამეტებულ ქებასაც და ძაგებასაც – რამეთუ შენ არცერთს არ იმსახურებ, – რათა ფრთების გარეშე არ აფრინდე ანდა სასოწარკვეთილების უფსკრულში არ ჩავარდე.

## სიცარიელე და სიღატაკე

რაც მეტია უღმერთო სიმდიდრე, მით მეტია სიღატაკე. რაც მეტია უღმერთო ცოდნა, მით მეტია სიცარიელე.

მხოლოდ ღმერთი აძლევს ადამიანს სიმდიდრესა და სიბრძნეს. უღმერთო სამყარო ღატაკებსა და სულელებს შობს.

## ჰორიზონტი

რაც უფრო ვიწროა ჰორიზონტი, მით მეტია მღელვარება.

რაც უფრო ფართოა ჰორიზონტი, მით ნაკლებია მღელვარება.

რაც უფრო ვიწროა ჰორიზონტი, მით მეტია წარმოდგენა საკუთარ თავზე.

რაც უფრო ფართოა ჰორიზონტი, მით უფრო ნაკლებია წარმოდგენა საკუთარ თავზე.

თუკი ჭის ქედმაღალი გომბეშო ოკეანის ნაპირას აღმოჩნდებოდა, იგი თავისი ქედმაღლობისაგან განიკურნებოდა.

## ნუ ენდობი ბედნიერებას

თუ მდიდარი ხარ, იფიქრე იმაზე, შეძლებ თუ არა სიღარიბის ღირსეულად გადატანას.

თუ ბედნიერი ხარ, წარმოიდგინე, როგორ შეხვდე ღირსეულად უბედურებას.

როდესაც ადამიანები გაქებენ, იფიქრე, შეძლებ თუ არა, ღირსეულად გადაიტანო ძაგება.

და მთელი ცხოვრების მანძილზე იფიქრე, როგორ შეხვდე ღირსეულად სიკვდილს.

## ჟანგიანი რკინა

ნუ იდარდებ, რომ უფალმა შენზე ავადმყოფობა დაუშვა. გაიხსენე, რომ მან უფრო მძიმე ავადმყოფობანი დაუშვა შენზე უკეთეს ადამიანებზე.

წარმოიდგინე მჭედლის მიერ მივიწყებული რკინის ნაჭერი, რომელიც წლების განმავლობაში სამჭედლოს კუთხეში დევს. ბოლოს და ბოლოს, რკინა მოსთხოვს მჭედელს, რომ იგი გამოიყენოს. მაშინ მჭედელი სწრაფად აიღებს და ცეცხლში ჩააგდებს მას; როდესაც იგი გალღვება, გრდემლზე დადებს. განა რკინა იდარდებს?

ასევე შენი ავადმყოფობაც სასიხარულოა და არა სამწუხარო. შენ ხომ ლოცულობდი, რომ ღმერთმა უკეთესი გაგხადოს? და აი, მან, როგორც მჭედელმა რკინას, ხელი მოგკიდა დასამუშავებლად და დაიწყო შენი გამოწრთობა და გამოჭედვა. უფალმა შენი დამუშავება დაიწყო! გიხაროდეს, მჭედლის მიერ დავიწყებულო დაჟანგებულო რკინავ!

## მართლის სიძულვილი

ადამიანს სძულს ის, ვის წინაშეც იგი შემცოდეა; თავიდან ეშინია, შემდეგ კი სძულს. როდესაც ადამიანი თავისი მეგობრის წინაშე შესცოდავს, მის წინაშე განიცდის შიშს, რომელიც შემდგომ სიძულვილში გადაიზრდება; სიძულვილი კი აბრმავებს.

ადამიანს ეშინია იმისი, ვინც მისი ცოდვები უწყის, შიშს კი სიძულვილი მოსდევს.

როდესაც ადამიანმა იცის, რომ მისი ცოდვა ვინმესთვის ცნობილია, მისი სული შიშით ივსება, რომელიც მალე სიძულვილში გადაიზრდება; სიძულვილი კი აბრმავებს.

იგივე ხდება იმ ადამიანის სულში, რომელმაც იცის თავისი ცოდვა ღვთის წინაშე, იცის ისიც, რომ ღვთისთვის ის ცნობილია. მაშინ ადამიანის სულს იპყრობს ღვითის შიში, რომელიც სიძულვილში გადაიზრდება; ამისგან კი ადამიანის სული ბრმავდება.

ადამიანის მიმართ სიძულვილით გამსჭვალული კაცი მკვლელობას ჩაიფიქრებს. რამდენადაც ღვთის მოკვლა შეუძლებელია, მისდამი სიძულვილით დაბრმავებული ადამიანი მკვლელობის მაგივრად იმასღა მოიფიქრებს, რომ თავს მის თანასწორად თვლის – უარყოფს ღმერთს, რაც ფაქტობრივად, თვითმკვლელობის ტოლფასია.

**წმინდა ნიკოლოზ სერბი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რამდენად ერთგული ბრძანდებით

ა) 2 ქულა; ბ) 1 ქულა; გ) 0 ქულა

**1. ბავშვობისას**
ა) ჩვეულებისამებრ ზაზუნასავით გეძინათ
ბ) მხოლოდ სინათლეში იძინებდით
გ) ძილის წინ საწოლის ქვეშ იხედებოდით

**2. პროფესია აირჩიეთ**
ა) მოწოდებით
ბ) მშობლებისათვის სიამოვნების მისანიჭებლად
გ) გარემოებათა დამთხვევის გამო.

**3. არჩევნების დროს ხმას აძლევთ**
ა) „იდეალებს“
ბ) „პიროვნებას“
გ) არჩევნებზე არ დადიხართ

**4. ხელოვნების სფეროში გინდოდათ გამხდარიყავით**
ა) მუსიკოსი
ბ) მწერალი
გ) მსახიობი.

**5. თუ კანონის გვერდის ავლით იაფი მუნიციპალური ბინის ხელში ჩაგდებას შემოგთავაზებენ.**
ა) უარს იტყვით, რადგან სხვებს მეტად სჭირდებათ.
ბ) დათანხმდებით, რადგან ვინც მას მიიღებს, თქვენზე მეტად მაინც არ იმსახურებს.
გ) ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე დათანხმდებით, როგორ შეიძლება ასეთი შანსის ხელიდან გაშვება.

**6. ძველებურად ხვდებით**
ა) სკოლის მეგობრებს
ბ) ყოფილ კოლეგებს
გ) ყოფილ შეყვარებულებს (მეუღლეებს)

**7. დედას ურეკავთ**
ა) თითქმის ყოველდღე
ბ) სულ ცოტა, კვირაში ერთხელ მაინც
გ) ჩვეულებისამებრ, თვეში ერთხელ

**8. ლოცულობთ**
ა) ხშირად
ბ) ზოგჯერ
გ) არასოდეს

**9. სექსისგან თავშეკავების პერიოდები გქონდათ**
ა) 6 თვეზე მეტი ხნის მანძილზე
ბ) სულ ცოტა 3 თვე
გ) 1 თვე.

**10. ყველაზე მეტად გახასიათებთ**
ა) თავდაჯერებულობა
ბ) ინტუიცია
გ) ეჭვები

**11. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში ეჭვიანობა თქვენთვის მეტწილად**
ა) თამაშია
ბ) პიკანტური სანელებელი
გ) საწამლავი

**12. საყვარელ ადამიანთან სეირნობისას ხვდებით მისთვის აშკარად კარგად ნაცნობ საპირისპირო სქესის პიროვნებას. იგი არ გიცნობთ, თქვენ**
ა) მოთმინებით იცდით განზე
ბ) უხერხულად გრძნობთ თავს და შეუმჩნევლად ქრებით
გ) დიდხანს არ ყოყმანობთ და თავად ეცნობით

**13. განსაკუთრებით ემადლიერებით მშობლებს იმისათვის, რომ მათ გასწავლეს**
ა) გარკვეული ზნეობრივი ფასეულობების პატივისცემა
ბ) კარგად მუშაობა
გ) თავის ღირსეულად დაჭერა

**14. ეს უკვე ღალატია**
ა) სხვაზე ოცნება
ბ) სხვისი სურვილი
გ) სექსის დროს სხვაზე ფიქრი

**15. სურვილი გიჩნდებათ საყვარელ ადამიანს სილა გააწნათ იმის გამო, რომ დაგადანაშაულათ**
ა) გულმავიწყობაში
ბ) ეგოიზმში
გ) ტყუილში

**16. პირველი სიყვარულის გახსენებისას**
ა) ყოველთვის ნოსტალგიის გრძნობა გიჩნდებათ
ბ) ვერ იხსენებთ განშორების მიზეზებს
გ) წესიერად ვერ იხსენებთ მის სახეს

**17. თქვენსა და პარტნიორის ურთიერთობაში კრიზისულად გესახებათ სიტუაცია, როცა**
ა) არ შეგიძლიათ ერთმანეთთან გულახდილი საუბარი
ბ) თქვენი ცხოვრება უინტერესო ხდება
გ) სულ უფრო და უფრო იშვიათად ეძლევით სექსს

**18. თქვენს გულსა და ცხოვრებაში იჭრება პიროვნება, ვისი შვილიც დიდად არ გესიმპათიურებათ**
ა) ეს ხელს ვერ შეგიშლით ნამდვილი ოჯახის შექმნაში
ბ) შეეცდებით ამ ბავშვის შეყვარებას
გ) მოთმინებას მოიკრებთ

**19. იდეალური პიროვნება თქვენთვის ის არის, ვინც მძიმე წუთებში ერთგულებას იჩენს**
ა) პრინციპებისადმი
ბ) გრძნობებისადმი
გ) მოვალეობებისადმი

**20. კაცმა რომ თქვას, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე**
ა) არც ისე შეიცვალეთ
ბ) ალბათ უკეთესიც კი გახდით
გ) სულ სხვა ადამიანად იქეცით

## შედეგები:

**0-დან 13 ქულამდე:** თქვენს ურთიერთობებში, აზრებსა და გრძნობებში დიდი მერყეობა შეიმჩნევა. არ გახასიათებთ მიცემული სიტყვის, ჩვეულებებისა და რწმენის ერთგულება (განსაკუთრებით, თუ ქულათა რიცხვი 0-ია). ხშირად იცვლით აზრს და იოლად ემორჩილებით საკუთარ სურვილებს. პირადი გამორჩენისა და სიმშვიდის შენარჩუნების მიზნით ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეგიძლიათ უღალატოთ პრინციპებს. ჭეშმარიტება თქვენთვის ყოველთვის შეფარდებითია და გწამთ, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, ტყუილი კი ჩვეულებად გექცათ. სიყვარულში პოლიგამიისკენ იხრებით, რადგან ერთ ადამიანთან ბედნიერების მიღწევა გიჭირთ. თქვენს მიერ მიცემულ ერთგულების ფიცს ძალა მხოლოდ წარმოთქმის მომენტში აქვს. ამ წუთებში სრულიად გულწრფელი ბრძანდებით, მაგრამ როგორც კი კარს გაიხურავთ...

**14-დან 27 ქულამდე:** პრინციპში, მოღალატე არ გქვიათ, თუმცა ხანდახან სიტყვასაც ტეხთ და, თუ გჭირდებათ, ტყუილსაც ამბობთ, მაგრამ წესიერება, პატიოსნება და გულწრფელობა მაინც თქვენს იდეალად რჩება. პრინციპულ საკითხებში მზად ხართ მოქნილობა გამოიჩინოთ, რაღაცაზე თვალი დახუჭოთ, თუკი ამას თქვენთვის სარგებელი მოაქვს ან სხვათა მიმართ მოითხოვს ტაქტი. ამის მიუხედავად, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზე, რომ წუთიერ მოგებას მსხვერპლად შესწირავთ ყველაფერს, რისიც გწამთ, სიყვარულში თქვენი კრედო რომანტიკაა. დაქორწინებული ბრძანდებით თუ არა, მნიშვნელობა არა აქვს, პარტნიორისაგან მხოლოდ ერთგულებას მოითხოვთ. შესაძლოა, რაღაც მიზეზთა გამო, თავად უღალატოთ მას, რაც სულ არ ნიშნავს ღალატის ცხოვრების წესად გადაქცევას. თქვენი შინაგანი ბუნება ვერ ეგუება საკუთარ და საყვარელი ადამიანის ორგულობას.

**28-დან 40 ქულამდე:** ეს უკვე ერთგულება კი არა, უკიდურესი კონსერვატიზმია. მორალურ სფეროში სინდისის ზედმეტი ქენჯნისაკენ იხრებით. ნებისმიერი პირობა და შეთანხმება თქვენთვის წმიდათა-წმიდაა. მარტო ფიქრიც კი იმაზე, რომ შესაძლოა სიტყვა გატეხოთ, დანაშაულის გრძნობას გიღვივებთ, ხოლო გარეშე პირთაგან სულ უმცირესი შეცდომა და წინდაუხედაობა გულს გტკენთ. მთელი არსით, ბუნებით, ცხოვრებისეული პრინციპების, რწმენის, ჩვეულებების ერთგული რჩებით. ზოგჯერ თქვენი სიჯიუტე ყოველგვარ ზღვარს გადადის, მაგრამ უდავო პატიოსნება და წესიერება ყველაფერს აბათილებს. თქვენგან ღალატი გამორიცხულია. გადაწყვეტილების მიღება, ხელშეკრულების დადება ხშირად გიჭირთ, მაგრამ თუ დათანხმდით, თქვენზე დაყრდნობა შეიძლება. სიყვარულში სუფთა, მყარი, კატეგორიული და ხშირად საოცრად ეჭვიანი ხართ. ოცნებობთ განუყოფელ, აბსოლუტურ, ერთადერთ და მარადიულ სიყვარულზე. მაგრამ ცხოვრება ხანგრძლივია, სხეული – სუსტი, ადამიანები კი იცვლებიან. გრძნობებმა და თავად დიდმა სიყვარულმა შესაძლოა მოლოდინი გაგიცრუოთ.



# ალერგია და მისი პროფილაქტიკა

**XXI საუკუნეში მსოფლიოში ალერგიულმა დაავადებებმა მნიშვნელოვნად იმატა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციების ძალისხმევით წელს, 8 ივლისს პირველად აღინიშნა ალერგიის მსოფლიო დღე. ამ დღისადმი მიძღვნილი სემინარი საქართველოშიც გაიმართა.**

**ღონისძიებას ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი მაია გოთუა ხელმძღვანელობდა, რომელიც ალერგიის დაავადებაზე და მის პროფილაქტიკაზე გვესაუბრა.**



– ქალბატონო მაია, როგორ შეაფასებთ თქვენს განვლილ გზას? პროფესია დედის, დამსახურებული პედიატრის, ქალბატონ ლეილა მხეიძის ზეგავლენით ხომ არ აირჩიეთ?

– მიჭირს თქმა, ცხოვრების ამ ეტაპზე რამდენად შევძელი საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება. ადამიანი ყოველთვის უკმაყოფილოა მიღწეულით, თვლის, რომ მეტის გაკეთება შეუძლია. ასე თუ ისე, დიდი, თავდადებული შრომისა და ღვთის მადლის გარეშე რაიმეს მიღწევა შეუძლებელია.

ბავშვობიდან ოჯახში ვხედავდი, რა სიკეთე მოაქვს ექიმის შრომას. პროფესიულ არჩევანზე მხოლოდ დედას არ მოუხდენია ზეგავლენა. მამიდებიც ექიმები მყავდნენ.

ბუნებით კაცთმოყვარე ვარ. მიყვარს ხალხთან ურთიერთობა. მედიცინაც ისეთი დარგია, რომელიც ბევრ ადამიანთან გაახლოებს. მიყვარდა ღამით მორიგეობა როცა ძალიან დიდი პასუხისმგებლობა გეკისრება და როცა შენს სიტყვას, ქმედებას განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. ახლა აღარ მიწევს ღამით მორიგეობა, მაგრამ მობილური ტელეფონი მუდმივად ჩართული მაქვს, ვცდილობ, დავეხმარო ავადმყოფებს.

– რა დაავადებაა ალერგია და რას გვეტყვით მის გამომწვევ მიზეზებზე, დაავადების განვითარებასა და პროფილაქტიკაზე?

– იგი XXI საუკუნის „შავ ჭირად" ითვლება. თითქმის ყოველ მესამე ადამიანს აქვს ალერგიული რეაქცია, იმატა ფსევდო-ალერგიული რეაქციის გამოვლინების შემთხვევებმაც. გახშირდა ანაფილაქსური შოკი (მედიკამენტის ან მწერის ნაკბენის შედეგად), ფატალური ასთმური შეტევა და სხვ.

ალერგია სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით ვითარდება და მისი მკურნალობა შესაბამისი მედიკამენტებით შეიძლება. მთავარია ზუსტი ალერგო-დიაგნოსტიკა და მკურნალობის რაციონალური შერჩევა. არსებობს გარკვეული წამლები, რომლებიც პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს ალერგია მძლავრობს, მსოფლიო სამედიცინო საზოგადოება ცდილობს, ახალ-ახალი მედიკამენტებით უზრუნველყოს ავადმყოფები. 8 ივლისს, „მეტეხში" ქართველი საზოგადოება სწორედ ალერგო-დიაგნოსტიკის მკურნალობისა და პროფილაქტიკის თანამედროვე საშუალებებს გაეცნო. ადამიანი თვითონვე უნდა მოერიდოს ალერგიის გამომწვევ გარემოს და ეცადოს, მიიღოს ის ცოდნა, რაც თავის დაცვაში დაეხმარება.

– უფრო დიდი რისკის ჯგუფს ხომ არ წარმოადგენენ დედები და ბავშვები?

– დედის ალერგიულობა უფრო საგანგაშოა, ვინაიდან ნაყოფი დედის ორგანიზმში ვითარდება. ნაყოფის მდგომარეობა კიდევ უფრო საშიშია მაშინ, თუ ორივე მშობელს აქვს ამ დაავადებისადმი მიდრეკილება.

ადრეულ ასაკში ალერგიული რეაქციები უმეტესად ბავშვის კანზე ვლინდება. შემდგომ იწყება შიდა სასუნთქი გზების ალერგიები, რაც არც თუ იშვიათად გადაიქცევა ასთმად.

– რას გვეტყვით სეზონურ ალერგიებზე და საერთოდ, ალერგიის ყველაზე გავრცელებულ ფორმებზე?

– სეზონურად ითვლება მცენარეული ალერგია. იგი გაზაფხულიდან იწყება და მიზეზი ხე-მცენარეების ყვავილების მტვერია.

მცენარეული მტვერით გამოწვეულ ალერგიას პოლინოზი ჰქვია. ის შეიძლება გამოვლინდეს ალერგიული სურდოსა და კონიუქტივიტის, ასთმური შეტევების ან კანზე გამონაყარის სახით.

ყველაზე რთულია ზაფხულის პერიოდი, როდესაც მოსახლეობა ბუნების წიაღში გადის. მას, ვისაც მცენარეული ალერგია აქვს, სიმპტომები უმძაფრდება მზიან და ქარიან ამინდში. წვიმის დროს კი, პირიქით, უკეთ გრძნობს თავს.

ძალიან ხშირია მწერის ნაკბენით გამოწვეული ალერგია, ფუტკრის ან კრაზანას ნაკბენმა შოკიც შეიძლება გამოიწვიოს. ამიტომ ყველას, ვისაც აქვს მწერის ნაკბენის მიმართ ალერგია, ვურჩევთ ზაფხულში მოერიდონ კაშკაშა შეფერილობის ტანსაცმლის ჩაცმას და სიფრთხილით მიირთვან ტკბილეული ბუნებაში.

შინაური ცხოველების – კატის, ძაღლის ეპიდერმული ალერგენები (ბეწვი, ქერტლი) ხშირადაა ალერგიის გამომწვევი მიზეზი. აღსანიშნავია, რომ ეს ალერგენები ღია სივრცეში ნაკლებად მოქმედებს, ბინის პირობებში კი შეიძლება დიდი სიმძლავრით გამოვლინდეს, როგორც დერმატიტის, ისე რინოკონიუნქტივიტის და ასთმური შეტევის სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის შემთხვევა, როდესაც ადამიანს ალერგია უვითარდება მტვრის ტკიპების მიმართ. ოთახის მტვერზე ალერგიული რეაქციის შემთხვევაში პაციენტს უტარდება იმუნოთერაპია. ეს მეთოდი საკმაოდ გავრცელებულია და უმრავლეს შემთხვევაში პაციენტის განკურნებით მთავრდება. მკურნალობა მინიმუმ 3 წელს მოიცავს. ცოტა ხნის წინ მიუნხენში ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიის კონგრესს ვესწრებოდი, სადაც სწორედ მკურნალობის გზით ალერგიის დაძლევის ხერხებზე მსჯელობდნენ, მაგრამ ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და მკურნალობის ეფექტურობაც ბევრად არის დამოკიდებული დაავადების ფორმასა და მკურნალობის ხანგრძლივობაზე.

– და ბოლოს, რას გვეტყვით ქართველი ალერგოლოგების უცხოელ კოლეგებთან კონტაქტებზე, რა ერთობლივი პროექტები ხორციელდება?

– ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრს ბევრი საერთაშორისო კავშირი აქვს. სამეცნიერო ფუნდამენტურ კვლევას აშშ-ს მინესოტის უნივერსიტეტის ალერგოლოგიის განყოფილებასთან ერთად ვახორციელებთ. გერმანიის ულმის უნივერსიტეტთან ერთად ეპიდემიოლოგიურ გამოკვლევებს ვაწარმოებთ. კავშირი გვაქვს გერმანიის ცნობილ სადიაგნოსტიკო-ფარმაცევტულ კომპანიასთან, რომელიც გვამარაგებს თანამედროვე სადიაგნოსტიკო-სამკურნალო საშუალებებით. მნიშვნელოვანი პარტნიორია შვედეთი, რაც პროფესორ ამირან გამყრელიძის დამსახურება გახლავთ. მან ათი წლის წინ ერთ-ერთმა პირველმა გაიარა სტაჟირება შვედეთში და მას შემდეგ სხვა ქართველ ალერგოლოგებსაც გაუხსნა გზა.

თავად ვმონაწილეობ ალერგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ევროპის აკადემიის წამლისმიერი ალერგიის შემსწავლელ ჯგუფში და ამ მიმართულებით ახალ კვლევებს ვგეგმავ.

ესაუბრა **თამარ ნინიძე**

---

სასარგებლო რჩევები

# მწვანე აფთიაქი

1) ანემიის (სისხლნაკლებობის) შემთხვევაში მიიღეთ ნაყენი, რომელიც შემდეგნაირად მზადდება:

3 სუფრის კოვზი კრაზანა + 2 სუფრის კოვზი შეშრისკონას ყვავილები + 2 სუფრის კოვზი მაყვლის ფოთლები. ყველაფერი დააქუცმაცეთ, აურიეთ ერთმანეთში, დაასხით 3 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ შეფუთული 3 საათის განმავლობაში და გაფილტრეთ. მიიღეთ ცხლად 3-ჯერ დღეში.

2) თუ კუჭის წყლული გაწუხებთ, შეაგროვეთ ფიჭვის ფისი, მიეცით აბის ფორმა, გადაყლაპეთ დილით უზმოზე, ჭამამდე 2 საათით ადრე. კურსი 10 დღიანია.

3) შაკიკის დროს ქინძი დანაყეთ, დაწურეთ და ჩაიწვეთეთ ცხვირის ღრუში 5-5 წვეთი დღეში სამჯერ.

### ფუტკარი, როგორც აფთიაქარი...

კარგადაა ცნობილი თაფლის სამკურნალო თვისებები. მოგეხსენებათ შესაძლებელია სხვადასხვა სამკურნალო ნარევის დამზადება. გთავაზობთ რამდენიმე რეცეპტს:

1) აიღეთ 100 გრ. ალოეს წვენი, 500 გრ. დაფხვნილი ნიგოზი, 300 გრ. თაფლი, 3-4 ლიმონის წვენი. მიიღეთ თითო დესერტის კოვზი 3-ჯერ დღეში ჭამამდე ნახევარი საათით ადრე.

გაითვალისწინეთ, რომ ალოე უნდა იყოს არანაკლებ ორი წლის. წვენის მისაღებად მოტეხილი ქვედა ფოთლები წვრილად დაჭერით და გაწურეთ ორმაგი დოლბანდით ან წვენსაწურით.

2) აიღეთ 500 გრ. ალოეს ფოთლები, 100 გრ. ფარსმანდუკი, 500 გრ. მაისის თაფლი და 0, 5 ლ. თეთრი ღვინო.

ფარსმანდუკი დაჭერით წვრილად, დაასხით 0,5 ლ. მდუღარე და ხარშეთ 30 წუთი. ერთი საათის შემდეგ გაწურეთ. ალოეს ფოთლები გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, კარგად აურიეთ ყველა კომპონენტი და შეინახეთ თავდახურულ მინის ჭურჭელში ბნელ და გრილ ადგილას 10 დღის განმავლობაში.

პირველი ხუთი დღის განმავლობაში ყოველ ერთ საათში მიიღეთ 1 ჩაის კოვზი, შემდეგ ყოველ სამ საათში ერთი სუფრის კოვზი.

მკურნალობის კურსი შეიძლება განმეორდეს.

### გრიპი, გაციება

1) ასკილის მშრალი ნაყოფი დანაყეთ, აიღეთ 5 სუფრის კოვზი, დაასხით, 1 ლ. ცივი წყალი, ადუღეთ 10 წუთი, შემდეგ 8-10 საათი გააჩერეთ შეფუთული, გაწურეთ, დალევა დაიწყეთ დილიდან – 3-4 საათში თითო ჭიქა მთელი დღის განმავლობაში. სასურველია მთელი დღე არაფერი ჭამოთ. გრიპის დროს ნაყენი უნდა მიიღოთ 1 კვირის განმავლობაში.

2) ცაცხვის ყვავილები + ჟოლოს ნაყოფი (1:1), დაასხით 2 ჭიქა მდუღარე წყალი, ადუღეთ 5-10 წუთი, გაწურეთ. დალიეთ საღამოს, ძილის წინ, ერთხელ, 1-2 ჭიქა.



### თავის ტკივილი

1 სუფრის კოვზ მშრალ თავშავას დაასხით 1/2 ლიტრი მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30 წუთი შეფუთული, გაწურეთ. დალიეთ 1/2 – 1 ჭიქა 2-3-ჯერ დღეში.

### დიაბეტი

აიღეთ 1 სუფრის კოვზი მოცვის მშრალი დაქუცმაცებული ფოთლები, დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 30-40 წუთი შეფუთული, გაწურეთ, დალიეთ თითო ჭიქა დღეში 3-ჯერ. კარგად მოქმედებს დიაბეტის საწყის სტადიაზე.

### ჭრილობები, ნაკაწრები, წყლულები

1) ნედლი ჭინჭრისაგან გამოწურეთ წვენი, წაისვით ჭრილობაზე, შემდეგ დაასველეთ წვენში ნაჭერი და იმით შეიხვიეთ ჭრილობა.

2) დაიფინეთ ჭრილობაზე მრავალძარღვას ფოთოლი ან წაისვით წვენი, გამოიცვალეთ საფენი 3-4 საათში.

### მარილები

1 კგ. ქიშმიში + 1 კგ. სტაფილო, დაასხით 14 ჭიქა წყალი, და დაადუღეთ 7 ჭიქამდე (ე .ი. გაანახევრეთ), გაწურეთ მარლაში, დალიეთ დღეში 3-ჯერ ღვინის ჭიქით.

### რადიკულიტი

შავი ბოლოკი გაასუფთავეთ, გახეხეთ, მოათავსეთ ორ ნაჭერს შორის, დაიდეთ მტკივან ადგილზე, ზემოდან დაიფარეთ პერგამენტის ქაღალდი და შეიხვიეთ თბილად, გააჩერეთ ეს კომპრესი, სანამ შეძლებთ. ასეთი კომპრესის გაკეთება რამდენჯერმე საკმარისია.

### ხველას მოგიხსნით შემდეგი ნარევი:

1) 1 ჩაის კოვზი მშრალი მრავალძარღვა + 1 ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ 2 საათის განმავლობაში, გაწურეთ. მიიღეთ 1 სუფრის კოვზი 4-ჯერ დღეში 20 წუთით ადრე ჭამამდე და ხველების შეტევის დროს.

2) 3 სუფრის კოვზი მრავალძარღვა და 3-4 სუფრის კოვზი თაფლი მოათავსეთ დახურულ ჭურჭელში, დადგით თბილ ღუმელზე 4 საათის განმავლობაში. მიიღეთ 1 ჩაის კოვზი 4-ჯერ დღეში, ჭამამდე 30 წთ-ით ადრე.

3) 1 სუფრის კოვზი ანწლის გამშრალი ყვავილები + ნახევარი ჭიქა მდუღარე წყალი, გააჩერეთ შეფუთული 30-40 წუთი. დალიეთ საღამოს 1-2 ჭიქა, თბილი, თაფლთან ერთად. შეგიძლიათ დაამატოთ რძეც.

სასარგებლო რჩევები

# ედიტ პიაფი

ის დაიბადა პაწია,
ნამცეცა ბეღურასავით,
ფრთა გაშალა და იცხოვრა
ნამცეცა ბეღურასავით,
ჩაკვდება კიდეც პაწია,
ნამცეცა ბეღურასავით!

ამ კუპლეტებს გაცრეცილ პალტოში გამოწყობილი ფერმკრთალი გოგონა პარიზის ქუჩებში მღეროდა. ქალაქურ არგოზე ბეღურა „პიაფს“ ნიშნავდა და რა სიმაღლეზეც არ უნდა აეყვანა დიდებას პატარა მომღერალი ედიტ გასიონი, მთელი მსოფლიოსათვის იგი მაინც სამუდამოდ მსუბუქ ბეღურად დარჩებოდა, რომელიც ბრწყინვალე პარიზის ღატაკ გარეუბნებში გამოსაკვებად მოფრინდა.

წლების, სიმდიდრის, უამრავი თაყვანისმცემლის, პირფერობისა და საკუთარი ქედმაღლობის მიღმა გრძნობათა უშუალობა და აღქმის სიხასხასე შეინარჩუნა, რაც მხოლოდ ქუჩაში გაზრდილი ღატაკებისა და იმ ბავშვებისთვის იყო დამახასიათებელი, ვინც ყოველ წუთს არსებობისთვის იბრძოდა.

ედიტ პიაფი 1915 წელს დაიბადა ქუჩაში და ყოველთვის სიამოვნებით ყვებოდა, თუ როგორ ვერ მიაღწია დედამ საავადმყოფომდე და პოლიციელის ლაბადაზე გააჩინა. პიაფის პირველ სცენადაც ტროტუარი იქცა: მამა ლუი გასიონი მოხეტიალე აკრობატი გახლდათ და ექვსი წლის ედიტის მოვალეობა ფულადი ჯილდოს შეგროვება იყო.

ერთხელ, მორიგი კონცერტის დროს გოგონამ „მარსელიოზა“ წაიმღერა. მსმენელი იმდენად აღაფრთოვანა პაწიას სიმღერამ, რომ ქუდში წვიმასავით აჩხრიალდა მონეტები. იმ დღიდან მოხეტიალე ცირკის რეპერტუარი არატრადიციული ჟანრით – სიმღერით შეივსო.

მანამდე ედიტი დედამისმა აღსაზრდელად ლოთ მშობლებს მიაბარა. როცა 1917 წელს ლუი გასიონი ფრონტიდან შინ დაბრუნდა, საშინელი სანახაობა დახვდა: გაჩხინკული, დაძონძილი, ტურტლიანი გოგონა გადატანილი კონიუქტივიტისაგან დაბრმავებულიყო. სწორედ მაშინ მიუყვანა ლუიმ ქალიშვილი საკუთარ დედას, რომელსაც საროსკიპო ჰქონდა გახსნილი. „ლამაზმანები“ თავს ევლებოდნენ პაწიას და ედიტმა ცხოვრებაში პირველად მაშინ იგრძნო გულწრფელი ალერსი და სიყვარული. ამბობენ, რომ სწორედ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ლოცვისა და ბებიის მიერ ეკლესიისთვის შეწირული ათი ათასი ფრანკის წყალობით 1921 წლის 25 აგვისტოს, წმ. ტერეზას ხსენების დღეს ედიტს სასწაულებრივად აეხილა თვალები.

როცა 15 წლის გახდა, გოგონამ დამოუკიდებლად ცხოვრება გადაწყვიტა. სასტუმროში ნომერი იქირავა და ქუჩაში სიმღერა დაიწყო. ცხოვრების ამ ეტაპის შესახებ თხრობას იგი ყოველთვის 1935 წლის ოქტომბრის პირქუში დღის გახსენებით იწყებდა, როცა იმ ადამიანს შეხვდა, ვინაც ძირფესვიანად შეცვალა მთელი მისი ცხოვრება. იგი კაბარეს მეპატრონე ლუი ლეპლე გახლდათ, რომელმაც ქუჩის პატარა ჭუჭყიან მომღერალში უდიდესი ტალანტი დაინახა. ლუიმ ნამდვილ სცენაზე გამოიყვანა ედიტი და აჩუქა სახელი, რომელიც მალე მთელმა მსოფლიომ აღიარა – პიაფი. ლეპლე ყოველთვის ასე მოძღვრავდა გოგონას: „არასოდეს დაუთმო მაყურებელს! უდიდესი საიდუმლო საკუთარ „მედ“ დარჩენაშია. არ უღალატო საკუთარ თავს!“ და მა-



რთლაც, ტკივილებისა და სასოწარკვეთილებისაგან გათანგულ ქალს ცხოვრებაში ბევრჯერ გახსენებია თავისი მფარველის სიტყვები, რომელმაც თითქოს გალიის კარი გაუხსნა „თავის ბეღურას“.

მძიმე დღეები მაშინ დაუდგა პიაფს, როცა მამილო ლეპლე გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს. მოშურნეები სიამოვნებით იფშვნეტდნენ ხელებს და იმედოვნებდნენ, რომ ქუჩის მომღერალი ისევ ქუჩაში ამოჰყოფდა თავს, მაგრამ ედიტს რკინის ნებისყოფა აღმოაჩნდა. იგი ჯიქურ გადადიოდა შეტევაზე. უშუალო, ადამიანების მოყვარული არასოდეს რჩებოდა მარტო. თავისი სიმღერების ტექსტის ავტორთან რაიმონ ასოსთან ნაცნობობამ დიდი გავლენა მოახდინა მისი, როგორც პიროვნებისა და მომღერლის ჩამოყალიბებაზე.

განათლებული, პედანტური, ჭკვიანი რაიმონის მიზანს „საძაგელი იხვის ჭუჭულის“ მშვენიერ გედად გადაქცევა წარმოადგენდა. მასთან შეხვედრამდე ედიტს მეზღვაურებთან, ჯარისკაცებთან და პორტის მუშებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა. სწორედ ერთ-ერთი მათგანისგან შეეძინა ჯერ კიდევ ნორჩ პიაფს გოგონა, რომელიც მალევე დაეღუპა. რაიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა







ნმა პროფესიული თავმოყვარეობისკენ უბიძგა ქალს: „როგორ აიძულებ სხვას რაიმეს გაგებას, როცა თავადაც არ გესმის საკუთარი სიმღერების ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა?“

სწორედ ასომ გააცნო მომღერალს კომპოზიტორი მარგერიტ მონო და ამ სამეულმა შემდგომში უამრავი სასიმღერო შედევრი აჩუქა საზოგადოებას. მარგერიტმა უზარმაზარი როლი შეასრულა ედიტის ცხოვრებაში, ასწავლა რომ მუსიკა მარტო მელოდია არაა და ისეთივე გრძნობის გადმოცემა შეუძლია, როგორც სიტყვებს. ედიტი სიცოცხლის ბოლომდე აღნიშნავდა: „ყველაზე დიდებული საჩუქარი, რომელიც რაიმონმა მომიძღვნა, გიტია!“

ასოს სახელთანაა დაკავშირებული მაყურებლის წინაშე ედიტის პირველი უდიდესი და სერიოზული წარდგომა პარიზის ყველაზე სახელგანთქმულ მიუზიკლჰოლში „ABC“, რომელიც არნახული წარმატებით დასრულდა. კონცერტის მომდევნო დღეს პრესა ერთხმად აღნიშნავდა: „გუშინ საფრანგეთში, „ABC“-ს სცენაზე უდიდესი მომღერალი დაიბადა...

იმ საღამოს ედიტ პიაფს დიდებისკენ გაეხსნა გზა.

ასოს კი დაშორდა. დამოუკიდებელ ედიტს მობეზრდა „საბრალო კრავის“ როლის თამაში. თანაც არ შეეძლო ერთი მამაკაცის დიდხანს სიყვარული. ამბობენ, რომ ნამდვილი გრძნობით მას მხოლოდ სახელგანთქმული მოკრივე მარსელ სერდანი უყვარდა, რომელიც ავიაკატასტროფაში დაიღუპა, კიდევ თავისი ახალგაზრდა მეუღლე თეო სარაპო, ვის მკლავებშიც 1963 წელს დალია სული.

ედიტის ჰუმანურობა, გაჭირვებაში მყოფის დახმარების სურვილი მარტო სცენაზე კი არა, ყოველდღიურობაშიც აისახებოდა. იგი ერთადერთი მომღერალი გახლდათ, ვისაც ფაშისტურმა ხელისუფლებამ სამხედრო ტყვეთა ბანაკში კონცერტის ჩატარებასა და იქ მყოფ 120 ტყვესთან სურათის გადაღებაზე ვერ უთხრა უარი. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ პიაფმა თითოეული მათგანის სახე გაადიდა, ყალბი პირადობის მოწმობები დაამზადებინა და მორიგი კონცერტის დროს ორმაგძირიანი ჩემოდნით შეიტანა ბანაკში.

სწორედ პიაფს უმადლოდა თავის თავბრუდამხვევ წარმატებას სახელგათქმული შანსონიე ივ მონტანი. ედიტმა დაუყენა დამწყებ მომღერალსა და მსახიობს დიქცია, მოუგონა სცენური სახე, კრიტიკის ცეცხლში ატარებდა მის რეპერტუარს. სიყვარულს ხელი არ შეუშლია ქალისთვის, დაუნდობელი სიმკაცრე გამოეჩინა სატრფოსადმი. გავა წლები და მონტანი იტყვის, რომ ცხოვრებაში ყველაფერს ედიტ პიაფის წყალობით მიაღწია. ერთმანეთს, რასაკვირველია, დაშორდნენ. უკანასკნელად მათმა სახელმა ერთად მარსელ ბლისტენის ფილმის „უსახელო ვარსკვლავის“ აფიშაზე გაიელვა, რომელშიც პიაფმა მთავარი როლი შეასრულა.

მუსიკალური ტალანტის პარალელურად მომღერალი არაჩვეულებრივი დრამატული ნიჭითაც გახლდათ დაჯილდოებული. სახელგანთქმული ფრანგი დრამატურგი ჟან კოკტო, რომელმაც სპეციალურად პიაფისთვის დაწერა პიესა „უსულგულო მზეჭაბუკი“, და რომელშიც მომღერალი ერთ სიმღერასაც არ ასრულებდა, „უდიდესი ქუჩის გოგონას“ შესახებ წერდა: „შეხედეთ ამ ნამცეცა ქალს, რომელსაც ხელები ხვლიკს მიუგავს, შუბლი ბონაპარტს, თვალები უსინათლოს, როგორ იმღერებს?... როგორ ამოუშვებს ვიწრო მკერდიდან ღამის უდიდეს გოდებას? და აი, უკვე მღერის, უფრო ზუსტად, აპრილის ბულბულივით ცდილობს თავისი სიყვარულის სიმღერის შესრულებას. გსმენიათ ოდესმე, როგორ წვალობს ამ დროს ბულბული? ცდილობს, ფიქრობს... სული ეხუთება, წინ მიიწევს, უკან იხევს. მოულოდნელად პოულობს იმას, რასაც ეძებდა, სიმღერას იწყებს და... გვაოგნებს“.

მოამზადა
**მანანა იმესაშვილმა**



კარტოფილი ენერგიის არაჩვეულებრივი წყაროა და მრავალძვირფას ნივთიერებას შეიცავს: კალიუმის მარილებს, ფოსფორს, კალციუმს, **B1** და **C** ვიტამინებს. კარტოფილის წყალობით **C** ვიტამინის დღიური ნორმის ნახევარს ვიღებთ.

კარტოფილისაგან მომზადებული საკვები მინერალური ნივთიერებების მარაგის შევსებასაც უწყობს ხელს. ერთი ულუფა **1000** კალორიას შეიცავს.

გთავაზობთ კარტოფილის კერძების რამდენიმე რეცეპტს, რომელიც გარდა იმისა, რომ ძალიან გემრიელია, დაგეხმარებათ გათავისუფლდეთ ზედმეტი კილოგრამებისაგან.

# გემრიელად და სასარგებლოდ

*ანუ*

*როგორ გავთავისუფლდეთ ზედმეტი კილოგრამებისაგან!*

## კარტოფილი იტალიურად (ერთი ულუფა)

275 გრამი კარტოფილი დავჭრათ პატარა ნაჭრებად, დავუმატოთ წვრილად დაკეპილი თითო წითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა, ერთი თავი ხახვი და 1 ცალი მრგვლად დაჭრილი პამიდორი. ბოსტნეული 20 წუთის განმავლობაში, მოვშუშოთ ნახევარ ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთში და 50 მილილიტრ ბულიონში („გალინა ბლანკა"), შემდეგ დავუმატოთ მარილი, წიწაკა და ლიმონის წვენი. მზა კერძს მოვაყაროთ დაჭრილი ოხრახუში.

## კარტოფილი ხაჭოთი

200 გრამი კარტოფილი მოვხარშოთ კანიანად. წვრილად დავჭრათ თითო წითელი და მწვანე ბულგარული წიწაკა და მოვშუშოთ ნახევარი ჩაის კოვზ ზეითუნის ზეთში. დავუმატოთ 50 მილილიტრი წყალი და 10 წუთი კიდევ გავაჩეროთ ცეცხლზე. ამ მასას დავუმატოთ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, 125 გრამი ხაჭო, მარილი და წიწაკა. გაფცქვნილი კარტოფილი ხაჭოს კრემთან ერთად ლამაზად მოვათავსოთ თეფშზე.





## კარტოფილის მობრაწულა

200 გრამი კარტოფილი მოვხარშოთ კანიანად. 250 გრამი ისპანახი მოვშუშოთ 1 ჩაის კოვზ ზეთში. გაფცქვნილი კარტოფილი დავჭრათ მრგვლად და მოვათავსოთ ფორმაში ისპანახთან ერთად. მოვასხათ 2 სუფრის კოვზი არაჟანი, დავუმატოთ მარილი, წიწაკა და მუსკატის კაკალი. ზემოდან დავადოთ ორი ნაჭერი ლორი, მოვაყაროთ გახეხილი ყველი და შევდგათ საშუალო სიმხურვალის გაზქურაში ყველის გადნობამდე.

# ესმა ონიანი



● მანანა კოზირიძის პორტრეტი



● ნანა კიკნაძის პორტრეტი





● თბილისის ხედი

მასალა იხილეთ მე-14 გვერდზე





ი44/5
ეროვნული ბიბლიოთეკა

